


ლიტერატურული გზეუტი

№29 25 ივნისი - 8 ივლისი 2010

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



პავლე ჭავჭავაძე

უამილი და კნინები

VIII-IX

ლიტერატურული პრემია

„საბას“ ნომინატები

XI

მამუკა ნიკლაური:

„მე ჩემს მითოსურ
სამყაროში ავიღბი ფხნი“

XII-XIII

მაშინაც, სამი წლის წინ, ლიტერატორთა სახლის მყუდრო ბუფეტის კუთხეში, სწორედ ამ მაგიდასთან ვისხედით და ვალოდიას მძაფრსიუჟეტან ამბავს ვუყვებოდი, მე და ჩემს მეგობარს, მოსკოვში, ნაცნობი მთარგმნელის ოჯახში რომ გადაგვხვდა.

მაგიდა კიდესთან ამოკანრული ინიცილებით, „A. M.“ - ვიცანი, რომელზეც, მაშინ, როგორც ორკლავიანი საბავშვო გარმონზე, ვალოდიას მსხვილი, მოუხეშავი თითები თამაშობდნენ.

აქ, ნახევარსარდაფში, ახლაც ყველაფერი იგივეა — კიბის სიძველისაგან დაბზარული მოაჯირი, თითქოს მარჯვნივ ნახევრით აპრიალეზული საფეხურები, იატაკი, ყავის სურნელი და გახუტრებულ მთვლემარე, სიმშვიდის მომგვრელი, მოშიშინე ჩაიდან... ზემოთ კი, ჟამთასვლისათვის ამ მოკლე სამწლიან მონაკვეთში იმდენი რამ შეიცვალა, საბჭოთა მოქალაქეები ყველაზე გაბედულ სიზმარშიც რომ ვერ ვნახავდით...

ბუფეტში დაღმართივით ციცაბო, ორ კედელს შუა მოქცეული, დახვეული კიბის ჩამოდიხარ და გგონია ბუნკერში იძირები. სინამდვილეში სულის მოსათქმელ, დასაწყობებულ და თავშესაქცევ დაწესებულებაში აღმოჩნდები.

კედლებზე ორნათურიანი, განათებული ბრები ჰკიდია. სკამები ხისაა, ტლანქი, მძიმე. სამაგიეროდ საიმედოდ დგანან — ყველაზე მძიმეწონიან მწერლებსა და ლიტერატორებსაც კი უძლებენ.

მაგიდებზე ხისაა, მასიური. ზემოდან გადაკრულ მონაცრისფერო პლასტიკატის ჭუჭყის ანტან ზედაპირზე დაყინული, ტკაცუნა სოსისის თუ გაბერილი სარდლის ცხიმინი შეფიფი, დამლაგებლის განურულ ტილოს ადვილად ნებდება.

შესვენების დროს, ბუფეტში, განსაკუთრებული ხალხნაწილობაა — ზუსტად პირველ საათზე, კიბის მალღ, ერთდრულად ახმაურდება ხოლმე შენობის ადმინისტრაციული ნაწილი. კაბინეტებში, მისაღებებში გამოკეტილი მდივნები, თანაშემწეები, რეგითი თანამშრომლები, მუშებთან და ერთმანეთთან ჭიდილში მოღვლილი, დამშული „სულის იმწინრები“, ენერგიული ნაბიჯებით მოანყდებიან ჩამოსასვლელს, ჩამოიღვრებიან კიბეზე და შუშთან დახლს მიღმა წარბებგადაკალმულ, ორი მეზუფეტე ქალბატონის წინ გრძელ, მოუსვენარ რიგად შედგებიან.

ჰოდა, ოთხმოცდარვის გვიან შემოდგომაზე ვზივართ ჩვენთვის, ბუფეტის კუთხეში. პიკის საათი გასულია და ირგვლივ შედარებით სინჯარეა. შევექცევით ნაირნაირ, გემრიელ ბუტერბროდებს, ვაყოლებთ მოსკოვურ, სადაფისფერ, ქაფიან ლუდს და დიდი ხნის უნახავ, მონატრებულ მეგობარს ამბავს ვუყვებო.

ვალოდია — ჭაბუკობაში, ვოლგაზე, სამდინარო გემის მეზღაური, მოგზაური, მონადირე, მოთევზავე, საკმაოდ წარმატებული დრამატურგი, სკამის საზურგეზე სანახევროდ მიწოლილი მისწინს და ბარაქიან, გაბურღულ ჟღალ წვერს ღონიერი თითებით ზემოდან ქვემოთ ივარცხნის, ეფერება, თითქოს საკებნად აღრენილ ბომბორა ძაღლს ქეროზე უყვავებს.

ამბავი კი ასეთია: ერთხელ, ამ ბუფეტში, ცოტა რომ შევზარხოშდით, მე და ჩემი მეგობარი თბილისელი პოეტი, მისი ლექსების მთარგმნელმა, ვინმე ევგენიმ, თავისთან, ოჯახში მიგვიპატიჟა.

უარი არ გვითქვამს, ბუფეტშივე შექმნილი არაყის და კონიაკის ბოთლები მთარგმნელის მოზრდილ ხელჩანთაში ჩავალაგეთ და წავედით.

მანამდე, ვესტიბულიდან, მორიგეს ტელეფონით ევგენიმ შინ დარეკა, სტუმრები გვეყოლებო.

არ ვიცო, ამ შეტყობინებით, უხილავმა მეორე მხარემ რამდენად გაიხარა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მოპატიჟეს სახეზე ეს არანაირად არ ასახულა. მიუხედავად ამისა, მაინც ენერგიულად დასწვდა ხელჩანთას და, ლიტერატორთა სახლიდან, უკვე ბინდადცემულ დათოვლილ ქუჩაში გამოვიდით.

ჯერ მეტროთი, მერე ტროლეიბუსით ვიმგზავრეთ, კარგა მანძილი ფეხითაც გავიარეთ და, ვიდრე ევგენის სადარბაზოში მივადნებდით, ყინვამ სასმელით დაგროვილი სითბო გამოამაცალა.

მეხუთე თუ მეექვსე სართულზე, მასპინძელმა, გამამაცებელი სახით მოგვხვდა, მონდომებით დამიზნებული თითი დილაკს დააჭირა და გაბმულ ზარს ხმაც შეაშველა:

— ლარისა, საყვარელო, ჩვენ უკვე მოვედით!

ლილაკიდან თითი არ აედო, რომ

ვანო ჩხიკვაძე

კუთხის მაგიდა

ნანყვეტი რომანიდან „შუშების ომი“

მკვრივად შეკრულ კარს რაღაც გამეტებებით მოანყდა.

დაჯახებას ძაღლის მოგუდული ბუხუნიც მოჰყვა.

მალე ამხმის პატრონიც დავინახეთ.

ეს იყო საზიზღრად ნაპატიები, გოროზი, შავბუნვა ძაღლი — გოლიათი.

ძაღლი ტყავის ყელსაბმელით ეჭირა ლარისას (ალბათ ლარისას!) და ცხენივით აყალყული მყეფარი ჩვენი შეჭმით იმუქრებოდა.

ევგენიმ ხელჩანთა შემომაჩერა, თვითონ კი ქალს მიეხმარა, რომ ძაღლი როგორმე გვერდზე „მიედგათ“ და ჩვენთვის შესასვლელი გაენთავისუფლებინათ.

— ნუ გეშინიათ, სახლში აღარ იკბინება, — დავგამშვიდა ლარისამ, როცა სასტუმრო ოთახში კედელ-კედელ აკრულები შევიპარეთ.

ჩვენ სავარძლებში ჩავსხედით, ხოლო ძაღლი, ერთხანს შემოსასვლელში დარჩა, დაემორჩილა სამზარეულოში მოფუსფუსე პატრონების ბრძანებას, აქედან ფეხი არ მოიცივალო, მაგრამ მერე, ეტყობა, მოიწყინა და კარი სულ იოლად შემოგვიღო.

შემოვიდა, შემოუარა დივანთან მიდგმულ, თევშებითა და ჭიქებით განყობილ დაბალ მაგიდას. ჩვენს წინ გაჩერებულმა ხან ერთი შეგვათვალიერა, ხან — მეორე, ღონივრად გაიხმორა, რატომღაც მე გვერდი ამიქცია, ჩემს მეგობარს ზურგიდან მიუდგა, კეფასთან დაყნოსა და გოდორივით თავი მხარზე ჩამოადო.

— მომშორდი! — გააპროტესტა პოეტმა, მაგრამ ძაღლმა დაიღრინა, თანაც ისეთი საღეჭი კბილები გამოიფინა, რომ იქვე დაუტკბა, — ჰო, კარგი, თუ მოგონს იყავი...

ვინ დაუშლიდა, ისიც — „იყო.“ ვიდრე მასპინძელი გამოვიდოდნენ და გასულს სტუმრებს ოთხფეხის მურგეობიდან დაიხსნიდნენ, ძაღლის ორფად ჩამოგრძელებულმა დორბლმა, მოსკოვში ახალშეძენილი პიჯაკის ლაცკანით, მეფის რუსეთის დროინდელი, ჟანდარმერიის როტიმისტრის სააღლუმო მუნდირივით, „ჯინჯილებით“ დაამშვენა.

მალე ოჯახის ახლობელი ქალი და ორი მამაკაცი შემოგვემატა.

სუფრას შემოვუსხედით. ძაღლი, კართან, ქერაზე ნამოწოლილი თვალს გვადევნებს.

ჩვენმა მშვენიერმა დიასახლისმა, რაც შეეძლო არაფერი დაგვაკლო, მაგრამ ყველაფერს ისე დაკოპილი აკეთებს, არ ვიცო, საერთოდ ასეთია თუ ჩვენი სტუმრობით არის უკმაყოფილო.

ბოლოს, თვითონაც შემოგვიერთდა და კონიაკი დაგემოვნებთ მოწირუბა.

კარგიაო, გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ ქალბატონს, რაც იმის ნებართვად აღვიქვი, რომ დანაკლულებული ჭიქა უნდა შემეღვსო.

მესამედ რომ დაუფხვი, გაეღიმა.

„ეგრე, დალოცვილო, ასე ღიმილი მიხდებოდეს და შუბლს შევიკრავ?“ — გავიფიქრე და, რომელიღაც ახალგამოცემული ნივნის გამო ატეხილ დავაში ჩაბმული მამაკაცების გვერდის ავლით, ქალბატონებს ერთი ქართული, ტრადიციული სადღეგრძელო შევთავაზე.

სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, მანდილოსნების როლსა და მნიშვნელობას ასახამდა ხოტბას.

— შესანიშნავია! — ხელი ხელს შემოჰკრა დიასახლისმა. თითქოს პირველად დამინახა, ალერსიანად მომაპოვ დაბინდული, ნისლჩამდგარი თვალები, — თქვენიც სიტყვასთან ჭიდაობთ?.. ჰოო?.. საკვირველია!.. მაშინ რატომ არ ხართ სხვებივით უინტერესო? — საჩვენებელი თითის კეკლუცი მოძრაობით, ქმარზე და კა-



მათის აღმურში გახვეულ სტუმარ კაცებზე მანიშნა, — დღე და ღამე რომ გადაებას, ქალები არც გავახსენებდით... მთელი სიცოცხლე ლიტერატურულ პრობლემებზე დავობენ... ხანდახან ლამის ხელჩართულ ჩხუბამდეც მიდიან.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგული ესტრადა ჩართო.

— ხომ არ ვიცეკვით? — შემომთავაზა.

— მაინცდამაინც დიდი მოცეკვავე არ გახლავართ.

— ამ ცეკვას ცოდნა არ უნდა, სურვილიც საკმარისია — ლამაზი ხელები მხრებზე ჩამომავინა და თამამად მომეხუტა.

უხერხულად ანურულმა სუფრას გადავხედე.

კაცებს ჩვენივით არ ეცალათ. სამაგიეროდ სულ სხვა მხრიდან დარეკა გამაფრთხილებელმა ზარმა — აქამდე ჩუმად მყოფმა, ენაგადმოგდებულმა ძაღლმა, ქერადან აღრენილმა ნამოწინა.

დავსხედით და ქოფაკიც დანყნარდა. ევგენის, ზაფხულში, ურალს იქით, შემოქმედებითი მივლინებით ემოგზაურა, ადგილობრივი, აბორიგენი პოეტების მთელი „დიპლომატი“ შემოქმედება ჩამოეტანა, ეთარგმნა, გადაეხედა კიდეც და, ვიდრე რედაქციებს დაურიგებდა, სუფრის ნევრებს გვიკითხავდა.

ღიბხანს ვუსმინეთ, შევაქეთ კიდეც, მოვუნონეთ თარგმანები, მაგრამ ძალიან რომ გაუგრძელდა, მოსწყინდა ჩემს მეგობარსაც ნენცურ-კორიაკულ-იაკუტურ-ბურიატიული, თანამედროვე პოეზიის კოქტეილი, მეორე ქალბატონი საცეკვაოდ გაიხმო და მე და ლარისაც ხომ არ ჩამოვრჩებოდით.

ვტორტმანებთ პარკეტზე, ვგრძნობ ხერხემალზე როგორ ადი-ჩადის დიასახლისის ცხელი ხელისგული, ვხვდები, რაღაც ხლართში ვებმები, მაგრამ ჩემი სასმელით დაბუჟებული ცნობიერება უძლურია ამძუნებულ ქალს წინ აღუდგეს.

ჩვენივით არავის ცხებლა, არავის ვაინტერესებთ, თვითონ ევგენისაც კი, მთლიანად რომ თავნარგულა ლექსების ჩრდილო-აღმოსავლურ თაიგულში.

ოთახში მყოფთაგან მხოლოდ ძაღლი შფოთავს, ქერაზე ადგილს ვერ პოულობს. დრო და დრო ნამოიძარბება, ღონიერ კიდურებზე დაყრდნობილი აიტანს მძიმე, მაგრამ მოქნილ სხეულს.

ლარისა გამოერკვევა, დაუტევს, დაემუქრება, ოთახიდან გაგისტუმრებო და ისიც დაჩუტული ბურთივით დაეშვება, შავად შეგუბდება ნითელ ქერაზე.

თურმე არც ძაღლის მოთმინება ყოფილა უსაზღვრო — როგორც კი ქალი ისევე დაუფარავად მომეხუტა, მხარზე თავი ჩამომადო და ყელთან მისი ტუჩების თრთოლვაც ვიგრძენი, უცებ, რაღაც, ვეება ზამბარასავით ავარდა, გაიშალა, პირდაღებული ჩემს ჩასაყლაპად აღიმართა.

ჩემმა სამარცხვინოდ, არ მეყო მატროსოვის გამბედაობა — ქალი წინ ავიფარე. ლარისაც ერთბაშად გამოფხიზლდა, ძაღლს საყელურში წასწვდა, მოხვია მკლავები და ძლივს შეაკავა...

— ძაღლმა იეჭვიანა? — ახარხარდა ვალოდია.

მკერდი და მხრები უყანყალებდა, კეთილი, ცისფერი თვალებიდან სიცილით მოგვრილი ცრემლი მოსდიოდა და გარემოში მსხდომებს უბოდიშებდა.

— აბა, უყურე, რა არ ხდება ჩვენს დიდ რუსეთში!.. ვინ იცის რამდენ ოჯახს სჭირდება ეგეთი, ფხიზელი ოთხფეხი! —

თავისივე ნათქვამზე, კიდევ ერთხელ, გულიანად ჩაიხიბოთა და ბუფეტიდან გამოსულები მანქანაში ჩავსხედით.

— ეტყობა, ევგენიმ იცოდა, ძაღლი მდგომარეობიდან როდის გამოდიოდა, საქალაღე დროებით გვერდზე გადადო და ცოლი დატუქსა... ლარისამ არ დაუთმო... ამასობაში, ჩვენი ეჭვიანი კავალერი, შეძვრა სუფრის ქვეშ, გაიმართა ნელში, მაგიდა გაახანახალა და ჭურჭელს ჭახა-ჭუხი აუტეხა...

— ეგ აღარ არის საინტერესო, — შემანყვეტინა ვალოდიამ, — არც — ის, მეორედღეს შინ და ლარისა შეხვდით თუ არა ერთმანეთს. მთავარი სხვა რამეა... რას არ გაიგებ, რა არ ხდება ამ ჩვენს დიდ რუსეთში! — მერამდენედ იმეორებდა საჭეს ჩაფრენილი და სიცივეში აბოლბულ მანქანებს კვალში მიჰყვებოდა, — საინტერესო დრამატურგიაა... თეატრში, სცენაზე ძაღლს ვერ ათამაშებ, თორემ... კინოს ამ მხრივ მეტი შესაძლებლობები აქვს... ძაღლი — ოჯახური სინდინის დამცველი... ჩვენი ცენზურა შეგჭამს, მაგრამ ფაქტია, რომ სინამდვილეში მოხბა...

ვერ გადავასწარით, შუქნიშანმა ნითელი აგვინო.

ერთმანეთი ირკუტსკის აეროპორტში გავიცანით.

მაშინ, ციმბირი, მორიგ, დიად მშენებლობათა ციებცხელებით იყო შეპყრობილი. რკინიგზა, თავის ახალ-ახალი სადგურებით, დასახლებებით ნაბიჯ-ნაბიჯ მიინევიდა აღმოსავლეთისაკენ. კომკავშირული საგზურებით მობილიზებულ მოხალისეთა ურდოები, ფეხდაუდგმელ უღრანებს მიჰკავავდნენ. შუაგულ ციმბირისაკენ, როგორც ხელისუფლება, პრესა და რადიო-ტელევიზია ღალადებდა, რომანტიკულ თავგადასავალთა, სინამდვილეში კი შედარებით ნორმალური ანაზღაურების მაძიებელთა ემელონები მოიჩქაროდნენ.

„საუკუნის მშენებლობის“ გმირები თავისი მეხოტბენი სჭირდებოდათ და ისინიც, ენთუზიასტი ჟურნალისტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, უხვად მოანყდნენ აქაურობას. მშენებლობის ტვირთს მხოლოდ კომკავშირულ-ახალგაზრდული მონდომება ვერ ზიდავდა, როგორც ამბობდნენ, ჯერ გაუჭრელი ტაიგის ყველაზე რთულ უბნებს, პატიმართა შრომითი ბატალიონების უჩინარი, მიწისქვეშა ბლანტი მდინარეებაც მიჰკვალავდა, მაგრამ მათ თავდადებაზე, რა თქმა უნდა, კრინტს არავინ სძრავდა.

ასე იყო თუ ისე, რედაქციის დავალებით და ჩემი ცნობისმოყვარეობით, მეც ავყვი საერთო ფეხის ხმას — მოსკოვის გავლით, ჩამოვედი ჯერ ირკუტსკში, მერე, ორი საათის საფრენზე, დაბა უსტ-კუტში.

დაბა პოლიგონის როლს ასრულებდა და, ერთადერთი, ასე თუ ისე ხეირიანი სასტუმრო მთლიანად მშენებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა უწყებათა, სამინისტროების, ტრესტების, სამმართველოების თანამშრომლებით იყო შევსებული. ადმინისტრატორმა, როგორც იქნა, მომინახა ადგილი, კრასნოიარსკელ გეოდეზისტთან, მყუდრო, პატარა ნომერში შემასახლა. გეოდეზისტი სამ დღეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა სასტუმროში, ხოლო ჩემმა ახალმა ნაცნობმა, დასავლეთ ციმბირის მოტორიზებული სამმართველოს უფროსმა, ქართული ჭაჭის მოყვარულმა და დამფასებელმა, ვინმე ევტუშენკომ, რომელსაც შტაბში მეორე საართულზე, „ლოქსში“ ჰქონდა მონყობილი, მისასვლელ-მოსასვლელად ჩათბუნებულ კაბინიანი „კრაზი“ გამომიყო.

დეკემბრის აღვირახსნილ სიცივეში, როცა ყინვა ოცდათხუთმეტიდან ორმოცდახუთ გრადუსამდე მერყეობდა, რამდენჯერმე გადავკვიდე გაყინულ ლენახე. გზაში, ხანდახან, მძლოლს ვაჩერებინებდი მანქანას, გასაოცარი სურათებით მონუსხული შევდიოდი ტყეების სიღრმეში.

ვასუდრული ბუნება, ციმბირული, ვერცხლისფრად მოლაპლაპე თოვლმყეინული ნაძვები და ტყეების ოკეანის ერთფეროვნება, როცა მიდიხარ, მიდიხარ და არაფერი არ იცვლება. ტაიგის ზამთრის ალბომის ფურცლები თვალს გიჭრებებს, ფხვიერ თოვლში მყარად ჯდება ფეხსაცმელი და სულს გიგუბებს იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი არც იწყება და არც მთავრდება. გალუჯრულ სივრცეში ხმელი ფოთლოვით ჰკიდია მზე, უსიცოცხლო, მიმქრალი, როგორც მომაკვდავის პულსი. მიდიხარ და სულ გგონია ახალგაჭრილი ტაიგაც, ნუთი-ნუთზე პირს შეიკრავს, ისევე გამოთიანდება, ჩაიკარგები უსაზღვროებაში ჩამოვარდნილი გირჩივით.

ერთხელაც, სასტუმროში დაბრუნებულმა, ჩემი „ტულუპის“ ჯიბეში, სიცივით ჩახარშული, ფაფად ქცეული ნივრის თავები

აღმოვაჩინე. ასე იყო თუ ისე, გრიპისაგან და გაციებისაგან თავდასაცავ ნიორზე გამძლე გამოვდექი — ათიოდე დღეში, შევსებული უბის წიგნაკით, ფოტოებით და შთაბეჭდილებებით, ახალი წლის წინა დღეებში, ისევ ირკუტსკში ჩამოვფრინდი.

აეროპორტში იმ წლების შესაფერისი კაკაფონია სუფევდა. ბარგი-ბარხანით, ოჯახებიანად აყრილი, ბედის მაძიებელი მოქალაქეები, ახალ-ახალი სამშენებლო ბრიგადები, საეჭვო შეხედულების ტიპები, სასმელით ტვინდაბუფებული ალკოჰოლიკები, ნაირ-ნაირი, აეროპორტების და საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილების ტიპები... ვის არ ნახავდით, რანაირი ფიზიონომია არ გაივლიდა შენს თვალწინ. ეს იყო ცოცხალი სურათების გალერეა, რომელიც ცხვირწინ მოძრაობდა, კამათობდა, ქოთქოთებდა, ჩხუბობდა და დიაფილმის კადრებით აღარ თავდებოდა.

ვიდრე მოსკოვისაკენ გამოსამგზავრებელი ბილეთების რეგისტრაცია დაიწყებოდა, აყაყანებულ მოსაცდელ დარბაზში, სკამზე თავისუფალი ადგილი „მოვიპოვე“. ჩემოდანი გვერდით მოვიდგი და ლამენათევს, მიუხედავად იმისა, რომ ვეცადე არ ჩამძინებოდა, რული მანძი მომერია — გნახასი, რეპროდუქტორში ქალის მონოტონური ხმა, თანდათან ერთმანეთში აიზილა, ელვის სისწრაფით დამშორდა, გაიწვია, როგორც მინდორში მალაღი ძაბვის მავთულების ზუზუნს და, ბოლოს სულ მიწყდა. მიწყდა და მოთოვილ ველზე, დილის მზის სხივებს რომ ირეკლავდა, ძაღლებშებმული ნარტა დაინახე. ნარტაზე მდგარი ჩემი ახალი ნაცნობი, მუფთაში ხელბეჭეფილი, ლოყებანითლებული განა ავდონინა ენაგადმოგდებულ ძაღლებს აქეზებდა. გოგო მარხილს ჩემსკენ მოაცურებდა, მაგრამ მოსვლა ვინ აცალა, უცებ ალიაქოთის ხმამ ამომავდო ძილის მორევიდან — ჩემგან ცოტა მოშორებით, მოსაცდელი დარბაზის გასასვლელთან, შექუჩებული მგზავრების გორგალი გაიშალა და ვიდრე ხეირიანად გავერკვეოდი თუ რა ხდებოდა, მოკლევადიანმა, მყარად ჩადგმულმა, წვერიანმა კაცმა ჩემი ჩემოდანი გვერდით მომიდგა.

— ნუ გეძინიათ, ყველაფერი რიგზეა! — მხარზე ხელი მომიტათუნა.

ასე გავიცანი ვალოდია.

როგორც შემდეგ გავიგე, მან და მისმა ორმა მეგობარმა, ჩემს სკამთან საეჭვოდ ატორილიებული, ვილაც მანანალა შეამჩნიეს. ქურდი, როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ჩამეძინა, ჩემოდანი ამაცალა. გასასვლელისაკენ გაძურწული მძარცველი ხალხში მიმალვას ცდილობდა, მაგრამ ვალოდია ნახსენა კისერში. ქურდმა გაიბრძოლა, თუმცა მუშტიც რომ მიიღო, ანაპნული ჩემოდანი დააგდო და თავს უშველა.

ამ ფაქტს განსაკუთრებული აღშფოთება ან გაკვირება არ გამოუწვევია, მოსაცდელის ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა.

ჩემოდნიდან, ჩემს ათდიან ეპოპეას სასწაულით გადარჩენილი, „ენისელის“ უკანასკნელი ბოთლი ამოვიღე და, აეროპორტის სასაუზმეში ჩვენი გაცნობა აღვნიშნე.

როგორც გაირკვა, ვალოდია, ციმბირულ მტყვევებზე პიესის დასწერად, მივლინებით ბაიკალზე იმყოფებოდა, მისი ორი მეგობარი კი, მგონი ნიჟნი-ანგარსკის რაიონში მომუშავე გეოლოგიური ექსპედიციიდან, ზამთრის არდადეგებზე შინ, მოსკოვში ბრუნდებოდნენ. როცა გაიგეს ერთი გზა გვექონდა, ვალოდიამ მეც გამომართა პასპორტი, იყოჩაღა და გამგზავრების მსურველთა აბობოქრებული მორევიდან ოთხი დაჯავშნული ადგილი და დილენანყვეტილი ჯუბა გამოიტანა.

მაღე „ჩასხდომაც“ გამოაცხადეს. თვრამეტ გრადუსიან ცივებაში, ტრამთან ყურყურის შემდეგ, როგორც იქნა უკვე ასაფრენად აგუგუნებული თვიმფრინავის თბილ სალონში აღმოვჩნდი.

ადგილები რომ დავიკავეთ, ვალოდია, მეგობრებმა მერედა შეაქეს, იმ დომხალიდან ცოცხალი როგორ გამოხვედით.

— ამაზე უარესიც მინახავს — ორმოცდაცამეტის მარტში, ნიჟნი-ნოვგოროდიდან მოსკოვამდე, ჯერ კიდევ მოსწავლემ, სტალინის სამგლოვიარო დღეებზე დასასწრებად, ხან გადაჭედოლი ტამბურით, ხანაც მატარებლის კიბეებზე ჩამოკიდებულმა ვიმგზავრე... ისეთი ამბავი იყო, ნითელ მოედანზე, ზღვა ხალხი შეეგაყა ერთმანეთს, მე შუაში მოვყე და ლამის გავიგუდე. სუსტი, ნონოლა ყმანვილი, შენებებული მასიდან, ვილაც ღვთისნიერს რომ არ გამოვეყვანე, ახლა ძველ ახალწამ-

დე მოგინევდათ ირკუტსკის აეროპორტში ყურყურით... მერე ჰყვებოდნენ, იმ ჯგერტაში ბევრი დასახიროდა... ჩემზე კი ყველაზე მეტად იცით რამ იმოქმედა? ხალხის დაშლის შემდეგ, გვერდზე მიხვეტილი, ცალ-ცალი ფესსაცმელი, ჩამოხეული სახელოები, ხელჩანთები, ქუდები, თავსაფრები, ხელჯოხები რომ ეყარა... პატარა ვიყავი, მაგრამ ამ უჩვეულო სასაფლაომ მანძი ძალიან შემზარა.

ვალოდია, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ხმამალა, მკვეთრი ჟესტიკულაციით ჰყვებოდა.

გაზეთის ჩაჩრებულმა ჩვენმა თანამგზავრმა, პავლიკ ანტონოვმა, ჩხუბის „ხათრით“, ანტონ პავლოვიჩს რომ ეძახდნენ, სათვალე ტკაცუნით დაკეცა და ვალოდიას დამრიგებლური ტონით უთხრა:

— ჩემო მეგობარო, აი, სწორედ ეგ არის მონობა.

— რა შუაშია მონობა? — გაუკვირდა ვალოდია.

— ნეტარსხენებულმა სტალინმა, შენი ოჯახიდან თუ საგვარეულოდან, ლამის ყველა მამაკაცი ააოროტლა, დედაშენს მუცელში რომ არ ჰყოლოდი, ალბათ, შენც იმათ გზას გაგიყენებდა... და, მანძი ამდენი პატივი დასდე, ვაგონის სახელურზე დაკონწიალულმა იმგზავრე... თანაც, საიდან სად — გორკიდან მოსკოვამდე!

— ელაპარაკე ახლა ამას, — მოუბრუნდა გაჯავრებული ვალოდია ილუმინატორთან მიყუჟულ მეორე თანამგზავრს, ყურნალის ბოლო ფურცელზე დაბეჭდილ თავსატეხს ჩაკირკიტებული, ნამოჭრილი თემით დაინტერესებას მანძიამანძი რომ არ ამჟღავნებდა, — გამაგებინე, შეიძლება სერიოზული კაცი ასე მარტივად მსჯელობდეს?... ეს ჩვენი ანტონ პავლოვიჩი გეოლოგი კი არა, არქეოლოგი რომ იყოს, უახლოესი ისტორიის შრეებს მეტი გონიერებით გამოიკვლევდა... ასე არ არის?

— ვალოდია, ნუ გავიწყდება, რომ თქვენი მონა-მორჩილიც გეოლოგია და შეიძლება „ისტორიული შრეები“ მეც ზერელედ გადავქექო, — დაუქნია მეორემ მოკაუჭებული თითი.

— მანდ, მგონი, მალე სტალინის სადღეგრძელოსაც დალევთ! — დაიძახა ვილაცამ უკანინდან და სიცილმა გაამხიარულა სალონი.

— რატომაც არა, — გამოეპასუხა ვალოდია, — ორმოცდახუთში, ოდერზე, ფეხებს რომ გაბანინებდათ, ის ხომ მოგწონდათ? ზესადღეგრძელებსაც არ იშურებდით, მამას და მარჩენალს ეძახდით, როგორც ღმერთზე, ისე ლოცობდით... მაშინ სად იყავით, რატომ არ გახსენდებოდათ უსამართლოდ რეპრესირებული ჩემი ოჯახი?

უხილავი ამბრაზურიდან, აღარავინ გამოეპასუხა.

მხოლოდ ანტონ პავლოვიჩმა ჩაილაპარაკა:

— ჩვენი დუმილი ნუ გაგათამამებს!.. თუნდაც ყველაზე არაორდინარულად მოაზროვნე ინდივიდები, ბოლოს მანძი მარცხდებიან საერთო აზრთან ბრძოლაში.

— მაგ ლოგიკით ქრისტე და ჯორდანო ბრუნოც დამარცხებულბად უნდა ჩავთვალოთ — ერთი ჯვარს აცვეს, მეორე დაწვეს!

ანტონ პავლოვიჩმა ხელი ჩაიქნია, ვითომ შენთან კამათი არ ღირსო და ისევ სათვალე დაიკოსა.

მთხმომცდარმპში, ბუფეტოვანი ნამოსულებს, უკვე კიხინის მეგობრები გვეთქმოდნენ — თბილისში მე ვმასპინძლობდი ხოლმე, მოსკოვში — ვალოდია.

მაშინ ისე დაემთხვა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდიდან (ამ ძველ, მეცამეტე საუკუნეში დაარსებულ ქალაქს, ოცდაათიან წლებში შერქმეული გორკის სახელით არსაოდეს არ მოიხსენიებდა) დედა ჰყავდა ჩამოყვანილი, ოთხმოცდახუთ წელს მიტანებული, წელში გამართული, ყოჩალი ქალბატონი, რომელიც ყველაზე წვერილი შრიფტით ანაწყობსაც უსათვალოდ კითხულობდა და შორეული ბავშვობიდან მოყოლებული, წვერილი ამბებიც კი უკლებლივ ახსოვდა.

ლიტერატორთა სახლიდან ერმოლოვას თე-

ატრში შევიარეთ, ვალოდიამ თავისი პიესის რეჟისორი მოინახულა. პიესიდან რომელიღაც სცენის ამოღებაზე შეთანხმდნენ, იქიდან დამგზავრებული მსახიობი ქალი სახლამდე მივაცილეთ და შინ გვიან დავბრუნდით.

ვალოდიას დედამ საფენგადაფარებულ მაგიდაზე ლამაზად განყობილი ვახშამი დაგვახვედრა.

ერთი ჭიქა ნითელი, ქართული ღვინო თვითონაც მიირთვა, მაგრამ საჭმელს ხელი არ დააკარა, ექვსის შემდეგ აღარ გაახლებითო. მერე ძველი, ნიჟნი-ნოვგოროდში და ვოლგაზე მომხდარი, ბურლაკური ამბების მოყოლა დაიწყო. ყვებოდა გულშიჩამწვდომი, მელოდიური ხმით, რომ უცებ, ვალოდიამ, რატომღაც დედის გაბრაზება გადაწყვიტა.

— დედა, შენი ბიოგრაფიიდან ზოგჯერ ისეთ რალაცას მოხვე, რომ მეჩვენება — იმ დროს დაბადებული არ უნდა ყოფილიყავი... ბურლაკები, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ფაქტიურად აღარ იყვნენ, ხოლო ნიჟნი-ნოვგოროდის დრამატული თეატრი, სადაც მქონდა ბედნიერება მეც მემოღვანა, კიდევ უფრო ადრე, მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გაიხსნა. თქვენ კი, თუ დაბადების მონობას დავუჯერებთ, თქვენი მოვლინებით, სულ ცოტა, ათი წლის შემდეგ მანძი გააბედნიერეთ ცისქვეშეთი...

— შეხედე! — შეანყვეტინა ნარბის ანევით დედამ, — გამოდის, რომ მე ტყუილის თქმას ვკადრულობ.

— არა, მთლად ეგრე არ მითქვამს...

— დიახ, სწორედ ეგრე თქვი... დიდი მადლობა!.. ცოლმა ამიტომ ვერ გაგიძლო და გაგცილდა... მშვენივრად გეხერხება ადამიანის გულისტკენა!

— კარგი, ახლა, ნუ გამიბრაზდები, — მოეხვია ზურგიდან სიცილით, — ადამიანები ზოგჯერ ზედმეტად ვენდობით ჩვენს მეხსიერებას-მეთქი... უბრალოდ, როგორ ვთქვა, მეტი ზომიერება საჭიროა...

— უფრო უარესი... დიდი მადლობა!.. მე შენ ველარ გცნობ, ვერა!.. თუმცა როდის არ იყავი ასეთი... ვიტყვი, აღარ უნდა ჩამოვიდე-მეთქი და მანძი...

— დედა, მაპატიე...

— ჩემს შენიშვნებს სჯობია შენი პიესების გმირებს მიხედო!.. ნაკიკთხავთ? — მომიბრუნდა მე, — ადრე ბევრად უკეთესად წერდა... სრული ანაქრონიზმია, ასე ვილა ლაპარაკობს? სად იპოვა ჩვენს მდებარე, მუშურ-გლეხურ ყოფაში ტოლსტოის საკადრისი მალაღფარდოვნება... ნავიდა ის რუსეთი, მოკვდა, შენი უხერხემლო პიესებით ველარ გააცოცლებს!.. იქნებ, ასე, შენი ძვირფასი მეგობრები მეტყველებენ, თვეობით ოჯახს მონყვეტილები ციმბირში რომ დაწანალბებენ?

— ჩემზე ნანყენი იმათ რალას ერჩი, ხომ კარგად იცი, რომ ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან და არც ინტელიგენტობა და ზომიერი მალაღფარდოვნება აკლიათ.

— რომ არ აკლდეთ, შენთან არ იმეგობრებენ! — არ დაუთმო, მაგრამ მხარზე ჩამოდებულ, ყელთან მიხუტებულ შვილის გაბურძნულ თავს აბუზღუნებული მანძი გაუყურდა.

ნავაშმევს, როცა დაწვექი, სამზარეულოში, ტკბილ ბაასში ერთად ალაგებდნენ მაგიდას, რეცხავდნენ ჭურჭელს და დრო და დრო გულაინად ჩაკუჭკუჭებოდნენ ხოლმე.

ყური მივუდგე — ვალოდია ჩემს მონაყოლს უამბობდა, თანაც, რა თქმა უნდა, როგორც სჩვეოდა, უფრო მსუყედ, ხატოვანად და რაც მთავარია — „მალაღფარდოვნად“.

ისე ჩამეძინა, ვერ გავიგე მასპინძლები როდის დაწვეს.

დილით მანძი ჩემზე ადრე ადგნენ — დედა სამზარეულოში აჩხაკუნებდა ჩაის ჭურჭელს, თან რალაც გემრიელს ტაფაზე ამიშხინებდა, ვალოდია კი აივანზე საქმიანობდა.

მეც გავედი. აივანის მოაჯირი დაფიქტულიყო — ირგვლივ ნელა, უხალისოდ თოვდა.

აივანის თავში გვერდივერდ მიდგმულ, დასკორილ ტაბურეტებზე ორი გალია იდგა. ერთი ცარიელი იყო, მეორეში გულ-ნითელა ჩიტები, შუაში გადებულ ხარისას ჩაბლაუჭებულები ჩამოჰყურებდნენ. მხატვრის მსხვილთავა ფუნჯით სადგომს როგორ უხევივდათ ვალოდია და ნაგავს თუნუქის კოლოფში ყრიდა.

დასუფთავებას რომ მორჩა, გალიაში ხის ჯამით საკენკი შედგა. ხარისიდან ჩამოფრენილი ჩიტები ჯამს ნისკარტების კაკუნით მიესივნენ.

— საკენკი აღარ გქვონია... დღეს ჩიტების ბაზარზეც უნდა შევიაროთ, მეორე გალიისათვის „მდგმურები“ შევიძინოთ... როგორ გეძინა?

— მკვდარივით.

— საქართველოში მეც კარგად მძინავს. აქ არ ვიცი რა მემართება, — მუხლისთავები ჩაიფერთხა და მოხრილმა ქვემოდან ამომხედა, — განა შენ გამორიცხავ, რომ იმ ძაღლს შეიძლება მართლა უყვარს ქალი, რომლის საქციელმაც წონასწორობიდან გამოიყვანა?

გამეცინა — კიდევ ჩემს მონაყოლზე ფიქრობდა.

— ვერ გეტყვი, ძაღლს ამაზე არაფერი უთქვამს.

— და იქნებ, ეს სიყვარული, სულაც არ იყოს ცალმხრივი! — მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი.

— მეტისმეტად მძიმე თემა ხომ არ შევანუხეთ?

— თუკი ცხოვრებაში მოიპოვეს მსგავსი ანომალიური, თუნდაც ერთი შემთხვევა, მაშინ რატომ არ უნდა შევანუხოთ, წარმოუდგენელიც წარმოვიდგინოთ? ძაღლს ერთგულება რომ შეუძლია, არაერთხელ დაამტკიცა ადამიანთან თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. გვაქვს საფუძველი ივიქროთ, რომ მისთვის უცხო არც სიყვარულის გრძობაა. ჰოდა, ლალატის მცდელობამ, მაშინვე დაბადა განზილებული მიჯნურის ბუნებრივი რეაქცია...

— ოტტოს ცხვირსახოცი... — არა, ეს უფრო მეტია — უგონო შეყვარებულმა ნატურალურად დაინახა, რომ ლალატობენ!

— ამიტომაც ისკუპა ეჭვით გაგიჟებულმა მავრმა...

— საეჭვო რალა იყო... ქალს რომ არ ეყოჩაღა...

— ნირვას გამომიყვანდა და ნუხელის, ამ ამბავზე, ველარ იცინებდით.

— მაპატიე, შენი ნებართვის გარეშე რომ მოვუყევი დედაჩემს... ცოტა რალაცებიც ნავამატე, ხომ იცი, მწერალი ზოგ რამეს ისე ყვება, როგორც სინამდვილეში მოხდა, ზოგსაც ისე, როგორც უნდა რომ ყოფილიყო, — თავს დამნაშავე ბავშვივით დამიხარა, — შემიძნობ?

— რომ არ შეგიწოდო, რას იზამ?

— რასაც მტყვი... თუნდაც აქედან გადავხტები... ოღონდ ჯერ ვისაუზმოთ!

ვნახავ, დედაჩემი რატომ არ გვეძახისო, ვალოდია სამზარეულოში შევიდა და აივანზე მარტო დავრჩი.

სასიამოვნო სუსხმა ნაჭუჭივით შემომაცქვენა საწოლიდან აყოლილი მოთენთილობა. სუფთა, გრლი ჰაერი ორპირივით ანიავებდა ფილტვებს, მაბრუნებდა და მეგონა, გამოსუბუქებულს, ფერადი ბურთები თანდათან მალლა-მალლა მიმანიალებდნენ.

ჭერზე თოკებით დაკიდულ, სპილოს ძვლისფერ სავარჯიშო რგოლებს ხელები ჩავჭიდე და თვალები დავხუჭე.

ახლა მართლა ვიგრძენი, რომ რალაც ძალამ აივანიდან ატაცებული ზემოთ წამიღო.

სიმაღლის შიში არა მაქვს, მაგრამ ისეთი მკვეთრი იყო შემოდგომის ჯანლით დაბურული ქალაქის თავზე ეულად პრონილის განცდა, რომ უნებურად რგოლებს მაგრად ჩავეჭიდე.

ასეთ რამეს თვითმფრინავში ვერ იგრძნობ. ილუმინატორი გბორკავს, ამცირებს ხედვის კუთხეს, აქ კი, ღრუბლების თეთრ, დაპენტილ მატყლში გახვეული დაყურებდი მრავალმილიონიან ქალაქს, ადამიანების უკიდევანო საზუღარს.

გათენდა, შუშდებოდნენ ღამით დაღლილი ვნებები, იფერთხებოდნენ უჩვეულო სიზმრებით განამებული ზენრები და

დასასრული მე-6 გვერდზე



ჯერ აღრეა

ირინას

მაისია. ბოსტნის ბოლოს
მამა ღობეს ღამბავს,
დაფრიალებს ორღობეში
შენი მოკლე კაბა.
ჯერ აღრეა გაბრუება
ვარდისფერი თოვლით,
მოაბიჯებს სიყვარული
შორი გზების მოვლით.
ჯერ აღრეა. მონატრება
გაგეფოთლოს ტანზე,
ვიღაც, ავად შემართული
გადაგიდგეს გზაზე.
ჯერ ობობა ნაცრისფერი
ჭორის ძაფებს აბამს,
დაფრიალებს ორღობეში
შენი მოკლე კაბა.

ასაკი. სიყვარულის მონატრება.

როგორ მომენატრე, სიყვარულო,
ცაში გადაკარგულო ფრინველო!
შენი ნაზი კანი მომენატრა,
შენი მშვენიერი პირი-სახე.
შენი ეშხიანი გამოხედვა,
შენი კისკისი და სიხარული.
როგორ მომენატრე, სიყვარულო!
რამდენი ხანია აღარ ჩაგივლია
ჩვენი სოფლის ორღობეში,
რამდენი ხანია აღარ გიტირია
ტოტებგაფარჩხული კაკლის ჩეროში.
მენატრები, მენატრები, სიყვარულო!
მხოლოდ
სიზმრებში იკარგები,
მიდიხარ, მიდიხარ იკარგები.
ნუთუ, ყველაფერი დასრულდა უკვე,
დაიხურე ქუდი და ნახვედი?!

მინიატურა

ქასურის ქვასავით ილევი,
დღეები დაბრუნებას ნატრობენ,
ქალები, როგორც ჭაობის ყვავილები
გიტყუებენ,
გაბრუებენ,
გათრობენ.

ქანდა

თენგიზ მირზაშვილს

ფარის შუქებზე გამოჩნდა ქანდა,
იქვე პატარა საყდარი ჩანდა,
და მომეჩვენა, მთვარეს სოფელი
ბავშვით გულში ჩაკრული ჰყავდა.
ეთხოვებოდა თხოთის მთა ბურანს,
გზას უნათებდა ქრისტეს ჩვენება
და მირიანი დაოთხილ ქურანს
ალაიანზე მოაჭენებდა.



შოთა ქავთარაძე

შემოდგომავე, გამარჯობა!

აღარ გახსოვს, ვინ სად იყო,
გამოდმა თუ გაღმა სჯობდა,
კი იცოდი, სოფლის ბოლოს
შემოდგომა გდარაჯობდა.
კი იცოდი, ნოემბრის მზე
სხივებს ველარ მოგანვდენდა,
ეს ქარი და ეს წვიმები
თავს როდისმე მოგანწყენდა.
არც დღეს იცი,
ვინ სად არი,
რა სჯობდა და რა არ სჯობდა,
მოაქანებს ღრუბლებს ქარი,
შემოდგომავე, გამარჯობა!

სიბერის აპოლოგია

არც ისე ავი ყოფილა
სიბერე, როგორც მეგონა,
მოვიდა გულს ჩამეკონა
როგორც ძმასა და მეგობარს.
ფრთხილად მიხურა სარკმელი,
ამოიკეცა საბანი,
ორპირ ქარს მოერიდეთ,
იცოი ჭვლების ამბავი.
ბევრს ნულარ დაღევ, მირჩია,
ასაკი მოიმიზეზე,
მერე ხელჯოხი მომგვარა,
ფრთხილად ჩადიო კიბეზე.
სიბერე, როგორც მეგონა,
არც ისე მკაცრი ყოფილა,
მზეს მიმაფიცხა ეზოში
დიდი სიმშვიდე მომფინა.

წერილი სოფლიდან

ერთხელ მაინც დაგერეკა,
ერთხელ მაინც გეფიქრა,
რომ ზამთარმა ცა მომპარა,
ბალი ჩამომეფიფქა.
რომ ბუხართან მარტო ყოფნა
უკვე აღარ მწადია.
რომ ბავშვობის ბილიკებზე
აჩრდილები დადიან.
ერთხელ მაინც მოგეკითხე,
გეცა მცირე ნუგეში,
იქნებ ხმები გაგვეგონა
მჟღერი სიჭაბუკეში.
იქნებ ჩემი სიმარტოვე
ჩუმად კარში გაგვეგდო,
ხან თოვლს ვხვეტავ,
ხან შეშას ვჭრი,
სხვა რა უნდა ვაკეთო.
ზამთრის ღამემ ცა მომპარა,
ბალი ჩამომეფიფქა,
ერთხელ მაინც მოგეკითხე,
რამე მაინც გეფიქრა.

მკითხავი

შეფარვით უმზერს
შემოსულ სტუმარს
დროზე რომ ჩასწვდეს
მის ფიქრს და გუმანს.
ტრიალებს წყალი,
ნახშირი ბოლავს,
უნდა მოიგოს ეს ორთაბრძოლაც.
სტუმრის თვალებში დაეძებს ისევ
მისი ურვის და წუხილის მიზეზს.
იცის, რა უჭირს ადამის მოდგმას,
იცის რაზე წუხს და რაზე მოსთქვამს.
ტრიალებს წყალი,
ნახშირი ბოლავს,
უნდა მოიგოს ეს ორთაბრძოლაც.

ბოშაგი ფშავი

ბოშებმა დასცეს კარავი,
მზე შემოფრინდა სარკმლიდან,
გვათბობდა,
გვიალერსებდა
და ოქროს სხივებს გვაყრიდა.
თამაშობდნენ და მღეროდნენ,
გამოაცოცხლეს ხეობა,
მათი შემყურე სოფელი
ხალისობდა და მხნეობდა.
ნავიდნენ, არავინ არის
მას მერე მათი მნახველი,
დატოვეს ჩემი მოწყენა,
მონატრება და ნალველი.
ეს როდის იყო? მე ვახსოვს,
იქნებ არც ვახსოვთ არავის,
მალაროსკარში წყაროსთან
ბოშებმა დასცეს კარავი.

როგორ უცებ ჩაიქროლა

როგორ უცებ ჩაიქროლა
გაზაფხულის ეტლმა,
გამინელა სიხარული,
დარდმა მეტისმეტმა;
სად ჩქარობდა,
ვის ეძებდა,
ვისი ეშხი სწვავდა,
სხვა შეიტკობო,
ხოლო შენი დავინწყება სცადა.
ჩაიარა, ჩაიქროლა
გაზაფხულის ეტლმა,
ასე როგორ მიგატოვა,
როგორ გაგიმეტა.
დგახარ, ელი,
თუ როდისმე
მობრუნდება, ნეტა!

დაბადების დღე

თამრიკოს

უფრო რთულია ეს ცხოვრება,
ვიდრე გვეგონა,
მზე გადავიდა,
გზებზე აცივდა,
დრომ სინანულის თაიგული
ბევრი შეკონა
და აივანზე იასამნის ცრემლი დაცვივდა,
გასულა ჩვენი დიდი ზაფხული,
ჟამი, რომლისაც ასე გვეჯეროდა,
ხეები ფოთლებშემოდარცვული
გარინდებული დგანან წყაროსთან.
გვინდოდა, ეს დღე სხვაგვარად გვეგონო,
სხვა სიხარულის ცეცხლი დაგვენთო,
რა ვიცი, იქნებ როდისმე შეეძლოთ
ცხოვრება ასე უერთმანეთოდ.

ვეღრება

ჯერ ნუ ჩაცხრები, გაზაფხულო,
იყავნ გაზაფხული!
ჯერ ეს მგ ზავრობა დავასრულო
წყნარი დასასრულით.
სახლი წამოვიწყე,
უნდა გადავხურო,
დავჯდე აივანზე,
სოფელს გადავყურო,
კედლები შელამოს
სურნელმა ცაცხვების,
ჯერ ნუ ჩაცხრები, გაზაფხულო,
ჯერ ნუ ჩაცხრები.

თეთრმეტსართულიანი
მამუკა ცეცხლაძეს

მძიმე ფიქრებში გართული არი
თერთმეტსართულიანი.
დედაქალაქს შვენიოდა
ყველაზე მაღალი შენობა.
იდგა ამაყი და ძლიერი,
ქალაქს გაჰყურებდა მეფური იერიით,
შურით უყურებდნენ სახლები,
ძველებიც, ახლებიც.
ჰყავდა სახელოვანი ბინადრები,
უკეთესს ვერავის ინატრებდით:
მსახიობები, მწერლები, მხატვრები,
სახელს და დიდებას მატებდნენ.
იდგა ამაყი და ძლიერი,
ქალაქს გაჰყურებდა მეფური იერიით.
ერთმანეთს ვაფრთხილებდით
სოფლელი ბავშვები,
ხუმრობაგამოშვებით, -
ქალაქში რომ ჩახვალ,
თერთმეტსართულიანს რომ ნახავ,
არ დაინყო სართულების თვლა,
ქუდი გადმოვარდება უკან,
ქუჩის ძაღლების გახდება ლუკმა.
ნეტავი იმ დროს,
იმ გულუბრყვილობას!
ახლაც გტკივა ის დღე,
როგორც ჭრილობა.
ვაი, რომ წარმავალი არის დიდება
განგაშის ნათურა ქრება და ინთება,
წამოიმართნენ ახალი სახლები
უფრო ლამაზები, მაღლები.
დაცინვით დაჰყურებენ თერთმეტსართულიანს,
მისი საქმე, იციან, წასულია.
მოქცეულია მანქანების ალყაში,
ღამეებს ათენებს შიშსა და განგაშში.
წავიდნენ სახელოვანი ბინადრები
შთაინთქნენ ცხოვრების მდინარეში.
რამდენი შრომა, წუხილი, ჯაფა,
რა დარჩა მათგან -
მემორიალური დაფა.
გულგრილად გამოდიან მნახველები,
არავის ახსოვს მათი სახელები.
არავინ კითხულობს კედლებზე წარწერებს,
მზერას ბარელიეფებზე არავინ აჩერებს,
ვაი, რომ წარმავალი არის დიდება,
განგაშის ნათურა ქრება და ინთება,
მან უკვე იცის, რა და როგორ არი,
მწირია დიდება,
როგორც პოეტის ჰონორარი.
მომავლის უკვე არ სჯერა
დროის მანქანა ჩართული არი,
ემინია, მის ადგილას არ გაჩნდე, წარწერა:
„აქ იდგა თერთმეტსართულიანია!“

წლები აჩქარდნენ

წლები აჩქარდნენ,
რამე ილონე
ნელა დაეშვას შენი მარხილი...
ადე, შეიბი წელზე მახვილი...
სხვა გაზაფხული გამოიგონე.
ერთი სიცოცხლე,
ერთი ამბავი
და ყველაფერი ასე მარტივად?!
ცაო, შხაპუნა წვიმით გამბანე,
თორემ ნეშო და მტვერი მაცვივა.
წამოიმართე, გაგლიჯე რიდე
თავი და ბოლო ნუთუ ეს არის:
გამოიფხიზლე,
იქნებ გაქვს კიდევ
საბრძოლო, სახმლო და საესავი.

ოქროს ჩარღასი

ყველა წავიდა, ყველა გათავდა,
ჟამი ცრუთა და
ჟამი მართალთა.
ის ფუფუნება,
ის სილამაზე
ის ინტრიგები სამეფო კარზე.
არც საზანდარი მოსთქვამს და კენესის,
ალარც დედოფალს ეფერება ბესიკის ლექსი.
გაქრა ეჭვი და გაქრა წვალება,
ულმობელია ნუთისოფელი,
გადაიარეს სეფექალებმა
თავისი მკაცრი ჩიხტიკოპებით.
წამიერია ცხოვრება კაცთა,
წავიდა ის დღე,
სამანებს გასცდა.

ნოემბერი

იქნებ ადრეა ამინდის შეცვლა,
მაგრამ დახიე ყველა წერილი,
ველარ შეხედავ ნისლიან ზეცას
ბედნიერი და თავადერილი.
უსაშველოობის ტკივილი მძიმე
გადებული გაქვს მხარზე მორივით,
ეხები მთვარის უჩინარ სიმებს
დაღვრემილი და გამოგლოვილი.

რომ ბოლოს მაინც

მთვარეო, მთვარეო!
რა მედიდურად მიჰკვალავ ღამეს.
მიხვალ, მიჰყვები უცხო ბილიკებს,
უცხო ლანდებთან მბოროთალებ,
მეამბოხე ხარ და განდგომილი,
მაგრამ ეს მინაც რომ არ გეთმობა!
წყაროებს ამღვრევ,
ზვავებს აქანებ,
ზღვები გამოგყავს ნაპირებიდან...
მთვარეო, მთვარეო!
მე უმწეობაც მეყოფა ჩემი,
მაგ მათრობელა შუქით მაბრუებ
ცაში აგყავარ,
გზებზე ყვითელ ხალიჩებს მიფენ,
რომ ბოლოს მაინც
ამ რიყეზე დავლიო სული.

* * *

რა ცა ვერ დაინახე,
რა მზე ვერ შეიფერე,
შემოგილო ჭიშკარი
ნაადრევმა სიბერემ.
ქარებმა და წვიმებმა
გზები აგიტალახეს,
ბილიკებს და მწვერვალებს
ეს გზა ველარ განახევებს.
ალარ დაიძვრებიან
სურვილების ზვავები,
გაიშლება ჭალები
დარდის ათავთავებით.
ახლა ნანობ, სიცოცხლით
გული რომ ვერ იჯერე,
აივნიდან დაგყურებს
მონყენა და სიბერე.

რა საჭიროა სახელი

იყურე. მოვა მომსვლელი,
აქ, ამ მიწაზე დანვები,
მაისით შეიმოსები,
იანვრით გაიძარცვები.
წითლად იფეთქებს ძახველი,
მიემატები წინაპარს...
რა საჭიროა სახელი,
სულ ერთი არის, ვინა ხარ!

მცირა გახსენება

იყო პანია და საყვარელი,
ანებიერებდა მამის ალერსი,
როგორი შუქი ედგა თვალებში -
რა დიდი ჩანდა გზა გასაველელი...
თავჩაქინდრული და მობუზული,
გარეულია სოფლის ჭორებში...
ბავშვობა დარჩა როგორც კუნძული,
ნისლმორეული და უშორესი.

ფასანაური, არაბვი

მთვარიანი ღამე. ქედი,
რალაც წამიერი სევდა,
დიდი თანავარსკვლავედი
ცის ტატნობზე გადაფერდა.
ამ მდინარის ჩქერებს გაჰყვა
სიჭაბუკის ლალი ხანა,
დრო გავიდა, მეგობრები,
ბევრნი, საფლავებში წვანან.
შეეჩვიე ღამის დუმილს,
მარტოობა დაგებდა,
რალაც გარინდება ჩუმი,
რალაც წამიერი სევდა.



როცა წვიმს

იყო დრო, წვიმა გახალისებდა,
დღეს კი ეს გული სევდით იღვრება.
როცა წვიმს, მცირდება
ცის პარამეტრები,
როცა წვიმს,
გალუმპულ ბელურას ედრები.
პატარავდები და ბერდები.
ცოტა რამ გახალისებს,
ბევრი რამ გწყინს,
როცა წვიმს,
როცა წვიმს,
როცა წვიმს.
ბალახი სველდება
მეგობრის საფლავზე,
არ იცი, დარჩე თუ
წახვიდე ახლავე.
ბოლთას სცემ,
დადიხარ უკან და წინ,
როცა წვიმს,
როცა წვიმს.

გაღის გალიას აწყვები

არ იცი, როგორ იპოვნო
ერთი, მრავალთა შორის,
როცა ტალღებად განწყდება
შიში, იმედი, ჭორი.
არის რაიმე ნამდვილი,
უეჭველი და მყარი,
თუ ყველაფერი ქარია,
ჩამოქროლილი ქარი.
მხარი გიქცია ამინდმა,
მოდგა, მოგწყვიტა წელი,
ბედის გალიას აწყვები,
როგორც უმწეო მწერი.
მთვარის ყვითელი სხივები
გიფერადებენ კედლებს,
გაზაფხულსა და სიმწვანეს
ახლობელივით ენდე.
და არა, მაინც არა ჩანს
ერთი მრავალთა შორის,
მღვრიე ტალღებად განწყდება
შიში, იმედი, ჭორი.

ვარსკვლავები

არ იქნა და არ მეღირსა
არ გაიხსნა ცა ბოლომდე,
არ მინდოდა, ვარსკვლავების
საიდუმლო წამყოლოდა.
მივდივარ და ღამის გზებზე
მთვარე მიჭერს რკინის სალტეს,
შვილო, ჩემი საფლავის ქვას
ვარსკვლავები დაახატეთ.

ვანო ჩხიკვაძე კუთხის მამიდა

ნაწყვეტი რომანიდან „მუშების ომი“

დასასრული

ბალიშები, ღალატის საიდუმლოს ნიღბავდნენ აზლუდით აკრეფილი ძუძუები, იღვიძებდნენ ალალი თუ ბოროტი ზრახვებით გათანგული გულები. ღამით დაძლილ ბოთლებში ამოდ ეძებდნენ ჩარჩენილ, მაცოცხლებელ ნვეთებს არაყით პირმოკალული ლოთები. იღვიძებდა რუსული ხალხური სიმღერასავით აუჩქარებელი მდინარე მოსკოვი, ნისლში კიდევ უფრო შემდოვრებული, თევზის დასაჭერად დაფრენილი თოლია რომ დაპკრავდა ხოლმე ფრთას და შეყოვნებულ წყლის ზედაპირს ნამიერად გაჩხაპნიდა.

უკვე ბოლოვდნენ გარეუბნებში ქარხნები, იმუშნებოდნენ ყვავების ჩხაილში გასუსული სკვერები და არყის ხის კომოები.

იღვიძებდნენ მუზეუმები, ნობდაგებულ ტალანებში მტვრის ტილოთი ფეხაკრეფით დადიოდა სახედანაოჭებულის, ცოცხალი და ღამაზი თვალების დამლაგებელი ქალი... იღვიძებდა ფუნჩულა, პირიდან სანოვარა გამდოვრდნილი, ახლად კბილამოჭრილი ბავშვი, რომელიც ხვალ ისე ვეღარ იცხოვრებდა, როგორც მისი დღევანდელი, ასაკიანი თანამოქალაქე და, რაც მთავარია, ზუსტად დანიშნულ დროზე, ნითელი მოედნით, კრემლის ტრიუმფალური შესასვლელისაკენ მიიჩქაროდა შავი მანქანების სახელისუფლო ქარავანი — კივილით, სირენებით, მოტოციკლების ესკორტით, თავბრუსმომხვევი სისწრაფით, თითქოს შიშობდნენ, კრემლის ალაყაფის კარი რომ არ ჩაეკეტათ და გარეთ არ დარჩენილიყვნენ.

ეს არ იყო „ჩემი“ მოსკოვი. ის ბავშვურ ხილვებში ჩარჩა, წმინდა ფიქრებში გაეხვია და მისი ჯადოქრული, გულის შემაჩოქებელი სახეობა, დრო და დრო, ვერცხლისფერი ნაძვებით, წკრიალა ზარებით, თოვლით, ბენგალური შუშუნების ტკაცუნით, საახალწლო ფიერვერკებით გაბრდღვიადებოდა და გამარინდებდა ხოლმე...

პატარა ვიყავი, მშობლებმა, პირველად მოსკოვში სტუმრად რომ ჩამომიყვანეს.

ადვილი წარმოსადგინია შორეული, მიყრუებული სოფლიდან ჩამოსულ ბავშვზე, როგორ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას მოახდენდა ხალხმრავალი ქალაქი.

დეკემბერი ილეოდა, სოფლიდან როცა წამოვედი. მანამდე, მომამზადეს — შემიკერეს ირისისფერი, ხვერდის შარვალ-ხალათი, მიშოვეს ვილაცის დაპატარავებული პალტო, ჭვინტაქერცილი ბათინკები და, ჰაიდა...

მეფის ელჩობა ვიყავით თუ სამშობლოდან მოკვეთილი ხიზნები — რა გვინდოდა, რა დავგრჩენოდა ჩრდილოეთის ცივ ქალაქში, რომელიც, ჩვენი სოფლიდან, თითო-ორილა, ისიც ჯარმოვლილ კაცს თუ ექნებოდა ნანახი?

ბებიაჩემის ძმა, სამხედრო აკადემიადამთავრებული ოფიცერი, ჩერკასკში მსახურობდა. ომი როცა დაიწყო, მეუღლე და ახალშეძენილი ვაჟი მოსკოვში, სიდდერთან გააგზავნა და თვითონ კი ფრონტზე გაამწესეს.

უიღბლო მებრძოლი, მაიორის ჩინით, გერმანიის კაპიტულაციამდე ერთი დღით ადრე, ვარშავასთან დაიღუპა.

წლების შემდეგ, მოსკოვში დარჩენილმა ოჯახმა მოძებნა თავისი ქართული სანათესაო — ერთ ზაფხულს ჯერ პაპაჩემის შვილი და სიდდერი გვესტუმრნენ, მერე ჩვენც მოსკოვში მიგვიწვიეს...

ჩავსხედით მატარებელში. ბუფერების გაბმულ დაგადუგში, ჩემს თვალწინ, ღამის მთელმა ქვეყნიერებამ გაიჩინა — მთები, ზღვა, მდინარეები, ხიდევი, განათებული ღამის სადგურები, ალამანგდელი მესრეები, ქალაქები, სოფლები... სტეპებზე დატრიალებული ნამქერები მატარებლის მოძრავე კედელს აწყდებოდნენ — ხვრიში თოვლის „კენჭები“ კანარავდნენ, ხაზავდნენ ფანჯრებს.

მოსკოვში შებინდებულზე ჩავედი. გაჩირადნებული კურსკის ვაგზის პირველ ლინდაგზე ნამგზავრმა, ათას განსაცდელგამოვლილმა მატარებელმა დაქანცულივით ამოიქმინა, ნაბოროდიკა, ხმაურით მიახეთქა კუპის კარი და შედგამოძრავდნენ ბაქანზე გამოშლილი მატარებლის მომლოდინეები, ვაგონში ყოჩაღად ამოცვივდნენ მკერდზე პრიალა

ჟეტონმიმაგრებული მებარგულები, კუპებიდან გამოტანილ მძიმე ჩემოდნებს, ჩანთებს თუ ყუთებს შუაში ჩაუდგნენ და ხუსხუსით ადევნებულ ტვირთის პატრონებს წინ გაუძღვენენ.

ჩასასვლელად როგორც კი გავემზადეთ, კუპები მაღალი, სასიამოვნო შესახედაობის ქალი შემოვიდა. ყველანი გადაგვიკოცნა, ხელში ამიყვანა, მიმიხუტა და სუნამოს უცხო, დასამახსოვრებელი სურნელი შემომაფრქვია.

ქალს ნაცრისფერი, ფაფუკებნიანი პალტო ეცვა, გვერდულად გადნეული „კარაკული“ ეხურა და იდაყვთან ჩამოკიდულ, პრიალა ტყავის ხელჩანთაზე ოქროსფერი აბზინდა უბრწყინავდა.

— როგორ, შენა, ბიჩო? — მომიკითხა „ქართულად“.

ჩანთიდან თბილი, ყურებიანი ქუდი ამოიღო, დამახურა, ზონრები ნიკაპთან გამიბანტა, ჩამკიდა ხელი და შინ წავიყვანა.

ეს იყო ვარშავასთან დაღუპული პაპაჩემის მეუღლე, ქალბატონი პოლინა, უფრო სწორად, როგორც ახლობლები მიმართავდნენ, პოლინა როდიონოვნა, ქართული სანათესაოს მოყვარული და გულთბილი მასპინძელი.

სოფელში სამოსკოვედ რომ მამზადებდნენ, ერთმა ნასაღდათარმა, (კაცნი ვართ, შეიძლება გამოგადგეს), ჩვენებური „ჩასტუმკა“ მასწავლა:

„ჩიკა-ჩიკა-რამაია, რუსის გოგო რა კაია, დილით ადრე ადგება, ნავთის რიგში ჩადგება...“

სადგურიდან საერთო, კომუნალურ ბინაში მიგვიყვანეს და ახალ ციგაზე დამაყენეს, ლექსს თუ იტყვი, ეს ციგა შენი ფეშქაში იქნებაო.

მეც თამამად დავჭექე სოფელში ნასწავლი ლექსი.

იცოცხლე, იმ ციგით გული ვიჯერე. კომუნალურის დერეფანის ბოლოში, სამხედრო მფრინავის ოჯახში ორი და ცხოვრობდა. ამათგან უმცროსი, ჩემზე ცოტა ასაკით დიდი ანია, ციგაზე უკან შემომ-



იჯდებოდა, ნელზე შემომხვევდა ხელებს და დალიპულ გორაკზე თავბრუდამხვევი სისწრაფით მივქროდით ხოლმე.

უმშაკი ანია ძალიან პოპულარული იყო ბავშვებში. ის მიგვიძღვებოდა სახურავის, სხვენის, სარდაფის დასათვლიერებლად, შემცივნულები „საკაჩიგროში“ ჩავყავდით გასათბობად, სადაც, შავი ქვების (ქვანახშირის) გორა იდგა და წარბებმეტრუსულ, ცეცხლფარემ ბორიას, მხოლოდ კბილები ჰქონდა თეთრი.

გარეთ რომ მოვიწყენდით, დერეფანში დამალობნანს ვთამაშობდით. ვიმალებოდით ოთახებში, საერთო სამზარეულოში, მაგიდის ქვეშ, დერეფანის შედარებით ბნელ კუთხეებში, საკუჭნაოებში...

ერთხელაც, მე და ანია გარეთ გამოდგმულ, რომელიღაც ოჯახის ძველ, დაფუტურებულ ტანსაცმლის კარადაში შევიკუჭეთ.

ვდგავართ გულაძგერებულები, გასუსულები ველოდებით გვიპოვნიან თუ არა, რომ მოულოდნელად ანია მომეხვია, მომეკრო და... მაკოცა.

მაკოცა და მაშინვე კარადიდან გავარდა, დამტოვა გაოგნებული. პირველად, ალბათ, მაშინ ვიგუმანე, „რუსის გოგო“ მხოლოდ ადრე წამოსახტუნებლად და ნავთის რიგში ჩასადგომად რომ არ იყო საჭირო...

ჩიტაში აჭყიპინდნენ. მეც რგოლებს ხელი გავუშვი და აივანზე „დავეშვი.“ ცარიელი, კარლა გალია მდგმურებს ელოდება.

მაღე ფრინველების ბაზარზე წავალთ, საკენკის გარდა, რამდენიმე ღაბუა, წინკანა ჩიტსაც შევიძინეთ, — ვალოდიას წესად აქვს, ფრინველებს გამოკვებავს, გამოაზამთრებს და გაზაფხულზე გაუშვებს...

თბილისში, ვალოდიას ბოლო სტუმრობისას, მეგობრებმა ქსანზე წავიყვანეს. ექსკურსიის შემდეგ, ნაშუადღევს, ჭალაში ხეებქვეშ გამლილ პურ-მარილზე მიგვიპატიყეს.

სუფრასთან მხიარულობდა, თუმცა, დაღვეით, თუ ცოტა ნითელ ღვინოს არ ჩავთვლით, თითქმის არ სვამდა.

შუა ქეიფის დროს ადგა, მდინარეზე ჩავიდა, თვალს მოეფარა და აღარ გამოჩენილა.

მოსაძებნად წავედი. მოვიარე იქაურობა, ჭალა, სიციხით გახურებული რიყე, დავეყვი ვალეებით დაცოტავებულ ქსანს და მალე მივაღდექი — პატარა ტოტში გარდიგარდმო ჩანოლილიყო, წყალი დაეგუბებინა და თბილი, დუბელა ნაკადი სხეულზე ზემოდან უვლიდა.

— ვოლგაში ლიფსიტასავით იკარგები, უმწეო და იარალაყრილი ხარ... აქ ადამიანი შენს თავს ყველაფრის ბატონ-პატრონად შეიგრძნობ, — წამოჯდა წყალში, — გისმენდით სუფრასთან და აღმოვაჩინე, რომ სამშობლოზე თქვენსავით მძაფრად, მტკივნეულად არასოდეს არ მიფიქრია. იქნებ იმიტომ, რომ დიდა, მის უსაფრთხოებას, ენას არაფერი ეშუქრება... მაგრამ ნუ გგონიათ, თითქოს რუსეთი უპრობლემო იყოს. პრობლემები აქვს და თანაც როგორ... ჩამოდი, მოგატარებ დაცარიელებულ სოფლებს... აგტირება... ასეთი უამრავია... — ამოიხარა, — ხანდახან, რუსეთი, გულგამოჭმული მუხა მგონია...

მერე დადგა ავბედითი ოთხმოცდაცხრა.

საავადმყოფოდან ახალგამოსულს, მოსკოვიდან დამირეკა:

— ძლივს დაგიკავშირდი... ვგრძნობ, რომ აქ სიმართლეს ვერ გავიგებ... მითხარი, რა მოხდა?

— ივაჟუკაცს თქვენებმა...

პაუზა. ხვნეშა. წარმოვიდგინე, როგორ ამოეზიქა მკერდი და აკანკალბულ ნიკაპთან მიეზინა.

— ისინი არავისები არ არიან, გესმის? არავისები! — ამოთქვა, როგორც იქნა, — ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ, ყველას გადაეცი ჩემი სამიძმარი... ყველას... — ვეღარ დაამთავრა სათქმელი, აღელდა, დაიქმინა საბერველივით, ყურმილს ხელი დააფარა, მაგრამ მაინც მესმოდა ყრუ, მოგუდული ქეთიანი.

მძიმე დღეებში დაგროვილმა ბოლმამ ჩემშიც ამოხეთქა — თითქმის ორი-ათასკილომეტრიანი მანძილის თავსა და ბოლოში, ტელეფონის ყურმილს ორი სასონარკვეთილი ადამიანი ჩავქვიითინებდით.

ვიტირეთ, ვიტირეთ და, გული რომ მოვიოხეთ, ტელეფონი სიტყვის უთქმელად გავთიშეთ.

მაღე დედა გარდაეცვალა, მერე, ნომებერში შემეხმინა, საეჭვო ანალიზები მაქვს, გაზაფხულამდე რომ ვერ გავატანო, ჩემი გალიებიდან ჩიტებს ვინ გამოუშვებსო.

ისე, სხვათაშორის მითხრა და მეგონა მეხუმრებოდა.

თურმე თვითონაც გულგამოჭმული მუხასავით იყო — ყველაფერი უცებ მოხდა, ჩამოდნა, ჩამოილა ამხელა ვაჟუკაცი და მარტში, როცა მოსკოვში ჯერ მხოლოდ კალენდარზეა გაზაფხული, ვალოდია გარდაიცვალა.

სიკვდილსაც კეთილი, მიმტევებელი ღიმილით შეხვდა — შეუნდო უდროო სტუმრობა.

მოსკოვში ჩავედი.

იმ დღეებში სულ ქსანში ჩანოლილი მახსენდებოდა და მჯეროდა, რომ ვალოდიაც ცხრა აპრილის მსხვერპლი იყო. ანდერძის თანახმად, მიცვალბულს კრემაცა გაუკეთეს.

დაკრძალვის შემდეგ, შინაურებმა, ვალოდიას ბინაში მოვიყარეთ თავი.

სუფრასთან დიდხანს ვერ გავძელი, აივანზე გავედი, რგოლებს ჩავეჭიდე, მაგრამ ფერადმა ბურთებმა ქალაქის თავზე სამოგზაუროდ ვეღარ წამიყვანეს — ისინი გულქვა რეალობას დაეჩხვლიტა და სადღაც, შორს, დაჩუტულები დაფრიალებდნენ.

ჩაკეტილი ჩიტები აბუზულები ისხდნენ ხარხიბზე.

გალიების კარი გავაღე. წინკანები მომჩერდნენ, თითქოს არ სჯეროდათ, თავისუფლება რომ მიაჩვენეს. ბოლოს ერთმა გაბედა, წინ წამოვიდა, გალიის კარს ნისკარტი დაჰკრა, შეფრთხილდა, დაიქნია ფრთები და ჭყიპინით აივანიდან გადაფრინდა.

მაღე სხვებიც მიჰყვნენ. მათზე დარდისაგან მოისვენებდა ჩემი

მეგობრის სული.

დარჩა აივანზე ცარიელი გალიები და დასკორილი ხარხიბები.

„ნეტავ, სიკეთეს თუ იხსომებენ ჩიტები?“ — სუფრასთან დაბრუნება არ შემეძლო, სამზარეულოდან მისაღებში გავედი და შემოსასვლელი კარი ჩუმად გავიხურე.

დავრეკე ნელისთან, მინდოდა ლიტერატორთა სახლის ბუფეტში, ჩვენ ორს ვალოდია შესანდობარი გვეთქვა.

ახალგაზრდა კაცის ხმაში მიპასუხა, ნელი შინ არ გახლავთ, მე მეუღლე ვარ და მითხარით რა გადავცეო.

მოგვიანებით კიდევ დავრეკავ-მეთქი. აღარ დავურეკე, ლიტერატორთა სახლში მარტო მივედი.

ნაცნობი, ინიციალებიანი მაგიდა თავისუფალი დამხვდა.

მოვიტანე ორი ჭიქა, ორი თევში, ერთი ბოთლი ნითელი, მოლდავეური ღვინო (ქართული არ ჰქონდათ).

ორივე ჭიქა შევავსე. ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ ავდგებოდი, ცოტა ხნით მივიპყრობდი პატარა, მყუდრო დარბაზში მსხდომთა ყურადღებას და ვიტყვი, რომ დაიფრეოდეს „დიდ რუსეთში“, რომ ასეთი ადამიანების წასვლით მხოლოდ შვილები კი არა, ქვეყანა ობლდებოდა...

ვაპირებდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ვალოდია, ჩემს ნაბიჯს, აპლოდისმენტებით არ შეხვდებოდა — იქ თავმოყრილი, შეზარხოშებული საზოგადოება, მათი საუბრის თემებით თუ ვიმსჯელებდით, სულაც არ იყო თანაგრძნობისათვის განწყობილი.

ისიც გამახსენდა, ვაგანკოვზე, ახალი-მიტანილი, ცოცხალი ყვავილებით დაფარული ვლადიმერ ვისოცკის საფლავი რომ მაჩვენა და ერთგვარი სიამოვნებით ჩაილაპარაკა, თაყვანისმცემლები მომღერალის სამარეზე ყვავილს დაჭკნობას არ აცლიანო.

მართლაც გასაოცრად ხასხასებდნენ მიხაკები, ვარდები, ზამბახები, გეორგინები, ტიტები...

ვალოდიას მოკრძალებულ საფლავზე, ალბათ, მხოლოდ ჩიტები მიიტანენ, ყოველ გაზაფხულზე, თითო ღერ ყოჩივარდას-მეთქი, — ცრემლი მომერია.

ჩემი ჭიქა დავცალე, ამოკანრულ ინიციალებზე, ნასული მეგობრის უხილავ ნათითურებს ხელისგული გადავუსვი, თითქოს საბოლოოდ გამოვეთხოვე და ავდექი, ამოვიარე დახვეული კიბე.

გარდერობში, ფლანდვერა, ცქვიტმა ბერიკაცმა პალტო მომიბრუნინა, მუჭში ჩადებული ქალაღის ფულით გახალისებულმა ჩაცმაც დამიპირა, მაგრამ არ დავანებე და ისლა მოახერხა, რომ კმაყოფილმა მხრებზე მსუბუქად გადამკრა ხელი.

— თქვენ თუ აზამთრებთ ხოლმე ჩიტებს გალიაში? — ვკითხე ბერიკაცს.

— ვაზამთრებ? არა, არც მიფიქრია... — გაცხებულმა კართან მისულს ახლა თვითონ დამანია, — კი მაგრამ, რატომ მკითხეთ?

— მეგონა გეცოდინებოდათ, სიკეთეს თუ იხსომებენ ჩიტები.

დაბნეულმა მხრები აიჩეჩა, ვერ გეტყვით, არ ვიცო.

„როგორ შეიძლება, არ დაიხსომონ, ადამიანებივით უმადურები ხომ არ არიან!...“ — ეზოში ჯერ კიდევ საღი სიცივე შემეგება.

„დროუბა ნაროდოვის“ შესასვლელთან სამთავრობო, ჩართული მანქანა დამწვარი ბენზინის სუნს ფანტავდა.

რედაქციიდან ორნი გამოვიდნენ, მოკლე ქურთუკებით, ბენვის ქუდებით, ხელჩანთებით.

— *Մի քիչ, მისე քიჩი* — „Í ó, í í á à!“

— ჩემთვის მოულოდნელად ჰკითხა ერთმა მეორეს და პასუხს აღარ დაელოდა, ხმადაბობებულმა, ვითომ კავკასიური აქცენტით ხმამაღლა წარმოთქვა: — „*Մի քիչ, მისე քიჩი* — „Í ó, í í á à!“

— და პირველმა თვითონ გაიცინა. ნაბიჯი შევანელე.

ვერ გავიგე, უბოროტოდ იხუმრეს თუ ღვარძლიანად დაგვიცინეს. თუმცა, ჩემთვის, ერთსაც და მეორესაც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ვიცოდი — ერთადერთი, საიმედო ხიდი უკვე ჩატეხილი იყო იმ ქალაქთან, ახლა გაჭიანურებული ზამთრით გაბეზრებული ყვავები რომ დაჰყფდნენ თავზე...

პროლოგი

იმედი არ მაქვს, რომ მაინცდამაინც ამ დღეებში დაგესიზმრები. მე კი ნინა სამუშაო კვირას ორი დღე-ღამის განმავლობაში გხედავდი. არც გამოვხიზლებულვარ. ასე მძინარე გავდიოდი ხოლმე დილით ადრე, რვა საათისთვის სახლიდან. ვჯდებოდი საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ვუსმენდი მუსიკას, ძირითადად რეტროს. თვალეში დახუჭული მქონდა და არცერთი მგზავრი რომ არ გრძნობდა არავითარ უხერხულობას ამის გამო, მწყინდა. თვალეების გახელის შემთხვევაში, შესაძლებელია, ჩემს წინა კი მდგარიყავი და ეს აღარ იქნებოდა სიზმარი. მექანიკური გავხდი, ავტომატური ინსტიქტებით. ჩემი დილა-საღამოს ლოცვა იყო საზეპიროების ხმამაღლა თქმა. სამსახურის რუტინაც მექანიკურ ჩარხად იქცა, ყველაფერი თავისთავად კეთდებოდა. საღამოს კი ტრანსპორტში ისეთი სიხალკათე შეინიშნებოდა, მძღოლის აღქმაც კი მიჭირდა. როცა აღმართს დავადგებოდი, გზაზე სხედებოდნენ დიდი შავი ფრინველები და უტიფრად მათვალისწინებდნენ.

“ახლა ნაგვიყვანოთ თუ კიდევ ცოტა ხანი დაგაცადოთ?”

“მზეს როდის დამიბრუნებთ?!”

ისინი გუნდებდად მიფრინავდნენ ფრთების ტყლაშუნით და ჩხაოდნენ.

სანოლი აღმოსავლეთით იდგა და მოცუბდა მისი უმოძრაობა. მხოლოდ სამჯერ შემოტრიალებს შემდეგ ამეხსენებოდა ჯადო და გამახსენებოდა, რომ სხვები ქუდბენიანები თუ იბადებიან, მე “გამჩენმა” თავისუფალი ნება და ფრთები დამაყოლა, რომელიც სპილენძის დიდ სკივრშია ჩაკეტილი. გასაღების ადგილი კი უნდა სრულიად უცნობ კეთილ კაცს ემცნო წერილით.

ღამე პირდაპირი ეთერი იყო. ვჯდებოდი მოციმციმე ეკრანთან და მორბენალ სტრიქონად რომ გარბოდი, თვალ-ყურს გადავხედდი. შენთან ერთად კიდევ სხვა და კიდევ ბევრი სხვა. ადგილ-ადგილ, დრო და დრო ქუჩებში დადიოდი ფარნით ხელში და როცა მე ადიდებული მდინარის ხიდზე გადავდიოდი, შუქს მიქრობდი, რადგანაც საშინლად გინდოდა დავსველებულიყავი და ასეთ უსახურს შენი სახელი ამომეთქვა. ძველ, ჭიისგან დაფუტურავებულ ხის მიწურებზე, რომლებსაც დანგრევის პირას მიიყვანს ხოლმე უბინადრობა, პლაკატებს აკრავდი - ნისლები, გადახერხილი ხეების, უჯვროდ დარჩენილი ეკლესიების, სამკაპა ღიბიანი კაცუნისა და მყრალი, მრავალწლოვანი ბალახებისა. უცნობ ქალს, რომელიც ურჩხულების დედას უვლიდა, წერილებს უგზავნიდი. მე საფოსტო ყუთიდან გპარავდი ამ წერილებს და ვისაკუთრებდი სიტყვებს. დილაობით კი ვერაფრით ვივინყებდი, რომ გუდა-ნაბადი ავიკარი და ძილში გადავბარგდი.

ერთ-ერთი დღე

პირველი, რაც თავს შევამჩნიე, სოციოფობია იყო; კერძოდ, გულგრილობა და ინდიფერენტულობა მეზობლებისადმი. როცა ბუნავიდან ცხვირს ვყოფ, ისინი, ჯგროდ შეგრებოლინი ენას მიყოფენ. მე თავჩარგული მივიძურნები ერთ-ერთი მალაზიისკენ, სადაც თითქმის ყველა პროდუქტს ერთი ფასი აქვს. ვყიდულობ ლიტერატურულ ჟურნალს, რომელშიც არასოდეს გამოქვეყნებულა ჩემი ლექსები და არც არასოდეს დამინერია ლექსი. უბრალოდ, მიწოდდა ცხოვრებაში რამეზე მეოცნება და რალაცის მოლოდინით სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა. უკან მობრუნებულს გზას ყოველთვის მიჭრიდა ტალახში ამოთხვრილი კატა და ის კნაოდა ჩემი ანურულ-დანურული სიფათის დანახვისას. ვნატრობდი სათესლე ჯირკვლებს, რომ ხელი გემრიელად ამომესვა, რათა კატის ირონიულობა გამექარვებინა. ერთხელ კი მითხრეს, შე ყვერებთანო, მაგრამ ამის დაჯერება ჩემთვის არც თუ ისე ადვილი იყო. “მაშინა ვრემენი” დინამიკებიდან ჩამჩინებდა, რომ ერთხელაც ამეკეცა თმა და ამ ლიტერატურული ჟურნალით ხელში გავფრენილიყავი სამზარეულოს ფანჯრიდან, მაგრამ ყოველთვის მისის მიზიდულობას ვიმაგრებდი ფეხზე.

სახლი ყარდა. რადგან არაფერს ვჭამ-

დი და არც საკვების მომარაგების საშუალება იყო. ცარიელ ქვაბებს და ტაფებს გახურაზე შემოვდგამდი ხოლმე და მათი დამწვრის სუნით ვძლებოდი. წყლის შიშის გამო ყველა ონკანი გადაკეტილი მქონდა, ხოლო უნიტაზს სამყაროსთან დამაკავშირებელ სრულტედ მივიჩნევდი. ამიტომაც უმეტესწილად ზედ ვჯდებოდი და ვმასტურბირებდი.

იშვიათად, მაგრამ როდესაც შენ, ამ ლაივშოუს მთავარი დიჯეი მორბენალ სტრიქონად გარბოდი, უნიტაზიდან ამოდოდა მწვანე ხავსიანი რვაფეხა და დუნდულზე მეხვეოდა - ჩემი ერთადერთი და შეუცვლელი პარტნიორი.

პვირის სიზმარი

პირველი მოსაცდელში მდგომს ხელში აბრა მიჭირავს. აბრაზე შენი სახელი წერია ქართულად, მწვანე მარკერით გამუქებული - “იონანე”. მგზავრები აღმაცერად და ცალი წარბის ანევიტ მათვ-

ნატა ვარადა

ბანცხალება ელექტრობოქაზე



ლიერებენ. გასასვლელიდან შემოდიან და შემოსასვლელიდან გადიან. შემოყავთ აქლემებზე ჩამოკიდებული დაჭრილი ბეღინები, რომლებსაც ხელებიდან სცვივით ქალწულების თავებიდან ახდელი სკალპები, გრძელი თმებით, ლამაზი თმის სამაგრებით და უჩვეულოდ სურნელოვანი ყვავილებით.

უეცრად, ერთ წამში, ფოიე ცარიელდება და წითელი, ყველაზე წითელი ცხენით დგახარ გარეთ და მე ვფრინდები. უშველებელ და გრძელ ვიტრინებს ვანყდები და მინაზე ვრჩები.

არ მეღვიძება.

ერთ-ერთი პარასკევი

“დღეს მოკლე დღეა. გამოიყენეთ თქვენი შემოქმედებითი მიზნებისათვის” — ეს სიტყვები დეპარტამენტის უფროსმა გამოაკრა დაფაზე. მე შემიძლია სამსახურში დავიგვიანო და რაიმე მოვიმიზნო. მაგალითად ის, რომ შთაგონებისთვის თავდაყირა ვეკიდე, ან ის, რომ შემოდგომის ბაღში “ბომჟივით” დავეხეტებოდი და დამბეულ, ქეცთან ძალღებს დაავადებულ კანიდან აცილ წითელ წყლულებს ვაჭმევდი. ან საერთოდ არ გავალ გარეთ; ან ჩავიცვამ ისე, თითქოს და წვიმიანი ამინდია და ამგვარად გავყრი ჩემს ავადმყოფურ ბებერ სურვილებს მზიან დღეებში.

“სოკოები დაკრიფე ქალაქის განაპირა დასახლებაში, სოკოები დაკრიფე და ხარშე მიტოვებულ კარვის ქალაქში”. ჩემი ფანტაზიების ყოველთვის ემინოდათ შინაურებს: კატას, ძალღს, ბატებს და ციცარს. ისინი გამუდმებით თან დამყვებოდნენ.

“შეიძლება მელი მოგწერო?”
 “შეიძლება მელი მოგწერო?”
 “შეიძლება მელი მოგწერო?”

ამ ფრაზებმა ჩუტყვავილას მსგავსად გამომაყარა სახეზე და ერთი მათგანი ყველაზე დიდი და ხასხასა, სახელად “ჩინური თვალეების მქონე ბავშვი მინდა” პეკინელ ბიჭს თუ შევხვდებოდი და მისგან პეკინელისთვალეება, პატარა შვილი მეყოლებოდა. რისთვის მინდოდა ასეთი ბავშვი? მას თავისუფლად გავაშვილებდი ბავშვთა სახლისთვის. თუ მილიარდი მისნაირი დარჩებოდა. მაშინ ის შემთხვევით მოკვდებოდა.

ეს მოგზაურთა რასა კალიების შემოსევაა ფაქტობრივად. რით დამიმსგავსებს? ქერცილიანი გველეშაპის ორკაპა ენას, გრძელი წითელი საწვიმარის კაპიშონიდან გასდის თქრიალით ნერწყვივით სითხე. აქ ჩემს ეზოში დაინრიტება. კანის უცნაურ სიკრიალით და სიპრიალით. ის არასოდეს შემოგხედავს ჯიბრით თვალეებში, “რალაცას მალავს” მისი ქალი. ო, შავი ქალი, გრძელი სწორი თმით, როგორც აბაჟურს, ან დაღესტნელი მკა-

ლავი ლეკის ნაკეთობას, ისე ატარებს ბავშვებს ერთმანეთზე ასხმულს და მუცელშიც დედამინის მსგავსად მუდამ გაბზევილი აქვს. მათი ფეხები ქვიშის ნიადაგს ქარმა უმოწყალოდ შემოაფლითა და მოვიდნენ და ჩვენ, ანუ ადამიანებს, გვეჭიდებიან. ჩემი წვრილთვალეებიანი ბავშვი, რომელიც ძველი საყდრის უკან მოვკალი, ახლაც ძველი ქვევრის სამაროვნებთან იხრნება.

“დაჯექი, შვილო, რა ფერი გადევს?! “
 “გოგო ცუდად გახდა.”
 ფიქრობ, ტრანსპორტში ადგილს ვის უთმობენ? მომაკვდავებს, ცხადია! წუთუ ასე დამეტყო?! როგორ გაძლოს გვამმა ცოცხლებში. ნუ მომაცილებთ ყურსაც-ვამებს, ნუ გამოთონათ თვე, ბუდაბარს ვუსმენ და მე თვითონაც გასხივოსნება არ ამცდება. თქვენ რა გესმით, თქვენ ყველანი ჩემი მეზობლები ხართ... როცა ვუკრავ, გერმანიიდან რუსი გენერლის სახელზე ჩამოტანილი პიანინოს კლავიშები ებზარება და თქვენ ფიქრობთ, რომ დაკვრა ადრე უნდა მესწავლა?! შენს ქუჩაზე ნიშნადურის მძაფრმა სუნმა გონს მომიყვანა.

“შეიძლება მელი მოგწერო?”
 “შეიძლება მელი მოგწერო?”

ვილაც სჭირდებათ, იმისთვის რომ ამოიჩემონ და ყველამ ერთზე ილაპარაკოს. იმ ერთს ხშირად ხვდება ქვები საფეთქელთან ან ტალახი სახეში ან თეთრ ქაფს აფრქვევს პირიდან გველეშაპივით. ის ერთი ზიდავს მარიამისთვის მისატან ამბავს.

იესო გასცეს!

პარასკევის სიზმარი

შენ ძალიან მკრთალი სილუეტი გაქვს და ანათებ, როგორც პოლარული ვარსკვლავი. მახსოვს, ამოღამებული თვალეები

რომ დაგრჩა და ახლალა გამიკვირდა, ისევ რომ მწვანედ გიციმციმებს. გაკვირდები, მიკვირს. ვითომ ცოტაც და სადაცაა უცხო ქალაქის მეტროპოლიტენში ვართ. კაციშვილის ჭაჭანება არ არის. ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შემიძლია. დიდი ფრინველი მოფრინავს გვირაბიდან. მოინვეს. ვიცი, რომ მას შენი წაყვანა დაავალეს და თუ ხელს არ მოგკიდებ, შენც წაყვები. უეცრად, ოფლით გეცვარება სახე, ტანი, ხელები და მთლიანად ორთქლები ისევე როგორც გუბე, როგორც მდინარე, როგორც წვიმა. იგივე მინდა დამემართოს, ესკალატორზე ვდგავარ და არ უჩანს ბოლო. მალევე ვხვდები, უკან უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე უკან რომ მერე ისევ შევძლო დაბრუნება და დაგიბრუნო. შენ ზურგზე შეგისვა ლომის-სახიანმა ფრინველმა და ასე გაყვი.

ასე გადავიფიქრე გამოფხიზლება.

ოთხშაბათი დღე

სახლს როგორ გამოუქცევა ქალი, სახლს სადაც საძირკველში პაპის და პაპის პაპის ძვლები ყრია. მინაზე დაბიჯების შიშით თუ დაინფიცირდი, ისინი მინის ქვეშ ერთიანდებიან და შენს ნაბიჯებს ებჯინებიან, მაგრამ ფუძეზე დაუნყევლიხარ ოსის პატარძალს. პაპაშენი შეყვარებია და მისი უდღეური ქმარი მშვიდი რომ დაძრწოდა, თურმე მისივე ნისქვილში გააგზავნიდა ხოლმე.

ნისქვილის ქვასთან ახლოს, დოლაბთან დასვამდა და დაუკეტავდა გარედან კარს. მთელი ღამე ასე მჯდარა. თვითონ კი მიიღებდა შენს წინაპარს, თავისი სიკეთით აავსებდა და დილით კი ნისქვილში მობრუნებული კაცი აუშვებდა ძალღივით მიბმულს და სოფელში აბრუნებდა. თავი მოიგიჟიანა ამ გადაბერებულმა ქალმა. შენს ეზო-კარს შემოეჩვია. საქანელას სურვილი მოიმიზება, იჯდა და დიდხანს ქანობდა, წინ-უკან. წინ-უკან. და წინ და უკან, თან ბუტბუტებდა უცხო ენაზე. აგვისტოს სიცხეში გარეთ გამოქურნულ ფუძისგველს დაუდარაჯდა და მოკლა. მისი სისხლით მოგირწყო ხეები. ხილს როცა ჭამდი ამიტომაც გემწარებოდა და სუნზე კი ბრუვდებოდი.

- მამა ჩამოვიდააა, მამა ჩამოვიდააა! - იდაააააააააააააა! - ყირაზე გადდი გოგო, მიდი მოიტეხე კისერი. ეგ ფშეკია ფეხები გადაშალე, ყვავილები ამოგივიდნენ და გზაგზა დაგცივიდეს და ამ წითელი ყვავილების ნექტარზე ამოვიდნენ მინიდან ხელიკის მსგავსი ამბიფიები და დაადგნენ შენსკენ მოსასვლელ ბილიკებს.

- მამა ჩამოვიდააა, მამა ჩამოვიდააა! - იცი, მამ, ინათანას ბოტკინი აქვს და საავადმყოფოში წევს... მოგიხურა მანქანის კარი და დაგტოვა გარეთ, აეგრე გახარებული. შედი, შედი და შეიკეტე კარი და ჩანქი შენს საწოლში და დაიძინე, სიზმარში მოდის მალაქი კაცი, გრძელი თლილი თითებით და მოაქვს შენთვის დატკბილული შხამივით ვნება.

შესვენებაზე გადავწყვიტე ანჩისხატში გამევილო. ჰმ, გამევილო ანჩისხატში და გზაზე ქათმის მოჭრილფრჩხილებიანი კლანჭი ვნახე.

კლანჭმა მი თთხრა:
 - გოგოოო... დიდხანს ვაგვივარ აქ და შენს მეტმა სხვამ ვერაზინ ვერ შემამჩნიაო. ვეუბნები:

- შენ რა შეგიძლია. ისეთ ვინმესთან მივდივარ.. შენ გზას როგორ გადამიჭრი, თვითონ სახსარში გადახსნილი ხარ.

მიპასუხა:

- შვილოო, უკან გაბრუნდი. უკან გაბრუნდი. ეს როგორი მტრიანი გაჩენილხარ, ეს როგორი თვალეები გიყურებენ, ჰა? ეს შავი ბიჭი ვინ არის? ვინ ჩაგიშალა საქმე, ბეჭედზე მისული ლაპარაკი? შვილი არის ცოდო, შვილმა რა დააშავა. დანვება ეგ ქალი თეთრი თმით კუბოსთან.. მის სახეს და თვალებს ნახავ, მინას მოფხოჭნის გამწარებული. მისმა შვილმა რა დააშავა, შვილით ისჯება.

ვუთხარი:

- დედა-შვილობას გამიშვი. ერთ საათში სამსახურში უნდა დავბრუნდე. არავინ დაიჯერებს რომ ღმერთი მომენატრა და მის საწახავად გამოვიპარე.

მიპასუხა:
დასასრული მე-15 გვერდზე

აშლი დარღობა-ვედენო, რეზიდენცია შამილისა, ერთობ მინიერი და მდაბიური ჩანდა. აული განოლილიყო ამაღლებულ ზეგანზე — მყარი ხის გალავნისა და თხრილს მიღმა. ასანვე ხის ხიდზე დახვდათ ამხედრებულ მიურიდთა ჯგუფი, რომელსაც წინ მოუძღოდა ხანშესული ნაიბი, ძალზე გამხდარი სახე და გრძელი, მეჩხერი წვერი რომ ჰქონდა.

„კაჯიო ჰქვია, იმამის ხაზინადარი“, თქვა კეთილმოსურნე მოლამ, ტყვე-ქალებს თითქოს წარუდგინაო. და ქალბატონები თავის დაკვრით მიესალმნენ შამილის ხაზინადარს.

ზოიას თვალში მოხვდა, რომ ამ აულში ყველა ნაგებობა ხისა იყო. ყველგან — ხის სახლები და ხის კედლები. ირგვლივ კი მიმოფანტულიყო ერთმანეთს გამიჯნული ბალები და სახნავ-სათესი. განიერი ქუჩა ხის კარიბჭიდან წაიყვანდა შამილის სერალის კედლებისაკენ, აულის შუაგულში რომ იყო აღმართული და იქაურობას მედიდურად გადმოჰყურებდა. ცხენები შეაჭენეს ეზოში, სადაც კედლის მთელ სიგრძეზე მოჩანდა დახურული შუშაბანდები. აქ მუდმივად ბინადრობდა ორასი რჩეული მიურიდი. ყველაფერს ასკეტიზმის დალი ესვა. კედლები არ იყო მორთულ-მოკაზმული; ხის სვეტები, შუშაბანდს რომ ამაგრებდნენ, ასევე უბრალოდ გამოიყურებოდნენ და მკაცრი მოხაზულობა ჰქონდათ. დამხვდურნი კი ერთიანად შავ სამოსელში იყვნენ გამოწყობილნი. ზოიას გონებაში გაუელვა, მხიარულება და ლაღობა აქ ფეხსაც ვერ შემოადგამსო.

მაგრამ იმავე წუთას მთელი მისი ყურადღება მიიპყრო მეორე, შიდა კედელმა ვრცელი ეზოს შუაგულში, რომელიც ვარს ერტყმოდა საკუთრივ სერალს — შამილისა და მისი ოჯახის საცხოვრებელს. მომცრო აივანზე, მთავარი შესასვლელის მარჯვნივ, ზოიამ შენიშნა კაცის ფიგურა — თუ ეს იყო ხილვა თოვლისა და ცეცხლისა? იდგა და ეზოს გადმოჰყურებდა. კოლიათს ჰგავდა თავისი წონოლა, თეთრი დოლბანდითა და ჩამოშვებული, თეთრი ფერისავე მოსასხამით. ხოლო მისი წითური წვერი გამოჩნდა როგორც ცეცხლმოკიდებული ბუჩქი სამოსელის თოვლივით თეთრი სინმინდში.

„ოჰ, ღმერთო ჩემო“, წარმოთქვა ზოიამ მონინებული ჩურჩულით, „ეს ხომ თვით მონსტრი უნდა იყოს!“

კნეინა ანა ახლომხედველი იყო და მკაფიოდ ვერ გაარჩია, კნეინა ბარბარემ კი მზერა დაძაბა, რათა კარგად შეეხედა, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ დააკვირდებოდნენ შამილის ნაკვეთებს, რადგან დიდი კარიბჭე ბოლოს და ბოლოს გაიღო და მათ უთხრეს, შიგნით შედიეთ. ამასობაში შამილი უკვე გამქრალიყო თვალსაწიერიდან.

კეთილმოსურნე მოლა და სხვებიც გარეთ დარჩნენ. მარტოოდენ ხაზინადარმა კაჯიომ, ქალებთან ერთად, შეაჭენა ცხენი შიდა საეანეში. ტყვეებმა თავი ამოყვეს შემოღობილ სივრცეში, რომელსაც ხის კედელი გამოჰყოფდა ეზოსგან. ათიოდე გოგო მაშინვე შემოეხვიო ტყვე-ქალებს, შევლოდნენ ცხენიდან ჩამოქვითებისას და ზრდილობიანი შესტებით, მდაბალი თავის დაკვრით გზას უჩვენებდნენ.

შეაბიჯეს შიდა ეზოში, რომელიც წარმოადგენდა გარე ეზოს მომცრო ასლს — დახურული შუშაბანდებითა და კედლებით. ეზოს შორეულ კუთხეში იდგა პატარა სახლი, ასევე გარშემორტყმული დახურული შუშაბანდით. ზოიამ მალე შეიტყო, რომ ეს იყო სახლი, სადაც ცხოვრობდა შამილი. „როგორც კოლოფი მოთავსებული კოლოფში, რომელიც თავის მხრივ კოლოფშია მოთავსებული“, ჩაიჩურჩულა ფრანგულად და ბავშვები გააცინა.

ოთახი, სადაც საბოლოოდ შეიყვანეს ისინი, იყო ბნელი და ვიწრო. მოგვიანებით ზოიამ გულმოდგინედ გაზომა ოთახი და გამოაცხადა: „ოცდაექვსი ნაბიჯი თორმეტზე“. მათი ახალი ბინა ემიჯნებოდა ხის კედლებს და სერალის სხვა ოთახებივით გადიოდა შუშაბანდში. ოთახის მოზრდილი ნაწილი ეჭირა ღია ბუხარს, კარსა და პანია სარკმელს შორის რომ იყო ამოყვანილი. იატაკზე ფიწა თეთრი ქეჩა და ადგილობრივ ნაწარმი მომცრო ხალიჩები. როდესაც ოთახში შევიდნენ, ყველამ სიხარულით შეჰყვირა.

კედლებიდან გამოშვერილ თაროებზე ენყო საჩუქრები, თავად დავით ჭავჭავაძესა და სამას რომ გამოეგზავნათ: ლეიბები, ბალიშები, საბნები, პირსახოცები და საპონი; სამოვარი, ჩაის ჭურჭელი, თეფშები, დანა-ჩანგალი და კოვზები; კაბები, წინდები, ფეხსაცმელი, საცვლები; სავარ-

პავლე ჭავჭავაძე

შამილი და კნეინა

ფრაგმენტი რომანიდან „მთები ალაჰისა“

პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილთაშვილი — პავლე ჭავჭავაძე (1899-1971), დაბადებული და გარდაცემული სანკტ-პეტერბურგში, 1917 წლის შემოდგომაზე ოქტომბრის რევოლუციას გაექცა, რუსეთიდან გადაიხვეწა და დასახლდა ჯერ ინგლისში, მერე — შვეიცარიაში. „წითელი ჯვრის“ ამერიკულ ორგანიზაციაში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ მწერლობას მოჰკიდა ხელი.

პავლე ჭავჭავაძის კლამს, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ეკუთვნის ინგლისურ ენაზე დაწერილი რომანი „მთები ალაჰისა“ (1952), სადაც აღწერილია წინანდელ ტყვეთა თავდასავალი დღიდან გატაცებისა (1895 წლის 4 ივლისი) ვიდრე 1855 წლის 10 მარტამდე, როდესაც მოხერხდა მათი განთავისუფლება შამილის ტყვეობიდან.

ცხლები, ჯაგრისები, თმის სამაგრები და სარკეები. კუთხეში კი თავს იწონებდა პანია თუთიის აბაზანა. ყველაფერი მონდომებით იყო შერჩეული. ჭილის შლიაპებს ჰქონდათ მოგრძო, მუქი ფერის პირბადენი. მთელ სახეზე ჩამოუშვებდა და ამგვარად დაემორჩილებოდი გამტაცებელთა ადათ-ნესებს.

ხალისიანი შეძახილებით ხან ერთნივთს სტაცებდნენ ხელს, ხანაც — მეორეს. ერთმანეთს ეხვეოდნენ ალტაცებულნი.

„პირველი, რაც მჭირდებოდა“, დაიყვირა ზოიამ, „ეს არის ქათამი!“

მიაგნო ნივთებს, მის სახელზე რომ იყო დანიშნული და რამდენიმე წუთში საუცხოოდ გამოეწყო: მუქი ნაცრისფერი კაბა გრძელი ქვედატანით, პატარა შავი მანუეტებითა და შავი ფერისვე საყელოთი.

ბავშვების კმაყოფილებას ხომ საზღვარი არ ჰქონდა!

„უცბე კნეინა ანამ მკაცრად მიმართა ზოიას:

„იმედი მაქვს, ახლა თმას გაიზრდი. თქვენი ასაკის ქალს ნამდვილად არ შეეფერება მოკლე თმა.“

„მესმის, ქალბატონო! მაგრამ, მე გგონი, უფრო იოლია, თქვენ შეიკრიჭოთ თმა; აი, დავატოლოთ ერთმანეთს კისრები და ნახავთ, მართალი თუ არა ვარ.“

„მომწყდით თავიდან, შე ეშმაკის ფეხო!“ — კნეინა ანამ გაიცინა და ხელი ჰკრა ზოიას. ფრანგი ქალი კი გაოცებამ შეიპყრო იმის გამო, როგორ შეიცვალა მისი ურთიერთობა კნეინასთან. გაიფიქრა: „ასეთი სიტყვები, თანაც ამგვარი კილოთი, რომ მეთქვა მისთვის ამ რამდენიმე კვირის წინათ, ალბათ, გამაქრობდა.“

გარედან გაურკვეველი ბუტბუტი მოესმა და მიმოიხედა. ქალებს თავი მოეყარათ შუშაბანდში, ჩაცმულიყვნენ და კარის ჭურჭლიდან იჭვრიტებოდნენ ოთახში; ხოლო ერთი მათგანი, მალაი და ჩამოსხმული ტანის ქალი, ოცდაათი წლისა რომ იქნებოდა, ზღურბლზე იდგა და თავს უკრავდა ტყვეებს. მას ეცვა გრძელი თეთრი პერანგი, წელში გადატყევილი რომ იყო და ეშვებოდა მუხლს ქვემოთ გამოხედილ თეთრი ფერის შარვალზე, რომელიც მჭიდროდ მიტმანსოდა წვივებს. მისი თავსაფარი ერთგვარად წააგვდა მანდილს, ქართულ ქალებს რომ ესურათ თავზე, მაგრამ გრძელი ჩადრი, რომელსაც მოიხვევდა, როცა ინებებდა, შეკერილი იყო თეთრი სელისგან — ნაცვლად ტიულისა.

„მე შუანეთი ვარ, იმამის ცოლი“, თქვა ქალმა რუსულად, „არა, უფროსი ცოლი არა ვარ, დედა რომ იყო მისი შვილებისა. იგი რამდენიმე წლის წინათ მოუკვდა, ალაჰმა მშვიდობაში ამყოფოს მისი სული“, ოდნავ შეჭოქმანდა და მერე დასძინა: „მე სომეხი ვარ, ოღონდ რუსეთში დაბადებულნი. აი ამიტომაც არის, რომ რუსული ვიცი“, და კვლავ წუთიერი ჭოჭმანის შემდეგ: „მეც ტყვე ვიყავი... ოდესღაც.“

კნეინები და ზოია წამოდგნენ მისასალმებლად და როცა ისევ მოკვალათდნენ იატაკზე, შუანეთმა მიმოიხედა ოთახში. მის მიხრა-მოხრას და შესტებს ჰქონდა ბუნებრივი და კარგად მორგებული კეთილგანწყობა ტყვეების მიმართ, მაგრამ მის ღიმილსა და ხმის კილოში იყო რაღაც ნაძალადევი, თითქმის ხელოვნური, თითქოს ყოველ სიტყვას წინასწარ სწონიდა.

„მჯერა, რომ თქვენი ნივთებიდან არაფერი დაკარგულა“, თქვა მან ბოლოს, „კიდევ რამე ხომ არ გჭირდებათ?“

კნეინა ანამ ამცნო თავისი ნუხილი იმ ჩვილის გამო, რომელსაც ძუძუ აწოვა და გაუმიხლა, რძე რატომღაც დაიმპრაო.

შუანეთს გაეღიმა: „ეტყობა, ალაჰს გამოუგზავნია ეს ჩვილი ჩვენივის. ხაზინადარ კაჯიოს ჰყავს დაქვრივებული რძალი, რომელიც მასთან ცხოვრობს. რამდენიმე დღე იქნება, რაც ბავშვი მოუკვდა. დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ იტყვის, ძუძუ აწოვოს ჩვილს. დაველაპარაკები ამაზე.“

გამხდარ, პატარა გლეხის გოგოს ყვირილი აღმოხდა იმის გაფიქრებაზე, რომ დანარჩენ ტყვეებს ჩამოშორდებოდა. შუანეთი მიუბრუნდა მას და უთხრა:

„ნუ გეშინია გოგონი, კაჯიო აქვე ცხოვრობს, აგერ, კუთხის კოშკში“. და ხელი გაიმვირა დიდი კარიბჭის მიმართულებით.

მერე ვიღაცას ანიშნა და ორმა მსახურმა დიდი ლანგრით შემოიტანა საუზმე — ჩაი, თაფლი, ყველი, დიდი პური და, კნეინების გასაოგნებლად, დიდი კოლოფი ტკბილეულისა მოსიე ტოლეს მალაზიიდან. ზოიას ნაღვლიანად გაეღიმა ამ კოლოფის დანახვაზე.

ბავშვებმა ტკბილეული რომ დაინახეს, სიხარულით პირდაპირ გაგიჟდნენ. სამივე პატარამ ხელი ჩაჰყო კოლოფში, ეძებდნენ ყველაზე საყვარელ ნუგბარს. და თამარმა, როცა თავისი არჩეული ჩაიტკბარუნა პირი, ცეკვა-ცეკვით დაუარა ოთახს.

სუფთა, ზარივით წკრიალა სიცილი მოეყო კედლებს. ზემოთ რომ აიხედა, ზოიამ დაინახა გოგო, რომელიც დახრილი იდგა კართან. ეს იყო სანდომიანი ქმნილება, რომელსაც ჰქონდა პანია და ოდნავ პაჭუა ცხვირი; თეთრი, მწყობრად ჩანყობილი კბილები; ხასხასა წითელი ტუჩები და დიდრონი, ნაცრისფერი თვალები. მას ეცვა შუანეთივით, ოღონდ მისი გრძელი ქვედატანი იყო ცისფერი და შარვალი კი — წითელი. შუანეთი მობრუნდა და კნეინებს წარუდგინა იგი:

„ეს ამინეთია, იმამის უმრწემესი ცოლი.“


ვერ დაიჯერეს, რომ ეს გოგო, ჯერ კიდევ ყმანვილქალი, შამილის ცოლი იყო. ზოიამ სიბრალულით შეხედა, როდესაც ამინეთმა წინ გადმოდგა ნაბიჯი და მდაბლად დაუკრა თავი კნეინებს. მერე ისევ დაიკავა უწინდელი ადგილი კართან. ეზოს გაჰყურებდა, მაგრამ ზოიას თვალს არ გამოჰპარებია, რომ ამინეთი გული-სყურით უსმენდა ყოველ სიტყვას, რომელსაც ოთახში იტყოდნენ.

„ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს გულისხმიერებას“, უთხრა კნეინა ანამ შუანეთს, „მაგრამ, სამწუხაროდ, საჩივარიც უნდა მოგახსენოთ. ჩვენი მეგობარი ზოია დიუვალი ბენჯზე გადაურჩა სიკვდილს იმ სისასტიკის, მართლაც ავკაცური სისასტიკის გამო, ერთმა თქვენმა მიურიდმა, ჰაჯი-ხერიეთმა რომ გამოიჩინა.“

კნეინა ანამ დანვრილებით უამბო შუანეთს, როგორ იქცეოდა ჰაჯი-ხერიეთი, დაწყებული პირველი ღამიდან, ტყვეში რომ გაათიეს და დამთავრებული შმაგური ეპიზოდით, მთის ქედზე რომ გათამაშდა.

შუანეთმა წარბები აპრია. „თქვენ ძალიან მაოცებთ! ჰაჯი-ხერიეთი განთქმულია, როგორც უადრესად ღვთისმოსავი მუსლიმი და უპატიოსნესი კაცი. თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეუყვარდა ქალი. ცოლად ითხოვა, მაგრამ იმ საცოდავს თურმე მისი უმცროსი ძმა ჰყვარებია. რა უნდა ედონა, აილო და მალაღ კლდიდან ძირს გადაეშვა, თავის მოკვლა ამჯობინა უსიყვარულო ცოლ-ქმრობას. ჰაჯი-ხერიეთის ძმა კი მალე დაიღუპა ბრძოლაში. ჰაჯი-ხერიეთს იმ დროიდან ქალისთვის ერთხელაც არ შეუხედავს!“

ანაზღად ამინეთი წინ გადმოიხარა და კოპებშეკრული ბორძიკით ალაპარაკდა



რუსულად, ოღონდ ერთობ დამაჯერებელი კილო ჰქონდა:

„ჰაჯი-ხერიეთი არ არის კაიკაცი! დღენიადაც ჩასჩინებებს ყაზი-მაჰომას: საომრად წადიო!“

შუანეთმა გაიცინა და ზოიას მოეჩვენა, რომ სიცილი ხელოვნური იყო.

„ყურს ნუ დაუგდებთ ამინეთს. მაგას ყველა სძულს, ვინც კი ყაზი-მაჰომას დაუხალოვდება.“

ამის გაგონებაზე ამინეთს სახე წამოუჭარხლდა და გარეთ გავარდა, თანაც ბრაზიანი მზერა ესროლა იმამის უფროს ცოლს.

შუანეთი წამოდგა გამოსამშვიდობებლად.

„მე დამპირდნენ, რომ ჩემი მოახლეები აქ დამხვდებოდნენ“, თქვა კნეინა ანამ, „სად არიან?“

„აქ არიან, დარღობ-ვედენოში. სერალში ოთახები არ გვეყო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მათ მოვლა-პატრონობას არ მოაკლებენ.“

„მინდა, რომ ახლავე ვნახო ისინი!“

„რომელიც ძიძა გაგზავნეთ. თქვენი წოდების ქალი არ შეიძლება გამოჩნდეს სერალის გარეთ.“

ეს საკითხი სამუდამოდ გადაიჭრა და ზოიამ თქვა, თუკი ვინმე უნდა წავიდეს, მე წავალო. და წუთიერი ყოყმანის შემდეგ შუანეთი დათანხმდა.

ზოიამ თავისი ახალი შლიაპა დაიხურა და ჩადრი ჩამოიფარა. კნეინებს სიცილი აუტყდათ. შუანეთმა კი გაოცებით შეხედა.

საათის მეოთხედი რომ გავიდა, ზოია კვლავ მიჰყვებოდა კეთილმოსურნე მოლას. გადაჭრეს დიდი გარე ეზო, გავიდნენ განიერ, მთავარ ქუჩაზე და გზას გაუდგნენ. მერე ჩაუხვიეს მარცხნივ, ძალზე ვიწრო ჩიხში, სადაც ხის ტოტები მოხდენილად გადმოკიდებულიყვნენ კედლებზე. ზოიას გაეღიმა. გამველ-გამომველელთა ელდნაცემი მზერა გულიანად ართობდა, მაგრამ როცა კუთხეში შეუხვიეს და მოედანზე გავიდნენ, ღმილი ტუჩებზე შეეყინა.

მოედნის მეორე ბოლოში მოჩანდა შავად პირდაბრჩენილი ორმო. „ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს საშინელება იყო ყველგან ჰქონიათ“, ჩაიჩურჩულა და სხვა მხარეს გაიხედა. რამდენადაც შეეძლო, მიეტმანსა კეთილმოსურნე მოლას.

ამ მოედანზე იდგა სახლი, სადაც დაებინავებინათ წინანდელი მსახური. მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში ზოია ელაპარაკებოდა ქალებს, რომელთაც, ჩანს, არაფერი ჰქონდათ სასწუნო.

ზოიას გადაავიწყდა პირდაბრჩენილი ორმო, მაგრამ კვლავ გარეთ რომ გავიდნენ, შეცბუნებული ერთ ადგილზე გაქვავდა, თითქოს მიაჯაჭვესო. გული საშინლად უცემდა.

მოედანი გადაჭრა სახეიმო პროცესიამ. მას სათავეში ედგა კაცი, რომელიც გრძელ კიბეს მოათრევდა.

ახალგაზრდა ქალი მოჰყავდათ. იგი მძიმედ მოაზიჯებდა და პირისახე მიუგავდა თეთრ, ტრაგიკულ ნიღაბს.

ზოია მკლავში ჩაეჭიდა კეთილმოსურნე მოლას. მან კი მკვეთრი მოძრაობით მოიშორა.

„არასოდეს შეეხო მამაკაცს!“ თქვა უკმეხად და თითქოს შეინიშნა მკლავი, თითქოს დაუსვარესო. „ახლა კი წადი!“

მაგრამ ზოია რაღაცამ გააშეშა, თითქოს ფესვი მინაში გაიდგაო. „რატომ, რატომ?“ მისუსტებული იმეორებდა და ხელს იშვერდა ბრალდებული ქალისაკენ.

„ეგ ქალი დამნაშავეა. თავისი ქმარი მოკლა.“

ზოია ვერ აცნობიერებდა ამ ქალის დანაშაულს. აქამდე არასოდეს მოსვლია თავში, რომ შეეძლოთ ქალის ჩაგდება საზ-

არელ ორმოში. კიბე ჩაუშვეს და ხელს ჰკრავდნენ ქალს, ჩადიო. ის კი წინააღმდეგობას უწევდა. მოულოდნელი და დაუოკებელი შიში დაუფულა ზოიას. ხელფეხი უკანკალებდა. ჩადრი მიიკრა თვალეხსა და ლოყებზე.

მძლავრი აგონია მხოლოდ ნუთით გაგრძელდა. კეთილმოსურნე მოლა მოუთმენლობას ამჟღავნებდა. ხმას აუწია და ზოიას უბრძანა, წამოდო.

ზოიამ მუშტები მოკუმდა და თავჩალუნული მორჩილად გაკვეთა კეთილმოსურნე მოლას. უკან გახედვას ვერა ბედავდა.

იმავე საღამოს, დაახლოებით რვა საათზე, შუანეთი — შამილის მეორე ცოლი — ერთობ ადგზნებული შემოვარდა ტყვეთა ოთახში და გამოაცხადა, იმამს ბავშვების ნახვა სწადიაო. მისი სიტყვით, ქალთაგან ერთ-ერთს, ოღონდ კნინების არაო, შეეძლო გაჰყოლოდა ბავშვებს და თვალყური დაეგდო იმ პირობით, რომ იმამის სამყოფელის ზღურბლს არ გადააბიჯებდა. კნინა ანამ თავისი ჩვილი სანდრო მკლავებში ჩაუკრა ზოიას და შეევედრა, თვალის არ მოაშორო; შიმობდა. ჩვილი, მართალია, ცოტა მოკეთებულყოფი, მაგრამ ჯერ კიდევ ავადმყოფი ერქვა.

შამილის ოთახის კარი გაიღო და იქიდან შუქი გამოკრთა. ზოია მიადგა კარს. მისი ცნობისმყოფარობა შერწყმოდა გარკვეულ ძრწოლას, მაგრამ ზღურბლზე ერთბაშად გაოცებამ შეიპყრო.

გრძელსა და ვინაო ოთახში, რომელსაც რამდენიმე ქონის ნათელი ანათებდა, იატაკზე ფეხმორთხმით იჯდა შამილი. მის ცხვირწინ დაბალ სკამზე წამოსკუპებულიყო ულახათო შავ-თეთრი კატა და მოშვიებული შეჰყურებდა, თუ როგორ უმზადებდა შამილი საჭმელს მომცრო თიხის ჯამში. მისი ნითური წვერი ნაკლებად ელვარებდა გრძელი, შავი სამოსელის ფონზე. შამილი ლამის კრუტყუნით ეზაასებოდა კატას. წვერილი თვალეხი მოჭუტყული ჰქონდა. ყოველი მოძრაობა მოზომილი და აღრსებით აღსავსე იყო. დიდებული შესახედაობისა გახლდათ. თავზე თეთრი დოლბანდი შემოხვია ფეხის გარშემო და ჩახლართული ბოლოები დოლბანდისა თავისუფლად გადაჰკიდებოდა ზურგზე. შავი ბუნჯის კიდე შემორტყმოდა შუბლს და დოლბანდი ვივება, თეთრ გვირგვინს ემსგავსებოდა.

შამილმა ჯამი მაგიდაზე დაუდო კატას და ყურს უკან მოფხანა. ამის დანახვაზე სალომეს, მარიამსა და თამარს, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ და ფართოდ გახელილი თვალეხით უცქერდნენ უჩვეულო სანახაობას, აღტაცებული სიცილი აუტყდათ. შამილმა გაუღიმა ბავშვებს. ამინეთი, მესამე ცოლი შამილისა, იქვე ფუსფუსებდა. ვახშამი გაემზადებინა შამილისათვის, მაგრამ მან ხელი აუქნია და შუანეთს რალაც ანიშნა.

შუანეთმა შეიღო თვის გიორგი ორბელიანი დაანვინა შამილის გვერდით მოთავსებულ დიდ, წითელ ბალიშზე და სამივე გოგოს უთხრა, ახლოს მოდიეთ. შამილმა ბავშვებს ხელი თავზე გადაუსვა, მერე კარბემი მოიფაფურა, მთელი მუჭა წუმის კანბელი ამოაცურა და სამივეს პირში ჩაუტენა.

ახლა სანდროს ჯერი დადგა და შუანეთმა ბავშვი გამართვა ზოიას.

შამილს მამინვე არ შეუხედავს ზოიასთვის და ქალს ეს ესამოვნა; დრო მიეცა, რომ ირგვლივ ყველაფერი მიეთვალეირმოეთვალეირებინა. იატაკზე გაშლილ ხალიჩებსა და რამდენიმე დიდ, წითელ მუთაქას თუკი არ ჩათვლიდო, ოთახი ძალზე უბრალოდ გამოიყურებოდა. რამდენიმე ხმალი და ხანჯალი ეკიდა თეთრად შეღებულ კედლებზე; რამდენიმე ტყავგადაკრული ნიგნი იდო თაროზე — ეს იყო და ეს. ვახშამიც კი, ამინეთს რომ გაემზადებინა, საკმაოდ ლარიბული იყო: ერთი ჭიქა ყავისფერი ჩაი, რძე, ყველი და თეთრი პურის ორი პანია ნაჭერი.

შამილი დაიხარა სანდროსკენ და ღრმა ნაოჭმა შეუჭმუნა წარბები. გამხდარი და ფერმკრთალი ბავშვი ენვა კალთაში. თავი გააქნია და პირველად, მხოლოდ ერთხელ, პირდაპირ შეხედა ზოიას. თვალეხი, ჩვეულებისამებრ, მოჭუტული ჰქონდა, მაგრამ მზერა — დაძაბული. ზოია უმადლოდა თავის პირბადეს. შამილი თვალჩაიცებით შეჰყურებდა მთელი ერთი ნუთი, მერე თავი მიიბრუნა, აშკარად დაეტყყო, რომ არ მოეწონა ქალის სამოსელი და შლიაპა. მან მკაცრი ხმით რამდენიმე სიტყვა უთხრა თავის ცოლებს და ხელის აქნევით მოიშორა ბავშვები.

შუანეთმა სანდრო დაუბრუნა ზოიას და ბალიშიდან აიყვანა გიორგი. „იმამი ამ-

ბობს, გვეყოფა ამდენი სიკვდილი. სანდროს კარგად უნდა მოეუაროთო. ნებაჯს, რომ ყოველდღე მოეუყვანოთ ხოლმე. მარტო სანდრო, სხვა არავინ“.

შუანეთმა პატარა გოგოები ოთახიდან გალაღა და აუდიენცია დამთავრდა.

მეორე დღეს, დილაადრიან, შუანეთი ფეხაკრეფით შემოვიდა ტყვეთა ოთახში. ქალბებთან მარტოკა რომ დარჩა, მისი ქცევა აღარ იყო ნაძალადევი და ხელოვნური. სიმპათიით შეჰყურებდა ქართველ ტყვექალებს თავისი დიდრონი, თაფლისფერი თვალეხით. ფეხმორთხმით მოკალათდა იატაკზე, კნინებისა და ზოიას ახლოს, და აჩქარებით წაურჩულდა: „აი, რა უნდა გითხრათ. ნუხელის იმამს ველაპარაკე ჰაჯი-ხერიეთზე. იმამმა თქვა, საბედნიეროდ არავინ დაშავებულაო. ამჟამად მეტსვერაფერს გავანწყობ. მაგრამ სამართალი მაინც დაადგება თავის გზას, დრო რომ მოვა!“

„სამართალი!“ — აღშფოთებით წამოიძახა ზოიამ. „კაცი ხელს რომ აღმართავს უმწეო ქალის მოსაკლავად და დაუსჯელი დარჩება — ამას ჰქვია სამართალი“!

ამის გაგონებაზე შუანეთს თვალეხი გაუფართოვდა, ტურნები მოკუმდა და ზედ თითი მიიღო.

„ალარასოდეს ერთი სიტყვაც არ წამოგცდეს იმამის წინააღმდეგ! მაჟურ-ჟოლებს იმის გაფიქრებაზე, როგორი სასჯელი შეიძლება დაგატყდეს თავს. და თუკი მაინც არ დაიშლი შენსას, იცოდე, ამჯერად ვერაფერს გიშველი. იმამი დიდებული და საოცარი კაცია. გაგიყვებით მიყვარს!“

შუანეთი წამოდგა, სახე წამოსწითლებოდა, კარისაკენ გაუძღვა გლეხის გოგოსა და მის პანია დაიკოს. „წამოდიო“, მკვახედ უთხრა, „კაჯიოს კომკუმი ნაგიყვანო“. და მერე მინახებული ხმით დასძინა: „ნუ გეშინიათ, შეგიძლიათ მოხვიდეთ თქვენი კნინების სანახავად, როცა კი მოგიინებოთ“.

როგორც კი შუანეთმა დატოვა ოთახი, ჰაჯი-ხერიეთი მოადგა კარს, თან მოჰქონდა სამფეხა სკამი, რომელიც ოთახის გარეთ, შუშაბანდში მოათავსა. „პირისახე დაიფარეთ“, მიმართა ტყვე-ქალებს, „იმამი უნდა გეწვიოთ“.

კნინებმა და ზოიამ თავსაბურავები მოირგეს და პირბადენი ჩამოიწიეს. ძიძები და ბავშვები ფეხზე წამოდგნენ.

შამილმა ოთახის კარი შემოაღო. ისევე ეცვა, როგორც წინა საღამოს — გრძელი, შავი ფერის სამოსელი და თავზე შემოხვეული თეთრი დოლბანდი. ხელი ჩაეკიდა შვიდი წლის გოგოსათვის, რომელსაც მშვენიერი, დახვეწილი სახის ნაკეთები ჰქონდა და ისეთივე ტანსაცმელი ეცვა, როგორც სერალის მოზრდილ ქალებს, ოღონდ თავშიშველა იყო.

შამილი ხმადაბლა დაელაპარაკა ჰაჯი-ხერიეთს და მან რუსულად წარმოთქვა: „დიდებული იმამი ამბობს, თქვენმა ბავშვებმა ნაჯაბათთან ითამაშონო. ეს არის უმრწემესი ასული იმამისა“.

ნაჯაბათმა გაუღიმა სალომეს და მარიამს. ანაშნა, ჩემკენ მოდიეთო, ხელი ჩასჭიდა და ეზოში ერთად გაიქცნენ. შამილმა უბრძანა ძიძებს, დანარჩენი ბავშვებიც ოთახიდან გაიყვანეთო.

მერე ჰაჯი-ხერიეთმა თქვა: „იმამს ნებაჯს იცოდეს, საუზმე მოგეწონათ თუ არა“.

„დიახ, მოგვეწონა. გმადლობო“, უთხრა კნინა ანამ. „ყველაფერი მოგვეწონა, გარდა ქონიანი პურის ქერქისა. ქონს მიჩვეული არა ვართ“.

შამილმა გაუღიმა კნინას, თქვენი კარგად მესმისო. „მეც არ მომწონს, შუანეთს ვეტყვი, თქვენთვისაც ისეთი პური გამოაცხობ, მე რომ მიცხობო“.

ქალები არ მოელოდნენ ამგვარ კეთილგანწყობას და გულისხმიერებას. ისინი დასხდნენ თავიანთი ბნელი ოთახის იატაკზე და ვერც კი ბედავდნენ, საკუთარი თავისათვის მაინც გაემხილათ ის თმდები, მოულოდნელად რომ აღეძრათ გულში. წამოწყებული საუბარი მდორედ მიედინებოდა. ორივე მხარეს ლოდინი უწევდა, ვიდრე ჰაჯი-ხერიეთი გადათარგმნიდა ნათქვამს.

შამილი ჩამოჯდა სამფეხა სკამზე და თქვა:

„შენ დიდხანს მალოდინე, ანა... რამდენჯერ გამოგზავნე ჩემი მზევრავები, სანამ არ მომახსენეს თქვენი ჩამოსვლა წინანდალში“.

როდესაც კნინა ანამ გაიაზრა შამილის სიტყვების მთელი მნიშვნელობა, შეძრწუნებით აღმოხდა:

„თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ ჩვენი

მხარის ნახევარი გააძრცვეთ და ასობით სული საიქიოს გაისტუმრეთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს დასატყვევებლად?“

„მამ სხვაგვარად როგორ დავიბრუნო ჩემი შვილი? ქართველი მეფის შვილიშვილისა და შვილთაშვილთა გულსაკლავი ვედრებანი, უთუოდ, მისწვდება ძღვეამოსილი რუს-ხელმწიფის სმენას“.

შამილი მიუბრუნდა კნინა ბარბარეს.

„შენ და შენი შვილი რომ იქ იქნებოდით, ჩემთვის მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. მე დიდად ვაფასებდი და პატივსაც ვცემდი შენს ქმარს“.

წამით დაჟინებული მზერა ესროლა ქალებს, მერე გაიღიმა.

„წურაფერი შეგაშფოთებთ. აქ კაციშვილი არაფერს დაგიშავებთ. თქვენ მოგეპყრობიან, როგორც ჩემი ოჯახის წევრებს, თუკი უსიტყვოდ დამემორჩილებით“.

შამილი შეიჭმუნა და თითი ასწია.

„თქვენმა ბავშვებმა თავისუფლად ითამაშონ ჩემებთან და მათი ძიძებიც გაჰყვებიან, სადაც კი ისინი წავლენ“.

ახლა მეორე თითიც ასწია.

„ვიდრე მე სახლში ვიმყოფები, თქვენ სამივენი ამ ოთახში უნდა დარჩეთ შენი-დებამდე. მერე კი შეგიძლიათ სკამზე ჩამოსხდეთ შუშაბანდში“.

ბოლოს მესამე თითი ასწია.

„როდესაც სახლიდან გავალ, ფრანგის ქალს შეუძლია ისეირნოს ეზოში და ჩემს ცოლებს ესტუმროს, მაგრამ თქვენი გვარის ქალებისათვის, ანავა ბარბარეც, ასეთი ქცევა შეუფერებელი იქნებოდა. თქვენ არასოდეს არ უნდა გაცხდეთ შუშაბანდს“.

შამილი ლაპარაკობდა და მისი სიტყვები თანდათან უფრო და უფრო ძალოვანი ხდებოდა.



„გულისყურით მისმინეთ. ყველაფერი ჯერ არ მითქვამს. თუკი რომელიმე თქვენგანი შეეცდება საიდუმლოდ გაუგზავნოს წერილი ნათესავებს ანდა ისინი საიდუმლო გამოგზავნიან წერილს, იცოდეთ, არც თქვენ დაგინდობთ და არც თქვენს შვილებს. დაგხოცავთ, როგორც დავხოცე ათი რუსის ოფიცერი, რომლებსაც პურის ნაჭერი ჩამალული წერილი მოუვიდათ, ანდა ყოველ თქვენგანს მონებად დავურვიგებ ჩემს ნაიბებს!“

შამილმა მუქარით გაიშვირა თითი ტყვე-ქალებისაკენ.

„ერთი მდიდარი რუსის გოგოს ამბავსაც გეტყვით, ჩემმა მხედრებმა რომ დაატყვევეს რამდენიმე წლის წინათ, როცა ეკლესიაში მიეშურებოდა ჯვრის დასანერადა. მისი ოჯახი მზად იყო, დიდი გამოსასყიდი გადაეხადა გოგოს დასახსნელად, მაგრამ ამაოდ გაისარჯნენ. მცდელობამ უქმად ჩაუარათ, ყური არ ვათხოვე, ვინაიდან იმ გოგომ თავს ნება მისცა, რომ არაფრად ჩავეგდე. ამის საზღაურად მონასავით გავაჩუქე და სიკვდილამდე მონადვე დარჩება! იგივე ხვედრი გერგებთ წილად თქვენცა და თქვენს შვილებსაც, ანავა და ბარბარეც, და შენც, ფრანგის ქალი, თუკი მანამდე არ დაგხოცეთ!“

შამილი ლაპარაკობდა მშვიდად და ამით მისი სიტყვების სისასტიკე უფრო მეტ ძალას იძენდა. ტყვე-ქალებს მეხვივით დეცათ ზედიზედ გამოთქმული დამუქრებანი, მყისვე რომ მოჰყვა მის თავაზიან გულითადობას. ზოიას ცივმა ყრუანტილმა დაუარა ზურგში. კნინა ანამ მუერაცხყოფილად იგრძნო თავი, შამილს ზურგი შეაქცია და ლამობდა გადაეყვანა მძინ-

ვარე პასუხი, ენის წვერზე რომ მოადგა. მარტოდენ კნინა ბარბარეს შერჩენოდა სიმშვიდე. იგი წამოდგა და კარს მიუახლოვდა.

„შენ არ უნდა დაგვემუქრო, შამილ! ჩვენ არ ვაპირებთ ურჩობას. რაც შეეხება ჩვენთვის გამოგზავნილ წერილებს, ჩვენ არ ძალგვიძს პასუხი ვაგით არც მათ შინაარსზე და არც იმაზე, თუ რა გზით და რა ხერხით გამოგვიგზავნიან“.

შამილმა გამომცდელი მზერა მიაპყრო კნინა ბარბარეს და ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა:

„და მაინც, როგორც გითხარით, ისე იქნება, რაც არ უნდა მოხდეს, რადაც არ უნდა დამიჯდეს. თუკი რომელიმე თქვენგანი მიიღებს, თუნდაც ერთხელ, საიდუმლო უწყებებს, ველარასოდეს ვეღარ იხილავთ თავისუფლებას! და გახსოვდეთ, ჩემი მუქარა არასოდეს ყოფილა ფუჭი!“

შამილი გაჩუმდა, თითქოსდა საიმი-სოდ, რომ მსმენელნი ღრმად ჩასწვდომოდნენ მის ნათქვამს. მერე გუნება შეეცვალა და კვლავ გაიღიმა.

„ახლა, როდესაც ერთმანეთს გაუფგეთ, ანავ, შენს ქმარს მისწერ და წერილს მაჩვენებ, რომ შევაფასო. გენერალმა რეადამა მას დაავალა მოლაპარაკება ჩვენთან“.

კნინა ანას გულისწყრომა გაუქრა და თვალეხი ბედნიერების ცრემლით ავესო. ეს იყო პირველი ოფიციალური ცნობა იმის თაობაზე, რომ თავად დავით ჭავჭავაძე ცოცხალი და საღ-სალამათი იყო. საჩუქრებიც თითქოს ამასვე ნიშნავდა, მაგრამ ერთი სიტყვაც რომ არ ახლდა, ამან დააეჭვა და კნინა ანას კარგად მოეხსენებოდა — დავითი თუ არა, მისიანები ხომ გამოგზავნიდნენ.

„დიახ, შამილ“, თქვა მან თითქმის მორჩილად, „მე დავწერ, რასაც კი მიბრძანებ“.

„მამ, ძალიან კარგი. აი, ასე მისწერე: შამილი თავისთვის ითხოვს თავის შვილს ჯემალიდინს, თავისი ხალხისთვის კი — მილიონ მანეთს ვერცხლით!“

ტყვე-ქალებს სუნთქვა შეეკრათ. იმხანად ვერცხლის მაღალი ფასისა და ცხოვრების დონის გამო თითზე ჩამოსათვლელი იქნებოდნენ ამხელა სიმდიდრის მფლობელები. „მილიონი მანეთი!“ გაიმეორა კნინა ანამ იმის იმედით, ეგებ სწორად ვერ გავიგეთო.

„ოჰ, ჩვენ არ გავაჩნია ამდენი ფული. არაფერი გავაჩნია, ასეთ თანხას რომ შესწვდეს“.

„მე მითხრეს, რომ აურაცხელი განძეული უპოვიათ თქვენს სახლში“.

„დიახ, შამილ, ჩვენ კარგად ვცხოვრობდით. მშვენიერი სახლი გვედგა, სადაც ვლენოვანდით მეგობრებს და ხალხი მდიდრებად გვთვლიდა. მაგრამ ახლა ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. ბევრი ფული არასოდეს გექონია. გვაცხოვრებდა მოსავალი ჩვენი მამულებისა, თქვენ რომ გააპარტახეთ“.

შამილმა თვალეხი მოჭუტა.

„შენი ქმრის დას, სამეგრელოს დედოფალს, შეუშლია გადაგვიხადოს მილიონი“.

„ვეჭვობ. გარდა ამისა, რამხელა ქონებაც არ უნდა ჰქონდეს, მისი განსვენებული ქმრისაა და იგი მხოლოდ განაგებს მას, როგორც მეურვე თავისი ყმანვილი შვილისა“.

შამილი ახლა კნინა ბარბარეს მიუბრუნდა.

„ილიკო ორბელიანი მდიდარი კაცი იყო. შენ შეგიძლია გამოასახილო დიდი წილი შეაგროვო, თუკი მოინდომებ“.

„არა, შამილ“, ნაღვლიანად უპასუხა კნინა ბარბარემ. „ჩემი ქმრის სიმდიდრე, მეტიწილად, მამულები იყო. ჩვენს შვილს უანდერძა და, ჩვენებურთ კანონების თანახმად, ხელსაც ვერ ვახლებ, ვიდრე გიორგი სრულწლოვანი არ გახდება“.

შამილმა მოუთმენლად გააქნია თავი.

„ანა, მაშინ შენს ქმარს მისწერე, რაც გითხარი. ჩემმა ხალხმა მილიონი მანეთი უნდა მიიღოს“.

სწრაფად წამოდგა და იქაურობა დატოვა. კნინა ანამ პირისახე ჩამალა ხელებში, ხოლო მხრებჩამოყრილი და დაღვრემილი კნინა ბარბარე სასონარკვეთით ჩაშტერებოდა იატაკს. მილიონი მანეთი ვერცხლით თითქმის ოთხჯერ აღემატებოდა იმავე თანხას ქალაქის ფულით. ორივემ კარგად იცოდა, რომ მათი ოჯახები ვერასოდეს ვერ შეძლებდნენ ამხელა თანხის შოვნას.

შალვა საბაშვილი

ოკეანეში

ეს სიუხვე, ეს სიმდიდრე როგორ ამოვწურო? ეს ტალღებით სავსე სივრცე როგორ გამოვცურო?

როგორ ვიგრძნო, დავინახო ამ გრძნობების კიდე? ამ მთის იქით, ამ ზღვის იქით როგორ გადავიდე?

ვით გამოგყვე, ვრცელ მინდვრებზე მიმქროლაჲო ქარო! ამოდენა დედამინა როგორ მოვიარო?

ჩანს სილურჯე უსასრულო, გაჰქრა ფერი მწვანე, ყველგან, ყველგან. ყველგან, ყველგან ოკეანე!

ქარავნები თევზებისა, მედუზების ჯარი, მთელი კვირა, მთელი კვირა იმძვინვარებს ქარი.

აგერ, მძლავრი კაშალოტი, შადრევანი წყნარი, გარდა წყლისა, გარდა წყლისა ირგვლივ არა არი.

ჰორიზონტზე წერტილივით ხან ჩაივლის გემი, ზოგჯერ კუნძულს წარმოიდგენს წარმოსახვა ჩემი.

ქვემოთ სავსე ცხოვრება აქვთ თევზთა ურიცხვ ჯგუფებს, უფრო დაბლა წყალმცენარეთ მდუმარება სუფევს.

შორს, შორს ვრცელი ნაპირები ირეცხება მარად, სუნთქავს წყალი და არაფერს ის არ აგდებს არად.

სადღაც გემი ჩაიძირა,— ჰა, რას იტყვის ბედი? ზედაპირის მცირე თრთოლა, არაფერი მეტი.

აი, ვიღაც შევლას ითხოვს, თუ გრძნობს ცოდვას წყალი? მხოლოდ წამი. შემდეგ მცირეც არსად რჩება კვალი.

აგერ, სჩანან მეთევზენი, იმედები — ჯარად. ქარიშხალი. დაილუპუნენ. ნანობს წყალი? არა!

აქ დროს თითქოს აზრი არ აქვს, მაინც უთვლელ წყებად ღამე, დღე, საღამო ერთუროს ენაცვლება.

ხმელეთზე კი მეზღვაური ამბებს ჰყვება უზღვავეს, და იქ სიტყვა "ოკეანე" წარმოსახვას სუსხავს.

მეც წყალში ვარ, ჰქრიან ირგვლივ გრიგალები სიტყვის, ძალას მათსას აზრი იგრძნობს, ენა — ვერრით იტყვის.

აქ ყველაფერს წამში ასჯერ ჰქმნის და ანგრევს ქარი, მე კი მინდა ქაოსიდან შევქმნა რაღაც მყარი.

და მძვინვარებს ფიქრის ქარი, უხვი, ხშირი, მჭიდრო, რომ ამ ნისლში სხვა წესრიგი შევქმნა, დავამკვიდრო;

სიტყვებს ვიჭერ, ვანყო, ვაგებ, ვძერწავ, ვკონავ, ვფერავ, და იქმნებით: აზრო, გრძნობავ, სახევე, შუქო, მზერავ;

და ეს სივრცე, ეს სიუხვე როგორ ამოვწურო? ეს ტალღებით სავსე ველი როგორ გამოვცურო? როგორ ვიგრძნო და მოვიცვა ამ გრძნობების კიდე? ამ მთის იქით, ამ ზღვის იქით როგორ გადავიდე?

ამაო! ირგვლივ ბნელი კანონი წყება მეფობს, არ არსებობს არც ჭურჭელი, ბადეც არ არსებობს.

და ვინც მტკიცედ მოისურვებს, არსს მიაგნოს მართალს, სივრცე სამკედრო — სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავს.

მეც ვით შეეძლებ შევსვა ზღვა თუ დავიურვო ქარი! ან შევალ საგანძურთა ცხრაკლიტულის კარი!

მივაკვლიო თვალ — მარგალიტს, ჩავეკონო ცისკარს! ან ავაგო სასახლენი წმინდა გრძნობებისგან!

ო, არც მელის ალბათ, რომ გზა ნაპირამდე განველო, თუნდ ნადავლით ვიყო სავსე, თუნდაც — უნადავლო!



რა დარჩა კიდე?

სურვილთა ზღვარო, ფიქრების რიდევე, რა დარჩა კიდევე, რა მწადადეს კიდევე? რად ისმის თქვენი ხმები მკილავე, რა არის ჩემთვის დღეს უხილავე? ზრახვათა სრბოლავ, ტკივილთა ზღვარო, კიდევე რა ტალღად გადავიღვარო? სად დაექანოს ეჭვი, ვით გუნდა? სულს სხვა რა უნდა? ღმერთს სხვა რა უნდა? რა შევქმნა, კიდევე რომ ვიყო ხურო? ზეცას რა ფერად მიმოვესხურო? დარჩა აღმართი თუ შევაკება? რა მარმარილო? რა ქანდაკება? ხედავს კი ვინმე? ისმენს კი რამე? რას ელის ჩემგან ბინდი თუ ღამე? რას ითხოვს მწვანით მოსილი კორდი? მშვენებას მისას მე გაგუსწორდი! ზღვაო, ჩემი ხმა შენც ხომ გხლებია — ჩემში სხვა, მძლავრი ქარიშხლებია! მთებო, სიმალლის თუმც გდევთ ზმანება, დღეს მე ვიქეცი ლაჟვარდთ მბრძანებლად! ხოლო შენ, ქარო, ზღვებში რომ ჰქრები, ჩემს სულის გრიგალს ვით შეედრები? ნიაფო სუსტო, მოსილო კდემით, ასჯერ ნაზია სინაზე ჩემი! და სული ჩემი, ფერებს რომ ჰხატავს, ხომ ცისარტყელას შექმნიდა ათასს? ბუნებავე, მარად ზღვა ფიქრს რომ იტევ, რა დარჩა კიდევე? რა მსურდეს კიდევე? რაღა ვეძებო, რა ვპოვო მეტი, ანდა მიგნებულ ფერების მჭვრეტი, კვლავ რა ფერთა კვალს გავუყვე მერე? რა სიღრმე ვიგრძნო, რა სიძლიერე? მე ვნახე შორი ბზები და პალმა, და რახანია გაასწრო თვალმა ყველა ჯოგების უმიზნო ქროლვას, ყველა შუქების უსაზღვრო ლტოლვას; მაშ რაღა მსურდეს, რა მოვინატრო, გრძნობა კიდევე სად დავაბინადრო, კიდევე რა განძთა ვიყო მკრებელი, სად რაღა რჩება შეუძლებელი? სამყაროს ძალავ, ვარსკვლავთა ჯარო, რა დარჩა სახმლე და სააბჯარო? ცაო, კიდევე რა ბინდებუნდებს იტევ? რა მელის კიდევე? რა მიხმობს კიდევე?

აისი

გარიჟრაჟის სხივების ფერმა კდემამოსილმა კაბადონი ნატიფად მოხატა და მოსირმა.

თითქოს წყალმა ჩაძირა ვარსკვლავები — ქვიშანი, გაჩნდა სიო, აისის გამარჯვების ნიშანი.

ათრთოლებულ გარემოს გასაოცრად უხდება დაფიონით დაფერვა, ლურჯად აზურმუხტება.

მასსოვს ღამეც, საუფლო აურაცხელ მნათობთა, უშქარ მბრწყინავ წერტილად რარიგ ათინათობდა!

რამდენი რამ არსებობს: უსასრულო, უღევი, გარემომო ლაგდება, როგორც სასწაულები —

სინამდვილე, სიზმარი, წარმოსახვა, ზმანება, ღრმა სევდა თუ გრძნული მძაფრი აღფრთოვანება.

სული უსმენს სამყაროს შრეებს

როგორც ვულკანი, ამოიფრქვენ ფიქრები უცბად. და ახლა ვფიქრობ: ვით ვულკანის ამოფრქვევისას ამოდის მხოლოდ ცხელი ლავის მცირე ნაწილი, ეს კი მინის გულს მხოლოდ მცირე დროით ამშვიდებს, ამნაირადვე, მეც ვიცობ მარტოდენ ფიქრთა ნაჭარბს, რომელსაც აფეთქება შეეძლო ტვინის, მაგრამ დარჩენილ ფიქრებისგან, თანდათანობით, ჭარბი ნაკადი შეიძლება კვლავ აღმოცენდეს, და ამ ნაკადსაც დასჭირდება გამოსვლა გარეთ, და ეს გამოსვლა ახალ ვულკანს დაემსგავსება. და მას შემდეგაც, ვიცი, ვიცი, ვერსად, ვერასდროს მე ვერ მივალწვე სამუდამო წონასწორობას, რადგან ფიქრები დაგროვდება მარად და მარად, რადგანაც სული მუდამ უსმენს სამყაროს შრეებს...

გამთიშველ ხმაში

არსებავ ჩემო, შენ დაილაღე, მაინც უთვალავ ქარს კვლავ ედები, მიიზიდავენ შენს უნდო მზერას მიმოზნეული ვარსკვლავედები. სინამდვილეთა ჯაჭვს თვალგაუნდენს ერთ მცირე რგოლად გადაები რა, აჰა — არსებობ, მაგრამ ეგ სული დღემდე ვერავინ გადაიბირა, ცოცხლობ — ეს ნიშნავს: ყველაფერს ქვეყნად შორს რამდენიმე ფიცარი ელის, შემოვლებია ჰორიზონტს ელვა თვალჩაუნდენელ სიცარიელის. შენ შეიცანი, თუმცა დღეებმა დიდხანს ყველაფრის ჰფარა რაობა.

"ფიქრი", "ქმედება" — ამ სიტყვებს გახსნის ერთი სახელი — არარაობა! როგორც დამფრთხალი ტალღა, მოსცურავს წარსული — წელი ხუთიათასი, ერთ გალაქტიკას ვერ ამოსწურავს აზრი, ყველაზე უდიადესი, სამაგიეროდ — რამდენი შური, რამდენი ბრძოლა, გესლი რამდენი! ყველგანმღწეველი ათასი მზერა, სულისმწამლავი, ცრემლისდამდენი; მუსრს ვავლებთ ყველა ცოცხალ არსებას, გვირგვინით ვმოსავთ შუბლებს უმეცართ, არის თანაბრად მრავლისმომთხოვნი ჩვენი ხმაურიც და სიჩუმეცა!

მოსხიპე სიტყვა! ურჩვენის ყველას აზრი - ნაღეჭი და ნალუკმარი, მოსხიპე სიტყვა! აქ დედამინის მთელი ქალღი არის უკმარი! არსებავ ჩემო, შენ, გადაღლილი, მაინც უთვალავ ქარს კვლავ ედები, რას გაგიგებენ, ან რას გეტყვიან შორს მოციალე ვარსკვლავედები? არ არის ქვეყნად რაიმე ძალა, მძლვევი საზიზღარ ხმის — გამთიშველის, შენ ოკეანის ფსკერზე ჩახვედი და ან ვერარა ველარ გიშველის!

გეჰანის გაზაფხული

ისევე ჩაიარეს კვირებმა, დღეები ჩაატარეს გაბანრული, ურიცხვი ათინათი ირევა, ეცემა ფიქრები დაკანრული. შეხედე — მოსულა გაზაფხული, ხევის პირს თევზი ამოინთენს, სრულდება მიზნები დასახული, გალობას პასუხობ გალობითვე. ბრწყინდება ულურჯესი თავანი — მხატვარმა არც რა ფერი ამყოფინა, ის ამბობს: "ხსოვნა მთავარი, რაც მას არ შემორჩა — არც ყოფილა!" ხმაური! დაჟინება! აღელვება! რაღაცის გახსენება! ღრმა ფენები! ამ დღეებს სახვანაირად აღამებენ, ღამეებს — სხვანაირად ათენებენ. რა მოხდა, ჯერ ვერც კი მოისაზრე, რაღაც კი შეიცვალა, ცხადია, დრო, თითქოს ყველა სხვა დროით სავსე, სხვა ხატი, ამ ხატში რომ ჰხატია. გეძახის გაზაფხულის გრძნეულება, მინდვრებზე, ბორცვებზე დაგატარებს, ის ფიქრნი, დროებით ძლეულები, გარბიან — ნაკვალევს ახატავენ. სხივები! სხივები! სხივები! ნუ ეჭვობ — სასწაული არი: სიგრილით ავსებული ხეები. ლაჟვარდი. ჟრუანტელი. დარი.

დეპიუტი



ბექა კოკაია
ჯეჯბვი

საშინაღი ჩვევა აქვს. რო ლაპარაკობს, პირდაპირ მკერდზე მიყურებს. განა, ვკომპლექსდები, ისე... რა წესია? ბაბუნაჩემის პანაშიდზე რომ მოვიდა, მაშინაც სულ მკერდზე მიყურებდა. კიდევ კარგი, მამაჩემმა არ შეამჩნია. ერთხელ მთვრალმა დამირეკა და მითხრა, ჩემი დაიკო ხარო...

— მოდის თამაშზე?
— რა ვიცი, თუ მოვიცალე, წამოვალო...
— გინდა პირველი ლელო?
— მინდა.
— მერე რას იზამ?
— ტრიბუნისკენ თითს გავიშვერ და მერე იმ თითს ვაკოცებ.
— ეგრე ფეხბურთელები აკეთებენ.
— აი, დარდი!

ინგლისურიდან მოვდიოდი. სადარბაზოსთან ორივე ხელით ვილაც სათვალეებიანი ბიჭი პალტოს საყელოთი ჩაე-ბლუჯა და კედელზე ყავდა აყუდებული. მე რომ დამინახა, ძირს დადო, მომესალმა და გინდა, ნაყინზე დაგვატყუო, მკითხა. ჯეჯბვია, რა, დებილი ჯეჯბვი. კი-მეთქი, ვუთხარი...

— არა, ჩემი ძმა, ვაჟკაცობა რა შუაშია, სპორტსმენი ვარ და მაგიტომ არ ვსვამ.
— სპორტსმენი-მორტსმენი არ ვიცი მე, მიუტანეთ განსხვავებული!
— კარგი, ამ ერთს დავლევ შენი ხათრით...

საბავაღმყოფოში ვიყავი და დედამისი ტიროდა.

ბუცი დაბიჯებს თავზე. მერე გათიშულა.

— დავითარი ის „სკრიპაჩი“, უნდა დამერტყა და უცებ არ გაეძრო? ინგლისურზე დადის ჩემ მეზობელთან.

— მერე?

— მერე შენ რომ მითხარი, ნაყინზე ან სადმე დაპატიჟე და ასე უფრო დაუახლოვდები, მეთქი, ბარემ ვეტყვი-მეთქი და დავ-პატიჟე.

— მერე?

— მერე არაფერი, იმ „სკრიპაჩს“ მერე ვნახავ.

— რას ერჩი?

— ეგ იყო, მაშინ ტრიბუნიდან ჯეჯბვი რომ დამიძახა...

ყალი მტკივა, არ მინდა ნაყინი-მეთქი. მაშინ რატომ წამოწყვილო. ის ბიჭი რომ არ გეცემა-მეთქი. მთხოვე და აღარ ვცემო. როგორც დაიკომ ისე გთხოვო-მეთქი? დაიკო რა შუაშიაო...

და მკერდზე მომაშტერდა.

— ბავრი დავლიე.
— ვინ გაძალედა?
— თამადამ თავი გაიგიჟა, ვაჟკაცობაო და ეგეთები დაიწყო. ისე კი მოვერეოდი, მაგრამ ნათესავის ოჯახი იყო... სახლში როგორ წამიღეს, არ მახსოვს. ფუ, ეს „პახმელია“!

მბონი, სექსუალური მანიაკია. გუშინ მითხრა, სექსი გქონიაო? არა-მეთქი. რატომ მერეო?
თან ისევე მკერდზე მიყურებდა...

— თანამედროვე თემებზე?
— ხო, რა, აი, კითხე, ქალიშვილობის ინსტიტუტზე რა აზრის ხარ-თქო, ან რამე ეგეთი, თორე დებილი ეგონები.
— „ტეხავს“...
— არ „ტეხავს“, დამიჯერე.

მიყვარხარო. მე არა-მეთქი. ვიცრუე (ვიცრუე რა, ცოტათი მომწონს)... რატომ? სხვა მიყვარს-მეთქი. მგონი, გიჟია. ეგეთი არ მჭირდება. თან მამაჩემმა რომ გაიგოს, რომ ერთად დავდივართ. მეც მომკლავს და მაგასაც. რაში მჭირდება?! გაუნათლებელი... ნამდვილად სექსუალური მანიაკია, აბა, სულ მკერდზე რატომ მიყურებს? ან ჩემი დაიკო ხარო, რატომ მითხრა მაშინ?

— არ მოდის თამაშზე.
— რატომ?

— არ მიყვარხარო, სხვა მიყვარსო...

მე რომ წავსულიყავი თამაშზე, არ იჩხუბებდა. აი, ის სათვალეებიანი ბიჭიც ხო ჩემი ხათრით არ ცემა?

დედამისი ისევე ტიროდა... აბარატზეა შეერთებული.

ჩემი ბრალია...

არა!

მე რა შუაში ვარ. ეგეთებს ვერ ვხდები, ის დიდია, 24-ის, მე პატარა ვარ, 15-ის... პატარა ბავშვს სულ მკერდზე რატომ მიყურებდა?

— ბიჭო, თვალეებში ვერ ვუყურებ, ძალიან ლამაზი თვალეები აქვს და ვერ ვუყურებ.
— აბა, როცა ელაპარაკები, რას შვები?
— არ მინდა, დაბნეული ვეგონო, ლაპარაკის დროს ძირს ხომ მორცხვები იხედებიან... ჰოდა, სადაც შუაში ვუყურებ რა...

„25“

არა, რა! არაა ეს კაზინო ჩემი საქმე... საიდან უნდა გავარტყა 36 ციფრიდან ერთი?

აი, აქ მაშინ უნდა შემოვიდე სათამაშოდ, ბევრი ფული რომ მექნება. 100 ლარით რომ მინდა გამდიდრება, სადაა ეგრე?

არადა, ზოგს ხო უმართლებს?

სამაგიეროდ, მე სიყვარულში მიმართლებს... ეგ ჯობია აშკარად, მარა ორივეში რომ მიმართლებდეს, უფრო კარგი იქნებოდა. 3ა, 25...

უხ, შენი დედა ვატირე...

დამჯდარიყო რა! და მართლა გავილოდი, უნამუსო ვიყო...

და აღარ შემოვიდოდი საერთოდ, მართლა. აი, პირობას ვდებ, ახლა მაინც დაჯდეს 25 და ქუჩაში კაზინო რომ შემხვდება, მეორე მხარეს გადავალ.

31...

შენი 31 დედაც ვატირე, ბლიადა!!! აუ, ზურას ფულზე გადავედი...

არაუშავს, მაპატიებს ზურა ვალს კიდევ ერთი კვირა და მერე ხელფასია. დაჯდეს და სამმაგს მივცემ. რა გაუსწორდება ზურ-იკელას? თან ახალი ტელეფონის ყიდვა უნდა.

არა, სამმაგი ბევრია, ორმაგს მივცემ. ეგეც მაგრა გაუხარდება. 21...

ფუ, ბავშვობიდან ვერ ვიტან ამ ციფრს, რა...

მოდრა, შე დედაოცდახუთო! და ეგრევე ქეთის დავურეკავ. გაგიჟდება. ერთი-ორს იტყვის, როგორ გაგირისკიაო და მერე ეგრევე ჩამხეხტება და თვალეები წამოუწითლდება... ეგეთია რა! მეცნიერულ ენაზე შედეგზე ორიენტირებულიები რომ ქვიათ...

36...

რიცხვი ხო არ შევცვალა, რას ავიჩემე ეს 25.

ა, მე დავიბადე 25-ში, გამახსენდა.

ახლა რო დაჯდეს... ბევრს ვიგებ... მანქანას ვყიდულობ და ქორწილისთვისაც ვგრეხებ. სესხება აღარ მოგვიწევს. რა იქნება ჩემი ქორწილი? ქეთი საპატარძლო კაბაში...

უფულობის დედა რო ვატირე, 9-ჯერ გადავდეთ...

5...

ხუთი და შენი ფრიადოსანი... ფული მინდა...

ეს რა დღეშია, 3 000 მოიგო და დარბის დეგენერაციით.

არადა, 10 ლარით შემოვიდა.

ვა!

ახლა თუ დაჯდა... მანქანა... ქორწილი... ვალეები... ცოტას ალექოს ვაჩუქებ, მაინც ძმავა და მიყვარს, რა... გიტარა... მაგარ ელექტროგიტარას ვიყიდო...

მყოფნის...

დაჯდება უეჭველი...

24...

ააააა!!!

ერთი ციფრიც გექნა ბარემ! უი, თამუნას ველოსიპედს რო შეგპირდი...

მაშინ ალექოს ვეღარ ვაძლევ... არა, ზურას აღარ მივცემ ორმაგს... ტელეფონისთვის მაინც ყყოფა.

და ქეთის ვუყიდი იმ კაბას, ზოლებიანი რო მოეწონა. და სათვალეებს. ძვირი ღირს-მეთქი და არ ვაყიდინე. მართლა ძვირი ღირდა.

რო მოვიგებ, არ დავურეკავ, ეგრევე საჩუქრებით ავადგები.

აუუუუ, დაგლიჯავს! გარეკავს სიხარულით.

9...

ეჰ, ერთი დადებულა დამრჩა... დაჯდეს რა 25, თორე ხელფასამდე რა მოიცდის?

მიდი, რა, ჯიგარ, მიდი, რა...

და მერე ფილმს გადავიღებ. ხო, გადავიღებ და 25-ს დაეარქმევ. აი, „13“ ხო მაგრა გაჰიტ-და და ყველა მაგაზე ტირის, ხოდა „25“ უფრო გაჰიტდება, მსოფლიო ბესტსელერი გახდება. რით ვარ ბაბლუანზე ნაკლები, რო...

მერე კანის კინოფესტივალზე დამაჯილდოვებენ და იქიდან ქეთის ხელს დავუქნევ. ქეთი ამ დროს საპარიკმახეროში იქნება თმის დასავარცხნად და თავის სომეხ პარიკმახერს ეტყვის, აი, ჩემი ქმარი, ტელევიზორშიაო...

მერე გულჩვილი დედაჩემიც ატირდება... რო ჩამოვალ, აეროპორტში მინისტრები და პრეზიდენტი დამხვდებიან... მერე ალ პაჩინო მთხოვს, შემდეგ ფილმში მათამაშეო... არა, ეს ნამეტანია, ალ პაჩინო მე არ დამირეკავს...

მარა ბაბლუანს ხო დაურეკა დე ნირომ და... ზნაჩიტ, მეც დამირეკავს ერთ-ერთი... ვიზე ნაკლები ვარ, ტო. ბაბლუანი არა თემო ხვიბ-ლიანი!

თან სათაურიც რა მაგარია: „25“!!! 13...

ეჰ...

ვატრეკებ და მიხარია... დავურეკო ზურას...

არა, რაც მართალია, მართალია: ბაბლუანი ჩემზე მაგარი რეჟისორია...

ნარდგანა

წლის საუკეთესო პოეტური კრებული

- 1. ლია სტურუა „ზღვა დაკეტილია“ — „სიესტა“
- 2. დიანა ანფიმიადი „კონსპექტური მითოლოგია“ — „საუნჯე“
- 3. ზაზა ბიბილაშვილი „ჩემი მდგომარეობის მარცვალი“ — „ინტელექტი“
- 4. ზვიად რატინი „ნეგატივი“ — „დიოგენე“

წლის საუკეთესო პროზაული კრებული

- 1. ბესო ხვედელიძე „თავის გემო“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
- 2. ზურაბ ლეჟავა „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
- 3. კოტე ჯანდიერი „კონკიას ლამე“ — „დიოგენე“
- 4. რეზო თაბუკაშვილი „მზეო არ ამოხვიდე“ — „საარი“

წლის საუკეთესო რომანი

- 1. ზაზა ბურჭულაძე „ADIBAS“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
- 2. ლაშა ბუღაძე „ლიტერატურული ექსპრესი“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

ლიტერატურული პრემია „საბას“ ნომინანტები

- 3. ნაირა გელაშვილი „პირველი 2 წრე“ — „კავკასიური სახლი“
- 4. ნაირა გელაშვილი „ჩვენი გრძელი ამბავი“ — „კავკასიური სახლი“
- 5. აკა მორჩილაძე „მამლუქი“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

წლის საუკეთესო დეპიუტი

- 1. ირაკლი ქასრაშვილი „სოკრატე“ — „შემეცნება“
- 2. რატი რატინი „შიშველი მეფე“ — „ლოგოს პრესი“
- 3. ქეთი ნინიძე „მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგია“ — „ინტელექტი“
- 4. ბელა ჩეკურიძე „ლია ბარათები“ — „თბილისი“
- 5. მაკა ლდოკონენი „ქიშიშიანი ამბები“ — „დიოგენე“

წლის საუკეთესო პიესა

- 1. ირაკლი სამსონაძე „სალამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“ — ჟურნ. „გრალი“, 2009
- 2. თამარ ბართაია „მთავარი როლი“ — „დიოგენე“

წლის საუკეთესო თარგმანი

- 1. ორჰან ფამუქი „ჯეჯდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“

ნანა ჯანაშია — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

2. მიგელ დე უნამუნო

„ესსეები“

მერი ტიტინიძე — „სიესტა“

3. თანამედროვე არაბული პროზის მცირე ანთოლოგია

„ლიმილი წყლის ბავშვ“

იზოლდა გრძელიძე — „უნივერსალი“

4. გაიუს ვალერიუს კატულუსი

„ლექსების წიგნი“

მანანა ლარიბაშვილი — „ლოგოსი“

5. მიშელ უელბეკი

„პლატფორმა“

ირმა ტაველიძე — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

6. ალექსანდრე დიუმა

„კავკასია“

თინათინ ქიქოძე, ია ბერსენაძე, გიორგი ეკიზაშვილი — „აგორა“

7. მირჩა ელიაძე

„მითის ასპექტები“

ირმა ბაქრაძე, ბელა წვერაძე — „ილია ქავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა“

8. გერმანული გროტესკის მცირე ანთოლოგია

მთარგმნელთა ჯგუფი — „თბილისი“

9. ბაჰრამ სადუყი

„სასუფეველი“

მზია ბურჯანაძე — „ნიკერი“

10. ბორის ვიანი

„გულსაგლეჯი“

პაატა ჯავახიშვილი — „დიოგენე“

11. ფირდოუსი

„მეფე ხოსროვ ფარვიზი“

ბელა შალვაშვილი — „ნიკერი“

წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

- 1. დავით ქართველიშვილი „პროზისა და საკუთარი თავის შესახებ“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
- 2. ზურაბ ქარუმიძე „ჯაზის ცხოვრება“ — „სიესტა“
- 3. მაკა ჯოხაძე „სამოთხე უსიყვარულოდ“ — „ინტელექტი“
- 4. ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული „ალათო“ — „უნივერსალი“
- 5. ზურაბ აბაშიძე „ცივი ომი: წარსული თუ დღევანდელი“ — „საარი“
- 6. ზაზა აბზიანიძე „ლიტერატურული პორტრეტები“ — „ბაკ-მი“
- 7. მირიან ებანიძე „კლასიკის კვლევა არაკლასიკურ ეპოქაში“ — საგამომც. სახლი „ქუთაისი“
- 8. პიროვირე „თერიონის ვარდი“ — „უნივერსალი“

მამუკა ნიკლაური:

„მე ჩემს მითოსურ სამყაროში ავიღბი ფეხი“

„... ვფურცლავ „თოვლის ქრიზანთემებს“... სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ საქმე მაქვს არა პოეტური ალეგორიით აღბეჭდილი, ფიქციით სპეტაკი ყვავილის მსუბუქ ხილებთან, რაც შეიძლება ნიგნის სათაურმა წინასწარ შეგიქმნას, არამედ გრანიტის ლოდის ნამტკვრელებთან, და პირველი შეგცნება, რითაც ერთბაშად გზოჭავს მამუკა ნიკლაურის ლექსი — ესაა წონა, წონა სტრიქონისა, მოულოდნელობა პოეტური ხილვისა და სიღრმე განცდისა, აზრისა და, რასაკვირველია, ის მაღლი, რაც ადულტებს ამას ყველაფერს — გულწრფელობა! ისიც, ჯიუტი! აქ ყველაფერი დინჯი, ტკივილით გამსჭვალული ფიქრისა და განცდის გამხელაა. იქნებ სწორედ ეს აძლევს პოეტის კილოს სხვაგვარ დამაჯერებლობას, თავისებურ კოლორიტს, ტრადიციულ ელფერს... თითქმის ყოველი ლექსი დიდი თუ მომცრო გრანიტის ნატეხივითაა და იქნებ ამიტომაც ტოვებს ეს პატარა კრებული გრანიტის ლოდის შტაბეჭდილებას...“ (ლადო ავალიანი, „დიდი სიჩუმის“ ექი“).

— მოდით, უპირველეს ყოვლისა, თქვენი პირველი ლექსები და პირველი პუბლიკაციები გავისახეთ, ბატონო მამუკა, როგორი ატმოსფერო დაგხვდათ, როგორ იწყებოდა პოეტი მამუკა ნიკლაური?

— რაც თავი მახსოვს, სულ ლექსითა და მოლექსებით ვარ გარემოცული. ჩემმა სიყმაწვილემ ხალხური ლექსის აღიარებული მითქმელების ნიაღვრე გაიარა და, ცხადია, ბუნებრივი იყო, რომ ჩემი პირველი „ცდებიც“ ხალხური პოეზიისთვის დამახასიათებელ თემებზე და მოტივებზე შეიქმნა. ბევრი განთქმული მითქმელი იყო იმდროინდელ გულანდარში: მოსე პატაშური („მეზაღვლე“), სიყვანთა მოსიკა („ქერა“), გოგა ბეჟაური („გამსივლი“), გივი ჩოხელი („შუღლიათი“), პავლე ნიკლაური („ტყის კაცი“), გიორგი ნიკლაური („ყაჩაღი“)... მათი ლექსები „ქუხდა“ — გადადიოდა პირიდან — პირზე, სოფლიდან — სოფელზე. ერთმანეთს ალექსებდნენ, ერთმანეთში კაფიანობდნენ და გარდაცვლილსაც ლექსით ისტუმრებდნენ. ლექსი ამ ხალხის ნაწილად იქცა — ლექსი იყო ხატობებში და ქორნილებში, ლექსით ესაუბრებოდნენ ღვთისმშობლებსა და ანგელოზებს. ამათ შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული მოლექსე გიორგი ნიკლაურს („ყაჩაღი“) მე ვეკად მთავრად ვიხსენებ — იგი ცნობილი რეპრესიების დროს ტამპეკნტში გადასახლეს და იქიდან აღარ დაბრუნებულა. სიკვდილიმისჯილ პოეტს სტალინისთვის პატიების თხოვნა ლექსად მიუწერია:

„აღმოსავლეთის პროკურორს და დასავლეთის მესიას: თხოვნა მაქვს დიდო სტალინო, თხოვნა ვაჟუკის ნესია, ცოცხალი გამოგადგე, მკვდარი კი — არაფერშია!“

აი, ამ გარემოცვაში ავიდგი ფეხი... მოგვიანებით ნავიკითხე ქართული პოეზიის კლასიკოსები და სამუდამოდ გავები ლექსის მახეში.

— პუბლიკაციები?..

— რაც შეეხება ბეჭდურ პუბლიკაციებს, ეს უფრო გვიან, სტუდენტობის წლებში მოხდა. თუმცა, რომ ვთქვამ, ერთბაშად ვიფეთქე-მეთქი, არ იქნება სწორი. მაშინდელ თბილისში მხოლოდ სამი ლიტერატურული გამოცემა იყო: „ლიტერატურული გაზეთი“, „მნათობი“ და „ცისკარი“. არც ერთ ამთავანს, რომ იტყვიან, გულზე არ ვეხატე, და ჩემი ლექსების ბეჭდვას სამივე ერიდებოდა... უფრო „მონყალედ“ მიყურებდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია, სადაც მაშინ ცნობილი პროზაიკოსი თამაზ ბიბილური მუშაობდა... ერთი ჩემი პუბლიკაციური პოემა დაიბეჭდა გამოცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ ახალგაზრდა მწერალთა საერთო კრებულში... იმ ხანებში ჩატარდა რაღაც „საკავშირო კონკურსი“ ახალგაზრდა პოეტებს შორის. საქართველოდან სხვა ორ, თუ სამ პოეტთან ერთად, კონკურსში მეც გავიმარჯვე და ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჩემი რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“. ეგ იყო და ეგ, სხვა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა ჩემი პირველი ნიგნის გამოსვლამდე. ერთი სიტყვით, რედაქციებს თავი ვერ მოვანონე — ეტყობა, ისეთ რაღაცას „ვამხახებდი“, რაც არ ჯდებოდა სოციალისტური რეალიზმის შტამპებსა და იმ დროისთვის გამეფებულ „ზოგად გემოვნებაში“.

— ჩემმა თაობამ და მომდევნო თაობის ახალგაზრდებმა მხოლოდ დამოცემით და ყურმოკვრით იციან კომუნისტების სალიტერატურო პოლიტიკის შესახებ. როგორც გადმოგვცემენ ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი ცენზურა და შესაბამისი იდეოლოგიური სამსახურები იყო. მხატვრული ლიტერატურის ნიგნად გამოცემის დროს აუცილებელი იყო „კონიუნქტურული ხარკი“, რომელსაც

ავტორები „პარავოზებსაც“ უწოდებდნენ...

— დიახ, მთელი სისტემა იყო გამოგონილი იმისთვის, რომ მტკიცედ დაცვათ მაქსიმალური მიერ ჩამოყალიბებული ეტალონი საბჭოთა მწერლისა. მაგალითისთვის — ლექსების კრებულს აუცილებლად უნდა წამოღვარებოდა რამდენიმე „პარავოზი“, ანუ რამდენიმე ისეთი ლექსი, რომლებშიც განდიდებული იქნებოდა ოქტომბრის რევოლუცია, კომუნისტური პარტია, ლენინი, საბჭოთა კავშირი... უნდა „გემლერა“ ვოლგა-დონის არხისთვის, ბაშის მშენებლობისთვის, ენგურჰესისთვის... ერთი სიტყვით, უნდა გენამა ის, რაც არ გნამდა; სიყვარულით უნდა გელაპარაკა იმაზე, რაც გძულდა. ასე რომ, ის პოლიტიკა, არც მეტი, არც ნაკლები, მწერლის გარყვინისთვის იყო გამოგონილი. გარყვინილ მწერალზე დიდი უბედურება კი არ არსებობს, რადგან ასეთი მწერალი სხვა, ათასობით მკითხველს რყვინს. შემთხვევითი არც ის იყო, რომ იერიში უპირველესად ახალგაზრდა ლიტერატორებზე მიჰქონდათ — კარგად იცოდნენ, რომ თუ ერთხელ „შეჭამე“ — მეორედ, მესამედ და მეასედაც არ იტყვი უარს „ჭამაზე“.

— ზემოთ თქვენი პირველი ნიგნი ახსენეთ. თქვენც გადაიხადეთ ამგვარი „იდეოლოგიური ხარკი“?

— ჩემი ნიგნი თითქოს ადვილად შეიტანეს გამოცემლობა „მერანის“ 1968 წლის თემატურ გეგმაში, მაგრამ მისი გამოცემა მერე გაჭირდა. ნიგნის რედაქტორად დანიშნეს „მერანის“ თანამშრომელი ოთარ კუპრავა. რედაქტირებაზე ერთად ნავიშუავეთ და მაისისთვის ხელნაწერი უკვე მზად იყო სასტამბოდ. ნეისსამებრ, გამზადებული ნიგნი ხელმოსაწერად (ვიზის მისაცემად) გამოცემლობის მთავარ რედაქტორს, ცნობილ საბჭოთა მწერალს გრიგოლ ჩიქოვანს გადაეცა... და სწორედ აქ ამოხტა ხიფათი — ჩიქოვანმა ნაიკითხა და უარის ნიშნად ხელი გასაღვსავა: მე ამ „უიდეო“ ნიგნს ხელს არ მოვანერო!.. არაო და არაო! — არ გაჭრა თხოვნამ. მაშინ ოთარ კუპრავამ დამამბედა — მოვიცალეთ, ივლისის თვეში გრიგოლი შევბრუნებამი მიდის და ვიზა გამოცემლობის დირექტორს კარლო კალაძეს მივაცემინოთ — ეგ ტექსტებს არასოდეს არ კითხულობს, ისე აწერს ხელსო. არ ენერა ამ გეგმას განხორციელება — ჩიქოვანი კი ნავიშუავეთ უნდა უნდა, მაგრამ წასვლის წინ დაიბარა: ეს ნიგნი უჩემოდ არ გაუშვით სტამბაში დასაბეჭდადო. როგორც იტყვიან „ადამიანის გონებას რა შეაჩერებს“ და ოთარ კუპრავამ სხვა გეგმა მოიფიქრა: სხვა გზა არ არის, უნდა დავეწროთ ოთხი-ხუთი „პარავოზი“, ჩავედოთ ნიგნის დასაწყისში, ჩამოვა რედაქტორი, ჩათვლის თავის სურვილს ასურლებულად და ხელს მოაწერსო. მერე კი ისევ ამოვიღოთ ის „პარავოზები“ და ნიგნი გადავწვინოთ. ეს იმდენად გონებამახვილური გეგმა, იყო, რომ ყველანი ადვოკატობით და გადაწყვეტილებით, აღსანიშნავად თითო ბოთლი ლვინო დაგვევლია ერთ იაფ სასადილოში, რომელიც „დინამოს“ სტადიონთან იყო და, რომელსაც მწერლებმა „სევედის ბაღი“ შეარქვეს. სუფრას ოთხი უთხვადია და „იდეის“ ავტორი ოთარ კუპრავა. ბარემ ამბავს დავასრულებ — ჩამოვიდა შევბრუნებულნი ჩიქოვანი, დავახვედრეთ ჩემი „პარავოზებიანი“ ნიგნი. ნაიკითხა. მოინწონა. — ასე არ სჯობსო? — შეგვაკო და მოანერა ხელი...

— თქვენს თაობას „სამოცდაათიანელების“ სახელწოდებით მოიხსენიებენ კრიტიკოსები და მკითხველები. რა სახსრები მოიტანა ქართულ ლიტერატურაში ამ თაობამ და, საერთოდ, როგორ უყურებთ „თაობას“, როგორც ლიტერატურულ ტერმინს?

— ჩემთვის ძალიან ძვირფასი, შეუღვევლი და შეუცვლელია ის ხალხი, ვისაც


თქვენ „სამოცდაათიანელებში“ გულისხმობთ. ამას წინათ ერთი „ჩვენთაობელი“ შემხვდა და შემომტირა: ყველა წავიდა, ჩვენლა დავრჩითო. მართლაც, ბევრი წავიდნენ და ამოუვსებელი სიცარიელე დატოვეს. ჩვენ ერთად ვიყავით, ჩვენი ოჯახები ახლობლობდნენ, ჩვენი შვილები ერთად იზრდებოდნენ... მაშინ, თითქოს, წიგნების უდიდესი მოზღვავება იყო, მაგრამ ზოგიერთი ნიგნი მაინც ძალიან ძნელად იმოვებოდა და ასეთ იშვიათ ნიგნს ერთი თუ ორჯერ, ყველანი რიგრიგობით ვკითხულობდით. ასე ნავიკითხეთ კავაბა-ტა, ალბერ შვეიცერი, სოლჟენიცინი, ეგნისტენციალისტების ნაშრომების კრებული „ესთეტიკა“, საოცარი ჩინელი პოეტი ტაო იუან მინი, ასევე საოცარი ძველი იაპონური პოეზიის სატომეული „მანიუსიუ“ და სხვ. ერთმანეთი მართლა გვიყვარდა და ჩვენს შორის არავინ იყო ისეთი, ვინც ზნეობრივ პრინციპებს გადაუხვევდა, ვინც რაღაც ბნელ სამსახურებთან თანამშრომლობას იკადრებდა... „თაობა“, როგორც ლიტერატურული ცნება — მე ცოტა ბუნდოვანად მესმის მისი მნიშვნელობა. მე მგონია, რომ მწერალთა ასაკობრივ დაჯგუფებას ძალზე უმნიშვნელო კავშირი აქვს ლიტერატურულ შემოქმედებასთან. ასეთი „კოლექტიური“ და „ტომური“ ცნებები ბევრს ვერაფერს გვეუბნება ლიტერატურული პროცესების ასახვას. ლიტერატურა „ერთეულთა სპორტია“ და მწერალი ყოველთვის მარტო თავის ბრძოლაში და შრომაში, თავის ფიქრებთან და უძილოდ გატყეხილ ღამეებთან... სხვათაშორის, მე პირადად ყოველთვის ბევრ საერთოს ვპოულობდი ჩემზე უფროს კოლაუ ნადირაძესთან, ვახტანგ ჭელიძესთან, ოთარ ჩხეიძესთან, აკაკი განაწერელისთან... და მეორეს მხრივ — უმცროსებთან თამაზ ბაძაღუსთან, როსტომ ჩხეიძესთან, უჩა შერაზადიშვილთან, გიორგი ლობჯანიძესთან...

— ახლახან, ერთმა ჩვენმა ლიტერატორმა ეჭვის თვლით შეხედა გალაკტიონის შემდგომდროინდელ მთელ ქართულ პოეზიას — „დანანებით“ აღნიშნა, რომ გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზია გალაკტიონის ჩრდილქვეშ მოექცა და შემდეგ თვისობრივად საინტერესო არაფერი მომხდარა... რა კომენტარს გააკეთებდით ამაზე?

— ამ გამოხატვას თავისი კომენტარები გააკეთეს ლარიელ ჭანჭიჭიანი და გივი ალბაზიშვილი და მე „დასამატებელი“ აღარაფერი მაქვს. ერთს კი ვიტყვოდი ნახევრადხუმრობით — ასეთი კატეგორიული უნდა შევიკავოთ — ამ დროს ძირ-ფესვიანი ანალიზი და გამოწვლილვითი დასკვნები მთავარი და არა კატეგორიული გამბედაობა... ის ლიტერატორი ჩემი უმცროსი მეგობარია და მის ბალღურ აკვირებას — არ არსებობს, არ არსებობსო, ბალღურივე პათოსით ვუპასუხებდი: სე-ბობს! სე-ბობს! ჩემო ბატონო-მეთქი.

— ისევ გალაკტიონზე მინდა კითხვით: როგორ წარმოგიდგებათ იგი დიდი ქართული პოეზიის მთავარხილში და რა გავლენა მოახდინა მან პირადად თქვენს შემოქმედებაზე?

— გალაკტიონ ტაბიძე, ჩემთვის, ისეთი ერთიანი და მსოფლმხედველობრივად მთლიანი შემოქმედი არ არის, როგორც ვთქვათ, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ერთი ნაწილი, რომელსაც მე, მარინა ცვეტაევის ნაბაძეთ, „ჩემს გალაკტიონს“ დავარქმევდი, ძალიან მიყვარს და ვერ წარმომიდგენია ჩემი ლიტერატურული სამყარო უმისოდ... ხოლო მეორე ნაწილი, ასე ვთქვათ „რევოლუციური ნაწილი“, რომელშიც იგი ნამეტანი „ყველაგადგებით“ უმღერის ლენინსა და კომუნისტებს, დიდ ლიტერატურად არ მიმაჩნია... რაც შეეხება ზე-გავლენას — ვიმეორებ, რომ „ჩემი გალაკტიონი“ მე ძალიან მიყვარს და რაკი



მიყვარს, ალბათ, რაღაც გავლენაც უნდა ვიგულისხმობ, ხოლო კონკრეტულად ამაზე საუბარი, ცხადია, ჩემი საქმე არაა...

— „წითელი მწერლის“ ფენომენი — მე მახსენდება თქვენი პუბლიცისტური ნერილების სერიალი „იერიშები უკანასკნელ იმპერიაზე“. ამ სერიალში თქვენ კომუნისტური იმპერიისა და მისი ჯიშ-ჯილაგის საბოლოო ფაზაზე წერდით და ამ კონტექსტში მოიაზრებდით „წითელი მწერლის“ გაჩენისა და „სრულყოფის“ მთელ ისტორიას. თქვენი აზრით, დღეს სადაა ეს „წითელი მწერალი“, გადაშენდა თუ ისევ აგრძელებს თავის „წითელ საქმეს“?

— „წითელი მწერლის“ ფენომენი არც ისეთი მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. გარეგნულ მომენტში წითელ ტექსტებს წერდნენ ნამდვილი მწერლებიც და მწერლობაში კომკავშირული საგზურით მივლინებული კალმოსნებიც. ამათ შორის კი ძალიან დიდი განსხვავება იყო. ნამდვილი მწერლები ასეთ რამეებს წერდნენ იმიტომ, რომ თავი გადაეჩინათ კომუნისტური რეპრესიებისგან. ლობჯანი — „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია“ — დიდი, შავი ასოებით ეწერა კომუნისტურ გილიოტინაზე; ხოლო მაქსიმ გორკის ნაბეჭვრები წერდნენ იმას, რასაც თავისი სახე სტომპი და ცარიელი თავი კარნახობდა. ერთხელ საბჭოთა კავშირის „კავებულ“ მაშინდელ მეთაურს ანდროპოვს მაშინდელი სსრკ მწერალთა კავშირის თავმჯდომარისთვის უკათხავს: რამდენი მწერალი ირიცხება დღეისათვის თქვენს კავშირში? — ამდენი და ამდენი ათასიო, — უპასუხია თავმჯდომარეს; — არა, ცდებიო, — შეპასუხებია ანდროპოვი, — ათასეულები კი არა, ერთეულებია, ჩემი აზრით, სულ ოციოდე ნამდვილი მწერალი თუ იქნება და ეს ათასეულები სწორედ იმ ერთეულების მორალური განაღვრებისთვის გეჭირებოდა. ასე იყო ჩვენთან, საქართველოშიც — ერთ ხილზე გაჰყავდათ ერთის მხრივ, მიხილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიცინა ტაბიძე, პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია... მეორეს მხრივ კი ასი და ათასი სიო ხიდისთაველი და ყველას „საბჭოთა მწერალი“ ერქვა. სამწუხაროდ, „წითელი მწერლის“ ბაცივად საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა — წითელი მწერლის გამოცვლილ კანში ისევ წითელი სულის-კვეთება თუხთუხებს...

— რა თვალსაზრისით პროცესები მინდის დღევანდელ ქართულ პოეზიაში? რა გავლენა მოახდინა ამ პროცესებზე ეროვნულმა დამოუკიდებლობამ და თავისუფლების პრინციპების დამკვიდრებამ?

— რთული კითხვაა. ვერ გავკადნიერდები და ამომწურავ პასუხზე ვერ დავდებ თავს. ჩემი ზერეულე შთაბეჭდილებით მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა და ისევ ანდროპოვის გამონათქვამი მახსენდება ოცი ნამდვილი მწერლისა და მათ ჩასახშობად მობილიჩებული ათასეულების შესახებ; ნამოვიდა ერთხანს დაგუბებული უნიჭო ხელნაწერების ნიაღვარი და იბეჭდებოდა ყველაფერი, თუკი ფული გაქვს. არც დაბეჭდვამდე ვინმე რამის განმხილველი და არც დაბეჭდვის შემდეგ. მკიხველმაც თითქოს ალღო აუღო შექმნელ სიტუაციას და არც ცუდს კითხულობს და არც — კარგს. ამ მდგომარეობას ზუსტად შეესაბამება ერთი ადგილი მარკსის რომანიდან „ძნელი დროება“: „ჰადრეს ცხვირზე ხელის მოჭერამ ვერ უშველა და ორჯერ მჭახედ დააცემინა. — აცხიკინე,

პადრე, — გაუღიმა ალკალდმა, — ჩვენთან დემოკრატიაა...

— რას უნდა მივანეროთ ასეთი ხაზგასმული სევდიანობა თქვენს ლექსებსა და პოემებში? ამ სევდიანობაზე ჯერ კიდევ გუბამ ასათიანი მითითებდა თქვენე ერთ-ერთი პირველი წიგნის განხილვისას...

— რას უნდა მივანეროთ და, ალბათ, იმას, რაზეც პირშიმთქმელი ოთარაანთ ქვეყნი მიგვიდითებს: „ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზე ჭირი რომ არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა. მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძალს რომ უხარიან, კუდის ქიციხითაც იტყვიან ხოლმე“. პოეზიაც დასაბამიდან, ორ უმთავრეს ბურჟუაზიულ სექტორს უნდა და პოეტურ ფილოსოფიაზე. აი, რას წერდა ერთი ლიტერატორი სემუელ ბეკეტზე: „...იმ წიგნს, მისი, ერთი მხედველით, ორ-აზროვანი სიტყვები გამახსენდა: „დაიხ, მართლაც ყველაფერი დასასრულისკენ მიექანება“. აი, ეს — დასასრულისკენ მარადიული ბრძოლა ბრძოლა პოეტურ სევდასა და პოეტურ ფილოსოფიას.

— ბატონო მამუკა, ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა პირდაპირ საბრძოლო განგაში გამოაცხადა — არიქა, ვილუპეობა, ეროვნებას გვართმევენ, ჩვენს კულტურას და სარწმუნოებას ებრძვიან და ინტეგრაციის მღვრიე მდინარეში დალუპვა გველისო. ცხადია, ესეც დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის ნიშანდღე მძაბრული პროპაგანდის ნაწილია და ვიცით, საიდანაც მოდის... საინტერესოა თქვენი აზრი, მართლა ასეთი აპოკალიფსური მოვლენები გვიახლოვდება?

— ზოგჯერ მგონია, რომ ასეთი შეხედულების ადამიანებს საქართველოს სამყაროგან მოწყვეტილი ისეთ კუნძულად წარმოგვაჩვენებს სურთ, სადაც მხოლოდ რობინზონი და პარსკევა ცხოვრობენ. არა, ასე არ არის! ყველაფერი ეროვნულ სიმტკიცეზეა დამოკიდებული. მყარი ფსიქოლოგიის ერები ჯერ არავის ნაუღეკავს და სწორედ ასეთი ერების რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი ერიც. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ არ არსებობს ასეთი ფსიქოლოგიის მქონე ერის დამამხობელი ძალა. აი, ის კი სათქმელია, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ და ქედი არ მოვუხაროთ აღზევებულ კულტურებს. მე, როგორც მწერალს, მტკიცედ მნამს, რომ ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი დიდი ლიტერატურაა დედამიწის ზურგზე და პოეტის თქმისა არ იყოს, ამ ლიტერატურას სხვისი მისაბამი არაფერი სჭირს.

— ლაპარაკობენ მწერლობის, და საერთოდ, კულტურის წარმმართველ როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცოტა ხომ არ აზვიადებენ ამ როლს?

— არა, არ აზვიადებენ, თუმცა საპირისპირო მოსაზრებებიც არსებობს. გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰერტა მიულერი ამბობდა, რომ ცხოვრებას სასაცილოდაც არ ჰყოფნის მწერლობა; ამერიკელმა ჯონ სტეინბეკმა კი სულ სხვა რამ თქვა თბილისში ყოფნისას — სამოქალაქო ომი ამერიკაში პარიეტე ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხმა“ გამოიწვიაო. განსხვავებული აზრი ჰქონდა მწერლობაზე აშშ პრეზიდენტ ჯონ ადამსს: „ლიტერატურა შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კანონიერების დასაცავად, ისე უსამართლობისა და ტირანისის გასამეფებლად, როგორც სიქველის დასაწერად, ისე უზნებობის დასამკვიდრებლად“. ჩვენ ილიას ერი ვართ და ვიცით, რას ნიშნავს, როცა ქვეყნისთვის განსაკუთრებულ ყაზმს მწერალი მოზარედ გამოდის და ერს ხიფათის მოახლოებას ამცნობს. დღეს ჩვენს ქვეყანაში თითქმის სულ აღარ ისმის მწერლისთვის ნიშანდობლივი მოქალაქეობრივი ხმა და ეს ძალიან ცუდია. მწერლისგან დაცარიელებულ სივრცეს კი ვერაფერი შეავსებს... თუმცა ამაზე ლაპარაკი შორს, ძალიან შორს წავიყვანს და მოდი, ეს საუბარი მომავლისთვის გადავდოთ...

— თქვენს ლიტერატურულ შრომას თითქმის ყოველთვის უთავსებდით ოფიციალურ სამსახურს, რომელსაც ადრე „საზოგადოებრივ მოღვაწეობას“ უწოდებდნენ. როგორ გგონია ბევრს კარგავს მწერალი ამ „საზოგადოებრივი მოღვაწეობით“?

— ძალიან ბევრს... და ეს დანაკარგი აუნაზღაურებელია. ქართულ ლიტერატურაში თვალმისაცემია სიმრავლე

ისეთი მწერლებისა, ვინც სწორედ ამ „საზოგადოებრივი მოღვაწეობის“ წყალობით ვერ მოასწრო საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება — ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო სამადაშვილი და სხვა მრავალი. ყველაზე უფრო საშინელ დღეში კი, ალბათ, ვაჟა-ფშაველა იყო — იგი ტყე-ღრეში, სახნავ-სათესში, სათიბ-სამკალში დაატარებდა თავის დაუნერულ ლექსებსა და მოთხრობებს. გავიხსენოთ ფოლკნერის ოცნება — სადმე ღამის ყარაულის ადგილი ეშოვა და ენერა. თქვენ მეუბნებით — უთავსებდითო... არა, ვერ ვუთავსებდი და ჩემი დრო დაუნდობლად მიჰქონდა პრაქტიკულ „მიზნებსა და ამოცანებს“. ბოლოს კი ამას ვიტყვოდი — ხშირად ლაპარაკობენ მწერლის დახმარებაზე და თუკი მართლა ვინმეს აქვს დახმარების სურვილი, მწერალს წერისთვის შესაბამისი პირობები უნდა შეუქმნას (მითუმეტეს ჩვენნაირ ქვეყანაში, სადაც წიგნების ტირაჟი უქიდურესად დაბალია და ჰონორარი პრაქტიკულად არ არსებობს).

— 70-იანი წლების შუა ხანებში მძაფრი პოლემიკა გაიმართა ქართული თავისუფალი ლექსის პრობლემებზე. პოლემიკის ცენტრში თქვენ და შოთა ნიშნიანიძე მოექცა. იმ პოლემიკის ექო შემდგომაც არაერთხელ გაისმა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში და შეიძლება ითქვას, რომ ეს თემა დღესაც „ცოცხალია“. რას იტყვით — წლების შემდეგაც იმავე აზრზე დგახართ, თუ რაიმე შეიცვალა თქვენს პოზიციაში?

— არა, ჩემს შეხედულებებში არაფერი შეცვლილა და არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რადგანაც ამ წლების მანძილზე მრავალი მნიშვნელოვანი ურთიმო ლექსი შეეძაბა ჩვენი პოეზიის მდინარეს და თავისუფალი ლექსი უეჭველ ფაქტად იქცა. მე ელემენტარულ რამეს ვამბობდი — ქართული რითმიანი ლექსის გვერდით არსებობის უფლება ურთიმო ლექსსაც აქვს მეთქი. ჩემი ოპონენტები კი მრისხანედ აპროტესტებდნენ — ვერლიბრის ადგილი ჩვენს ლიტერატურაში არააო. ისე კი, წლების შემდეგ, თუ რამეს ვნახობ, აი, ამას ვნახობ: — არ უნდა ჩავრეულყოფიყავი ამ პროვინციულ კამათში. თუმცა... ესეც უნდა ითქვას: ვერლიბრის ნიშანდღე მოწყობილ ლაშქრობას თვით პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ხელმძღვანელობდნენ და ქვეშევრდომ ლიტერატორებს ავალებდნენ, მოეშალათ ეს „უიდეოების ბუდე“. შემთხვევითი არ იყო, რომ იმ ხანებში ჩატარებულ თბილისის პარტიულ კონფერენციაზე გამოსულმა ცეკას კულტურის განყოფილების გამგემ ნიკოლოზ ჯამბა სასტიკად გააკრიტიკა ჟურნალ „ციცკარში“ დაბეჭდილი ჩემი „უიდეო“ ლექსები. ეს იყო რეალური და მასზე რეაგირება აუცილებელი იყო. ისე კი, ბოლოს უნდა ვთქვა, რომ პოეზია მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ტანისამოსს...

— თქვენი გახმაურებული პოემა „თორღა ძაგანი“, ასე ვთქვათ, „ტრადიციული რითმიანი ლექსითაა“ დაწერილი, თქვენი პოეზიის დიდ ნაწილში კი ურითმო ლექსის ფორმებს იყენებთ. ასე რომ, ორივე სალექსო ფორმას ერთნაირი წარმატებით ფლობთ. მაინტერესებს, მამ რატომ აძლევთ უპირატესობას ურითმო ლექსს? იქნებ იმიტომ, რომ ეს ფორმა უფრო მოერგო თქვენს შემოქმედებით ბუნებას, თქვენს ფსიქოლოგიას, თქვენს მხატვრულ-ლიტერატურულ პრინციპებს?

— მართალი ბრძანდებით, გეთანხმებით... მაგრამ აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ რითმიანი და ურითმო ლექსის ურთიერთმიმართების თემა ძალიან საინტერესო თემაა და აქ ამ თემის განხილვა-ამოწურვას ვერ შევძლებთ — ძალიან შორს წავიყვანს.

— ლექსებთან ერთად თქვენ ხართ მრავალი ესსე, კრიტიკული გამოკვლევების, თუ პუბლიცისტური წერილის ავტორი. თქვენი წერილები ყოველთვის ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში თავისი კონკრეტული მიზანდასახულობით და მძაფრი პუბლიცისტური ტონით. ახლა კი, აგერ, რამდენი ხანია, რაც თქვენი წერილი აღარ შემხვედრია პერიოდიკაში. არადა, დღეს ისეთი დროა, რომ ბევრი საზოგადოებრივი და ლიტერატურული პრობლემა მოითხოვს პასუხის გაცემას, აზრის გამოთქმას, მწერლის აქტიურობას...

— ჩემს „მთავარ საქმედ“ მაინც ლექსი მიმაჩნია და მთელ დროს და ენერგიას სწორედ ლექსებს ვახარჯავ. იყო დრო, როცა მეგონა, რომ წინ ძალიან, ძალიან დიდი დრო მქონდა და რისი გაკეთებაც მსურდა, ყველაფერს მოვასწრებდი; მეგო-

ნა, რაღაც საქმეების „გადანევა“ შეიძლებოდა. ახლა გვრე აღარაა. აგერ, თითქმის უეცრად და მოულოდნელად წამომადგა ციფრი 70 და გარკვევით გამომიცხადა — მოემზადეო... თუმცა, მთლად უპატრონოდაც არ მიმიტოვებია ჩემი წერილები და ესსეები. ვფიქრობ, ერთ კრებულად გამოვცე ჩემი „დოკუმენტური პროზა“ — დღიურები, დოკუმენტური მოთხრობები, ჩანსებები, სხვადასხვა დროის პროზაული ჩანსებები („გაუფიქტრავი ფიქრები“) და ა.შ. ვფიქრობ, უინტერესო წიგნი არ უნდა გამოვიდეს... ვნახოთ...

— „დოკუმენტურ პროზაზე“ გამახსენდა — ამ ბოლო დროს თქვენს შემოქმედებაში პროზაც გამოჩნდა — ასე ვთქვათ, „დოკუმენტური პროზა“. მე მომეჩვენა, რომ ეს პროზაული მონაკვეთები რაღაც დიდი მოცულობის ნაწარმოების ფრაგმენტებია. რას გვეტყვით, ბიოგრაფიული რომანის დაწერას ხომ არ აპირებთ?

— არა, არა! ჩემს უჯრებში უამრავი პროზაული ჩანსებებია: ლეგენდები, გამოცემები, მამაჩემისგან, ჩემი დედისძმისგან, ხეობის საინტერესო ადამიანებისგან მონაყოლი ტრადიციული, თუ იუმორისტული ამბები... ამ მასალას სერიოზული ჩაჯდომა და დამუშავება სჭირდება და ამ საქმეს შორს აღარ გადავდებ. ყოველივე ამას ზემოთნახსენები დოკუმენტური პროზის წიგნში გავაერთიანებ. ჩემს თავი მრისხანე ყაზმის ნამოწონია — მკვდარი და სიკვდილზე მიმდგარი სოფლებითაა სავსე ჩვენი ხეობები... მე არ მაქვს უფლება, ხელში კალამი მეჭირო და მათ გუმინდელ დღეზე არაფერი ვთქვა. რაც შეეხება „ბიოგრაფიულ რომანს“, იცოცხლე, კარგი იდეაა, მაგრამ ყოველივეს თავისი დრო და შესაბამისი ძალეები სჭირდება... მიმაჩნია, რომ ეს დრო წასულია და ამხელა ტვირთის აწევის ძალაც აღარა მაქვს.

— თქვენ არაერთი პოეტური კრებულის ავტორი ხართ. მაინც რომელ წიგნს გამოჰყოფდით ამ კრებულებიდან, პირველად რომელ წიგნში იგრძენით ლიტერატურული დამოუკიდებლობა, პირველად რომელ წიგნში გამოიკვთა თქვენი შემოქმედებითი ინდივიდუალობა?

— მე ყველაზე მეტად ჩემი ლექსების მეორე კრებული „თოვლის ქრიზანთემები“ მეძვირფასება. ზედმეტად ზოგად გამოთქვამს („ლიტერატურული დამოუკიდებლობა“, „შემოქმედებითი ინდივიდუალობა“) რომ თავი დაგვანებოთ, ეს წიგნი „ჩემს გემოზე“ დაწვერე და გამოვეცი. შრომაც ბევრი წაიღო — თითქოს არაფერი, მაგრამ მთელი შვიდი წელიწადი ვწერდი ამ მცირე ფორმატის კრებულში შეტანილ ლექსებს. „თოვლის ქრიზანთემები“ 1975 წელს გამოვიდა. ამ დროისთვის აშკარად შესუსტდა იდეოლოგიური წნეხი რედაქციებსა და გამომცემლობებში — ახლა აღარავინ ლაპარაკობდა „პარავოზებსა“ და მსგავს რამეებზე. „უძრობის წიგნმა“ აშკარად სხვაგვარად აამოძრავა შემოქმედებითი ძალები. კრებულის გამოცემას მონობებით გამოეხმაურა ცნობილი პროზაიკოსი ლალო ავალიანი. მისი ვრცელი წერილი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. ამას მოჰყვა გურამ ასათიანის, თეიმურაზ დოიაშვილის წერილები და, ცოტა იუმორი რომ გამოვეყო, ასე ვიქეცი „იმედისმომცემ ახალგაზრდა პოეტად“.

— ტრადიციებსა და ნოვატორობაზე რას იტყვით — როგორ გამოიყურება ამ ორი ცნების ურთიერთმიმართება თანამედროვე ქართული პოეზიის ფონზე?

— ეს თემაც ჩაღრმავებულ, გამოწვლილვით განსჯას მოითხოვს და მე აქ მხოლოდ რამდენიმე არსებითი ფაქტორის აღნიშვნით დავკმაყოფილდები. „სოციალისტური რეალიზმის“ თეორიამ და პრაქტიკამ პრინციპულად უარყო ქართული ლიტერატურის უმთავრესი ტრადიცია — სიმართლე („მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რა... ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!“). დაიხ, ლიტერატურის დედაბოძი — სიმართლე — გამოცხადდა დრომოჭმულ ცნებად და „საბჭოთა მწერალი“ აღვირახსნილი სიყალბის რუპორად იქცა. ოსიპ მანდელშტამი გაკვირვებული წერდა: „ღმერთო, რაოდენ უმნიშვნელოა ვაჟა-ფშაველას ზეგავლენა ახალ ქართულ პოეზიაზე!“ რაც შეეხება ნოვატივებს — დღევანდელ ქართულ პოეზიაში აშკარად ისმის რამდენიმე პოეტის ახალი ხმა და ასევე აშკარად იგრძნობა შემართება „სოციალისტური რეალიზმის“ იდეოლოგია მიერ შემოღებული შტამების აღმოსაფხ-

ვრელად. თუმცა, აქვე, ისიც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ზოგიერთი „ნოვატორი“ მწერალი „სიახლის“ უცხოეთიდან „გადმონანგვას“ უფრო ესწრაფვის, ვიდრე მშობლიური ლიტერატურის წიაღში ძიებებს...

— ახალგაზრდა პოეტები. ვის კითხულობთ, ვის გამოყოფთ, რა ახალი მოტივები გეხმით მათ მიერ შექმნილი ტექსტებიდან?

— ვცდილობ ნავიკითხო, თუმცა ისიც ვიცი, რომ ნაუკითხავი უფრო მეტი მრჩება. ამიტომ ვერ გავკადნიერდები, ხმას ვერ დავიბოხებ და თუნდაც „ჩემი აზრის“ გამოთქმის უფლებით ვერ ვილაპარაკებ. ისე კი, ზედპირული შთაბეჭდილებით მგონია, რომ ტელევიზიის აღროძინების ეპოქა თავის საქმეს აკეთებს — თვითონ ახალგაზრდა მწერლები უფრო ჩანან, ვიდრე მათი ნაწარმოებები... ასევე ზერელე შთაბეჭდილებით მგონია, რომ ლექსებში ნამეტანი ხშირად ისმის მე, მე... მე და შენ... გასაგებია, რომ სუბიექტურ მოტივებს ლირიკიდან ვერ განვვდევნი, მაგრამ არც ისაა კარგი, როცა მწერალი განუწყვეტელი მე-დან და საკუთარი საოჯახო წრიდან ვერ გადის. ლოცვით კი, გულთადად ვლოცავ ჩემს ახალგაზრდა თანამოქალაქეებს — პოეტებს, პროზაიკოსებს, კრიტიკოსებს... ჩვენ ერთად ვართ — „ძველებიც“ და „ახლებიც“ ერთ საქმეს ვაკეთებთ... მწერლები ხომ ასაკით კი არა, უპირველესად ტალანტით განსხვავდებიან ერთმანეთისგან...

— მითოსი და თქვენ. მითოსური სამყაროდან ამოიზარდა თქვენი პოემა „თორღა ძაგანი“, ასევე მითოსითაა ნაზარდობით თქვენი შემოქმედების დიდი ნაწილი. მითოსური ნაკადი კიდევ უფრო გაძლიერდა ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ლექსებსა და პოემებში. მაინც საიდან ამდენი დევი, მაცილი, ქაჯი და ალ-ქაჯი?... რას ებრძვიან და რა არ ასვენებთ ცენტისშვილებს პირიმუსს, ზეგარდას, ცეცხლის ჯვარს, ლომისას, კოპალას, იახსარს?

— ეს ჩემი სიყრმის სამყაროა, ამ მითოსურ სამყაროში ავიდგი ფეხი. ჩვენი ხეობა ჩვენი და ჩვენი წინაპრების სალოცავი ხატებით, ხევისბერებით, დასტურებით, ხატის ვეება იფნებზე დაკიდებული ზარებით, სპლენდის დიდი სალუდე ქვაბებით იყო სავსე. ამ ხეობაში ერთად ცხოვრობდნენ ხატები და ადამიანები. ხატი იყო ხალხის მფარველი და იმედ, ხატი აშინებდა და ჩვენს ერდობში შემოღწევას არ ანებებდა ავსულებს; ხატებზე იყო დამოკიდებული სიცოცხლე და სიკვდილი, ბედნიერება და უბედურება, დარი და ავადარი; მეორეს მხრივ კი ადამიანები განსაზღვრავდნენ ხატების ძლევაში სიღვასს — სანთელს უნთებდნენ, საკლავს უკლავდნენ, ლექსებითა და სიმღერებით განაღვიდებდნენ... გავიდა დრო და თვით ჩემივე წარსული და ჩემივე მამაძიძინი იქცნენ მითოლოგად — აი ისინი: ფარის უფროსი ნინია, რომელიც ჭრელ მინდორზე ჭრელი წინდებით მოცეკვავე ღვთისშვილად წარმოიდგება ხოლმე; მჭედელი ბეჟია, რომელიც ბუმბულის სიმსუბუქით იქნება ვეება უროს და გავრვარებულ რკინას ბლუჯა-ბლუჯა ყვა-ვილები სცვივა; მენისქვილე ჯირკვა, რომელიც დევის ქალს ყვარობს და ის ქალი ნისქვილის საღვარედან შედის ღამ-ღამობით ჯირკვასთან... აი, ამ სამყაროდან გადმოვიდნენ ჩემი ლექსები და ეს ძალიან ბუნებრივია — მერცხალსაც უყვარს თავისი ბუდე...

— დიდ მადლობას გიხდით ამ საუბრისათვის და ბოლოს ერთსაც შევეკითხებით: სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ, რის დაწერას და გამოქვეყნებას აპირებთ ამ უახლოეს ხანებში?

— მე ერთი უცნაურობა მჭირს: რასაც ვგეგმავ, ვერასოდეს ვასრულებ. ერთ ხანს ერთად ვართ ხოლმე მე და ჩემი „სამომავლო გეგმა“, მერე კი ვშორდებით, გეგმა სულ ქრება, მე კი ჩემს დაუგეგმავ სამუშაოს ვასრულებ. ამგვარად, რასაც ვგეგმავ, წინასწარვე ვიცი, რომ ვერ შევასრულებ; ხოლო თუ უფრო პრაქტიკულ გეგმაზე ვილაპარაკებთ — მინდა გამოვცე ანდა გამოსაცემად მაინც მოვაგზადო ჩემი ნაწერების ოთხტომეული (პირველი ტომი — პოეზია, მეორე — ლიტერატურული წერილები, მესამე — დოკუმენტური პროზა, მეოთხე — პუბლიცისტიკა), თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ეს ჩანაფიქრიც ოცნება უფროა, ვიდრე რეალობა.

რედაქტორი

ზურაბ აბაშიძე:

„თითოეული ენციკლოპედიისთვის მასალა წვეთ-წვეთად გროვდება“



საქართველოში ენციკლოპედიურ და ლექსიკოგრაფიულ საქმეს დიდი ხნის ისტორია აქვს. ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ქართველი მოღვაწეების მიერ იმ პერიოდში შექმნილ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ნაშრომებს სწორად თან ერთვისდა სამეცნიერო ცნობარები და ტერმინთა განმარტებანი. ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწისა თუ არსენ იყალთოელის შემდეგ, ქართული საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი სულხან-საბასეული ლექსიკონით დაიწყო; XVII საუკუნის ბოლოს, „ლექსიკონი ქართული“ ენციკლოპედიური მასალით შეავსო დავით რექტორმა. ამას კი იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა“ მოჰყვა. XIX საუკუნის ბოლოს, ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოვიდა რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის პირველი ოთხი წიგნი...

— ბატონო ზურაბ, დღეს ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტრუქტურული ერთეულია და აკადემიის სტრუქტურაშია განთავსებული. მასს ივსებს დრო, როცა ქართული ენციკლოპედია დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა და დამოუკიდებელ სივრცესაც კი ფლობდა საგანგებოდ რედაქციისთვის ავტომატურ შენობის სახით...

„ქართული ენციკლოპედიისთვის“ საფუძველი საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა. ვასული საუკუნის გარიყარაზე, ქართველმა მეცნიერებმა, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და ვასილ პეტრიწაშვილის თაოსნობით, „ქართული ენციკლოპედიის“ შექმნა განიზრახეს. თუმცა, მათი იდეა განუხორციელებელი დარჩა.

30-იან წლებში, „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მომზადება მალაქია ტოროშელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა დაიწყო. 1933 წელს ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიას, გერონტი ქიქოძისა და სხვათა მიერ ენციკლოპედიისთვის მომზადებული სტატიები თითქმის მზად იყო, მაგრამ საქმე, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამაზე შორს ვერ წავიდა. დაწყებული გზის გაგრძელება 1965 წელს გახდა შესაძლებელი, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ქართული ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქცია შეიქმნა. მთავარ რედაქტორად ირაკლი აბაშიძე დაინიშნა. ბატონმა ირაკლიმ ენციკლოპედიის რედაქციის დაარსების პირველივე დღიდან ამ საქმისთვის თავდადებული საზოგადო მოღვაწეები შემოიკრიბა და მალევე ენციკლოპედიური სამეცნიერო კოლექტივი შექმნა... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარ სამეცნიერო რედაქციას ზურაბ აბაშიძე ხელმძღვანელობს. მასთან საუბარს საბჭოთა პერიოდის ქართული ენციკლოპედიის განხილვით ვიწყებთ.

ოვიდან იყო მოვლენილი, უთქვამს, გავიგე, პირველ ტომში რვაასამდე ქართველი მეცნიერების გვარია შეტანილი. ამაზე, მამას უხუმრია, ამდენი მეცნიერები მართლაც რომ გვყოლოდა საქართველოში, დღეს ამას აქ ვინ მოუშვებდაო.

მასსოვს, აფხაზეთთან დაკავშირებული მასალის მომზადებისას რამხელა წინააღმდეგობები გაიარეს. საინფორმაციო ტექსტის შედგენაში ლამის მთელი მთავრობა იყო ჩართული, თუმცა საბოლოოდ, მაინც ის მასალა გავიდა, რაც აქ, რედაქციაში მომზადდა.

— ბატონო ზურაბ, თქვენ 2006 წლიდან ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ბრძანდებით. საინტერესოა, უკანასკნელი წლების მანძილზე რა შეიცვალა ქართული ენციკლოპედიაში, რა სიახლეები შესთავაზეთ საზოგადოებას?

— მოგეხსენებათ, საბჭოთა ეპოქის შემდეგ, ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო. ზოგადად, მთელი მსოფლიო შეიცვალა. საქართველოშიც უდიდესი ძვრები მოხდა ყველა მიმართულებით. ბუნებრივია, ენციკლოპედია განახლებას საჭიროებს. განვითარებული ქვეყნებში, ასეთ ენციკლოპედიურ გამოცემებს, როგორც წესი, ყოველ ორ-სამ წელიწადში განახლებენ. ჩვენთან, ცამეტი ტომის ახლიდან გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო, ძალიან რთულია. როცა მიზეზებს ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს როგორც ადამიანური რესურსები, ისე მატერიალური ფაქტორი. ახალ გამოცემას ძალიან დიდი დრო, თანხები და არაერთი ინსტიტუციის მობილიზება სჭირდება.

დღესდღეობით, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი საქართველოს ენციკლოპედიის ხუთტომეულის გამოცემაა. ახლა ამაზე ვმუშაობთ. ჩემს მაგიდაზე რასაც ხედავთ, — ამ გამოცემისთვის მომზადებული მასალებია. ერთი ტომი დიდი ხნის წინ გამოვიდა. მასში მკითხველი უნიკალურ ინფორმაციას იპოვს ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის შესახებ. ეს ანბანური წესით აგებული ენციკლოპედია გახლავთ. მიმდინარე წელს, მეორე ტომის გამოცემას გვგეგმავთ. მონადინებული ვართ, რომ ყოველწლიურად თითო ტომი დავდოთ. მაშინ, სამი ათასამდე ეგზემპლარი დაიბეჭდა და ყველა გაიყიდა. იმედი მაქვს, რომ ხალხი მომდევნო წიგნის გამოსვლასაც ინტერესით ელის. ამჯერად, ტრიაფი ორი ათასიც რომ იყოს, კარგი საქმეა...

— უკანასკნელი წლები ქართული ენციკლოპედიისთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო. საზოგადოებას არაერთი საინტერესო გამოცემა შესთავაზეთ...

— ენციკლოპედია „საქართველოს“ გარდა, ჩვენი მუდმივი თემაა „საქართველოს კულტურისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები“. მისი ორი ტომი უკვე გამოსულია. გამოცემის მიზანია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული უკლებლივ ყველა ძეგლის მეცნიერული შესწავლა და მათი დოკუმენტაციის შექმნა. საზოგადოების წინაშე წარმოვარებთ კულტურისა და ხუროთმოძღვრების იმ ფასეულობებს, რომელიც ამჟამად აღრიცხვაზეა აყვანილი, ან მომავალში იქნება აღრიცხული და დაცული სახელმწიფოს მიერ. ძეგლების აღწერა რეგიონების მიხედვით მიმდინარეობს. პირველ ტომში შიდა ქართლის ათას-ხუთასამდე ძეგლია შეტანილი, გამოცემა უხვი საილუსტრაციო მასალითაა გაჯერებული. მეორე წიგნი კი საქართველოს მთიანეთს მიეძღვნა. გამოცემების მომზადებაში, ჩვენს რედაქციასთან ერთად, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებიც მონაწილეობენ. ამჟამად, კახეთის რეგიონის ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღწერასა და პასპორტიზაციაზე მუშაობა მიმდინარეობს.

ძალიან საინტერესოა აკადემიური გამოცემა ენციკლოპედია „ქართული ენა“. იგი არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერაა მომზადებული. ეს გახლავთ პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედია, რომელშიც ქართული ენის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები და ამ დარგში ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიღწევებია ასახული. სხვათაშორის, წიგნის მიმართ ინტერესი იმდენად დიდია იყო, რომ ერთსა და იმავე წელს იგი ორჯერ გამოვეცით. პირველი გამოცემის ტირაჟი ორი ათასი ეგზემპლარი იყო, მეორე წიგნისა კი — ხუთასი. არ გვეცოდა ასე სწრაფად თუ გაიყიდებოდა, რადგან, მოგეხსენებათ, ეს პოპულარული საკითხავი არ არის და სპეციალისტთა გარკვეული წრისთვისაა განკუთვნილი. სასაჩუქრე ფონდში „ქართული ენის“ რამდენიმე ეგზემპლარია შემოვარჩა. ახლა ვფიქრობთ - ხელმოწერე გამოვცემა თუ არა? ამას ხომ თანხები სჭირდება.

— „ქართული ენის“ გამოსვლის შემდეგ, მალევე დაიბეჭდა თქვენს მიერ მომზადებული „ქართული დამწერლობა“, რომელშიც საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ქართული ანბანის გრაფიკული განვითარების გზა V საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით...

— ამ გამოცემაზე მუშაობისას, სურვილი გვქონდა ქართული ანბანის გრაფიკული ანალიზისა და სხვა ანბანებთან შედარების გზით, ჩვენი დამწერლობის განვითარების დამოუკიდებელი გზა გვეჩვენებინა. წიგნი მოზარდი თაობისთვისაა განკუთვნილი.

— ქართული ენციკლოპედიის მთავარმა რედაქციამ, 2002-2008 წლებში თბილისის თემაზე ბევრი იმუშავა და მკითხველს ორი საინტერესო გამოცემა შესთავაზა.

— „თბილისი“ პირველი სამეცნიერო გამოცემა გახლავთ, რომელიც ერთ კონკრეტულ ქალაქს ეძღვნება. მასში დეტალური შესახებ ძირითადი ცნობებია თავმოყრილი. თავისი სტრუქტურითა და ტერმინთა შერჩევით პრინციპულად, იგი უნივერსალური ენციკლოპედიებისგან არსებითად განსხვავდება. რაც შეეხება 2008 წელს გამოცემულ ენციკლოპედიას — „თბილისი ქუჩები, გამზირები, მოედნები“, მასში დეტალურადაა ასახული ქალაქის ქუჩების ადგილმდებარეობა, ისტორია, არქიტექტურული სახე და ღირსშესანიშნაობანი. რაც მთავარია, წიგნს თან ახლავს სახემეცნიერო ობიექტების სია და 117 სქემატური რუკა საძიებლებით, სადაც 2500-ზე მეტი ობიექტის კოორდინატია მითითებულია. წიგნი უხვი ფოტომასალითაა ილუსტრირებული. გამოცემის სრულყოფისათვის, დამუშავდა სხვადასხვა წლებში შედგენილი კავკასიის კალენდრები (თბილისის გეგმები), ქუჩების ცნობარები, ასევე, ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული შესაბამისი ლიტერატურა.

წიგნმა გამოსვლისთანავე დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი ორიათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა და მალევე გაიყიდა. სხვათაშორის, თბილისის მერამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მათთვის საინტერესო მასალის გამოყენების თაობაზე,

თხოვნით მოგვმართეს...

— უცხოეთის საენციკლოპედიო გამოცემებთან თუ თანამშრომლობთ?

— ურთიერთობა გვაქვს ბრიტანიკის დიდი ენციკლოპედიის - „ბრიტანიკის“ მთავარ რედაქციასთან. ვფიქრობთ შევექმნათ ქართული „ბრიტანიკის“ ელექტრონული ვერსია, რომელიც, ძირითადად, მოზარდებისთვის იქნება განკუთვნილი. რამდენიმე ხნის წინ, ლონდონში გახლდით, „ბრიტანიკის“ ხელმძღვანელობას შევხვდი, შემდგომ თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ. იქ აბსოლუტურად სხვა მასშტაბები, სხვა ტემპია, ეს არცაა გასაკვირი. მეტწილად ელექტრონული ვერსიების მომზადებაზე არიან გადასული. ძალიან მრავალფეროვანი ინტერენტგამოცემები აქვთ — სასკოლო ენციკლოპედიები, უმაღლესი სკოლებისთვის განკუთვნილი ენციკლოპედიები... ცალკეა — ვინო თემატიკაზე აგებული ელექტრონული გამოცემები და ასე შემდეგ. მათი მასალა ინგლისურ ენაზე გამოდის და აქედან გამომდინარე, მილიონობით მომხმარებელი ჰყავთ! ასე რომ, მასშტაბები საკმაოდ განსხვავებულია. ამ თვალსაზრისით, ჩვენთან, ძირითადი პრობლემა ინტერნეტ სივრცეში ქართულენოვანი ინფორმაციის სიმწირე გახლავთ. ენციკლოპედიის პარალელურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლი და ამ სირთულეს ყოველდღიურად ვაწყობდები - ვხედავ, რომ სტუდენტების ნაწილი ინგლისურ ენას ფლობს, ნაწილი — რუსულ ენას, თუმცა, უმეტესობამ ერთიცა და მეორეც ცუდად იცის; ქართულ ენაზე კი ინტერნეტში ბევრს ვერაფერს იპოვი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა თემატიკის ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების ინტერნეტ-ვერსიების მომზადება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა.

— ბატონო ზურაბ, ძირითადი საენციკლოპედიო თემების გარდა, სხვა ახალ გამოცემებზე თუ მუშაობთ?

— თითოეული ენციკლოპედიისთვის მასალა წვეთ-წვეთად გროვდება, ასეთი გამოცემების მომზადება დიდ დროს მოითხოვს. საქმეში ჩვენი რედაქციის თანამშრომლებთან ერთად, მონეული სპეციალისტებიც არიან ჩართულნი. ცოტა ხანში დავასრულებთ წიგნს „ასი ქართველი უცხოეთში“. საუბარია ადამიანებზე, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს როგორც საქართველოს, ისე იმ ქვეყნების ისტორიაში, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ტექსტი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე იქნება შედგენილი და მკითხველის ფართო წრეს დაინტერესებს. ვმუშაობთ ასევე, პირველ ქართულ „სამხედრო ენციკლოპედიაზე“. ამ საქმეს ბატონი ელგუჯა მემძარიაშვილი უდგას სათავეში. ერთი სიტყვით, სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრია...

კიდევ ერთი სახელო გვაქვს — ქართული ენციკლოპედიის ვებ-გვერდი. მასში სრულადაა მოწოდებული ინფორმაცია ჩვენი რედაქციის საქმიანობის, სტრუქტურის, ძველი და ახალი გამოცემების შესახებ. ტექსტი ქართულ-ინგლისურ ენებზეა მოცემული. ასე რომ, დაინტერესებულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი რედაქციის შესახებ, ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს. ჩვენი მისამართია encyclopedia.science.org.ge.

ესაუბრა თამარ შურული

ნატა ვარადა განცხადება ელექტრობოქაზე

დასასრული

- გოგო, ჩამომინერე შენი, შენი ძმების, დედისა და მამის დაბადების წლები, თვეები. მომიტანე შავი ბზის ჯვარი და გასანთლული ძაფი. ჩაიკეტიტა ბოქლომი, დარჩები განზე.

მოხუცების სიზმარი

ქნის უთქმელი მოწყენილობისგან ინფანტილურ არსებად ვიქცი. როგორ მინდოდა გამომეხატა სიხარული, როცა გხედავდი მდინარის ხიდზე. სრულმა უუნარობამ მომიცვა. რაც ადრე ჩემს სისუსტედ მიმაჩნდა, ანუ სიყვარული, ახლა უნდობლობად მექცა და სწორედ იგივე რამ მაძლიერებდა მენტანაც და (ზოგადად გარე სამყაროსთან). ყელში გამოზურთული ხორცმეტი მაძლევდა წარმოუდგენელ ენერჯას და მეტაბოლიზმის იერ-სახეს. მიუღმივად ჩართული რადიოთი, ტელევიზორით, კომპიუტერით, ყურსაცვამებგარჭობილი გადავრბოდი გზაჯვარედინებზე და თვალებს ვანებებდი წამნამებში, რომ უბედურება არ დამტყვობდა თავს და ვაითუ, შემთხვევით გამიხილა... ისე დავატარავედი... სილამაზისადმი ყოველგვარი მონივნების გრძობა გამიქრა. სიხარულისა და მწუხარების ზეაჭრობი და ხან ქვედაშეხებული კლასიკის რხევით შიშით ვადგამდი თითოეულ ნაბიჯს. გენეტიკურად დავიშალე. ჩემს სოციალურ ქცევას არანაირი ახსნა არ მოეძებნება. მე შემოძლია ათი ფრანკის გამო სიცოცხლეს გამოვსალამო მამა, რომელიც დიდი ხანია არსად მუშაობს და დახეული ფეხსაცმლით დადის. აღარც კი მახსენდება ბაბუას სახლში როდის ვიყავი სტუმრად. მასთან ერთად სადმე წასვლაზე აღარ მაქვს ლაპარაკი, ის ჩემთვის სრულიად უცხო ეთნიკური ჯგუფის წევრია. ჩემს იდენტიფიკაციას, ანუ დიაგნოსის დასმას მე თვითონაც ვეღარ ვახერხებ და მუდმივად საკუთარ თავთან შევიბრძვი დასასრულის კენ მივექანები.

შენ კი, ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ მამაპაპისეულ სახლში მოგყავს ლამაზი ქალი, წვეტი მასთან პირველი ღამის უფლებით და ყოველ თვეს მის მენტრუაციულ ციკლს აკონტროლებ. ნათესავებთან ერთად აწყობ შაბათობის შეხვედრებს და დიდ სუფრებზე შენი სიმამრი თამადაა. კვირაობით კი უბნის ტაძარში დადიხარ და სტიქაროსნის თეთრი კვართით ალაგულენ მესას.

დღეს ჭუჭყიანი ღამე ჩავიცვი.
- მგონი კრიზისული მდგომარეობიდან ნელ-ნელა გამოდის. რამდენიმე ფირფიტა დარჩა. ესენიც როგორმე ჩუმად და შეუმჩნეველად შევაპაროთ საჭმელში. ექიმიც ასე ფიქრობს. მთავარია ვერ მიხვდეს.
- რა ხმა გაქვს დედა?!

ამ აღმართს რომ ჩავყვი ადრიან კვირა დილას, ამ აღმართის ბოლოში ბებერი ბუკინისტი იჯდა თეთრი წვერით და ნიგნებს ყიდდა. შემეცოდა და დავპირდი, უკან რომ მოვბუნდები ვირგილიუსის "ენიდას" ვიყიდი, მეექვსე თავი აუცილებლად წაიკითხო. ექვსამდე დაგელოდებო. მერე დავყვი და ყველა ბოძს ეს თეთრი ცარიელი ფურცლები დავაკარი. ისინი ჰგავდნენ ზავის მოსურნე მორებს. ოფისში, მაგიდასთან დასვამენ ახალ გოგოს. მას ეყოლება საქმრო კარგი ოჯახიდან, სამი ბინით და უმაღლესი განათლებით. ის იქნება მონესრიგებელი, სუფთა და პუნქტუალური. ათიდან ექვსამდე მოამზადებს მასალებს გამოსაქვეყნებლად, უპასუხებს მშვიდი ხმით სატელეფონო ზარებს. შესვენებაზე გავა მეგობრებთან ფინჯან ყავაზე და კომპიუტერის ნავის ყუთიდან ბინიდან აღადგენს ჩემს არდანერულ ლექსებს, წაიღებს ლიტერატურულ ჟურნალში და იქ ავტობიოგრაფიასთან ერთად გამოაქვეყნებს, ოღონდ ფოტოსურათის გარეშე, რადგან ფოტოები ყოველთვის იტყუებიან.

ტოტი მოტყედა ხეს. მდინარეს დაუშრება წყალი. ნისლი ჩანვება ქალაქის თავზე. ვიდრე დიდი, შავი ფრინველები ფრთებს აიკეცავდნენ - შიშველი ფეხისგულეებით ნაწვიმარ მინას შენს ანაბეჭდებს დაუტოვებ.

იპტომ მორიგი სარეცენზიო დედანი დამიდო მაგიდაზე - ერთი შენებურად მიხედო. საქალაქო ენერა „ჭაბუა ამირეჯიბი, მოთხრობები“. არ გამეგონა. „ასეთი მწერალი გაგიგიათ ვინმეს?“ - ვიკითხე. „არაო“ - ყველამ, გარდა ელიზბარ უბილაგასი. მე ჩავთვალე, რომ მუშაობაში გართულმა ვერ გაიგონა ჩემი შეკითხვა, ანდა გაიგონა და... ე.ი. მორიგი დამწყები თუ უცნობი მწერლის დედანი გადმომეცა. იაგო ასეთებს რატომღაც მე მაძლევდა უფრო ხშირად. თუმცა რა რატომღაც უარყოფითი დასკვნების წერა არ იყო სასიამოვნო - შრომაც იკარგებოდა, რაკი წიგნი არ გამოვიდოდა და განწყენებულ ავტორების მოგერიებაც გიხდებოდა. როგორია თავის ლექსების გენიალურობაში დარწმუნებული გიჟოპოეტისათვის მტკიცება იმისა, შენი ლექსები არ ვარგაო. განწყენებულნი მიდიოდნენ და რანაირ ცილს აღარ მწამებდნენ. მარტო ლექსები არა, პროზა ხშირად უარესი იყო, თუ კი იმათზე „პროზა“ შეიძლება ეთქვა კაცს.

ჩავთვალე, რომ ეს ვილაყ ჭაბუკ ამირეჯიბიც ამ რანგის იქნებოდა, თუმცა გვარ-სახელმა ერთგვარი სიმპათია გამიჩინა. როცა საამისოდ მოვიდროვე, დავინყე კითხვა და პირველივე აბზაციდან ვიგრძინე ნამდვილ და საინტერესო მწერალთან მქონდა საქმე. თითოეული მოთხრობა ისეთი ინტერესით წავიკითხე, რედაქტორული თვალი მიმავინწყდა. მერე მივუბრუნდი საჩხრეკად, მაგრამ ამ მხრივაც სასწორები თითქმის არაფერი იყო. რა თქმა უნდა, დადებითი რეცენზია დავწერე. სხვანაირად მე არ შემეძლო, კარგზე კარგს ვწერდი, ცუდზე - ცუდს. მაფრთხილებდნენ გამოცემის რედაქტორები, სანამ რეცენზიას დანერ, ჯერ გაიგე მოსამზადებელ გეგმაში არის თუ არა, სურთ გამოცემა თუ არაო. ამის გამო დიდი უსიამოვნებებიც შემხვდა. ჩემი დადებითი რეცენზიით მერე ითხოვდა ავტორი, გეგმაში უნდა შემიტანოთ, გეგმაში შეტანილი იწყებდა ყვირილს, როცა ამოაგდებდნენ.

რეცენზია დამთავრებული არა მქონდა, ხმელ-ხმელი, მაღალი კაცი შემოვიდა. იკითხა, როგორ არის ჩემი წიგნის საქმე? იაგომ ჩემსკენ ანიშნა - სარეცენზიოდ აი, გიგი ხორნაულსა აქვსო. ასე გავიცანი ჭაბუკ ამირეჯიბი. ვუთხარი, თქვენი მოთხრობები მომეწონა და დადებით რეცენზიას ვწერ-მეთქი. დიდი მადლობაო მითხრა და თან იმავე ტონით გააგრძელა:
- ჩემ საპროტექციოდ, სათხოვნელად ხომ არავინ მოსულა შენთანო?
- არავინ, ვინ უნდა მოსულიყო-მეთქი?
- არავინ! უბრალოდ მე მინდა ეს მოდეს ყველას, რომ მართლა მოწონების გამო წერ დადებით რეცენზიას და არა ვინმეს თხოვნით.

- არა, რას ბრძანებთ, თხოვნით და მითითებით არასოდეს დამინერია და არც ამას ვწერ! - ცოტა არ იყოს, მენყინა. ვერ ვიგებდი რას ამბობდა, - გითხარით და კიდევ გიმეორებთ, თქვენი მოთხრობები მე მომეწონა, გნებავთ ხუტასთან შებრძნად და შემოგყვებით - ეს მოთხრობები უნდა გამოიცეს-მეთქი!
- დიდი მადლობელი ვარ! - ოდნავ ჩაელიძა, გაფიცება რომ შემეტყო, - მე არსად შემსვლელი და მთხოვნელი არა ვარ! ვარგა, გამოეცით, არ ვარგა, როგორც მომიტანია, ისევე წავიღებ! - მოჭრა მოკლედ, მქისედ წამოხტა, ხელი ჩამომართვა და ისე სწრაფად გავარდა, გაცილებდა ვერ მოვასწარი.

- დედას გეფიცებთ, ვერ დავიჯერებდი, თუ ასეთი ვაჟკაცი კიდევ დადიოდა თბილისის ქუჩებში! - შესძახა ძველმა რედაქტორმა ნათელა ლორთქიფანიძემ. მარტო ნათელა და სხვა ჩვენი ქალი რედაქტორები - ლილი გეგელია, ნელი ამაშუკელი - კი არა, მეც აღტაცებული დავრჩი. ჭაბუკ არა ჰგავდა სხვა ავტორებს, „ჩანყობები“ და ქლესაობით მოსულნი, ხუტასთან შეყოლას რომ მხვდებოდნენ. ხუტასთვის შეეტანა ვილაყს ამბავი. სხვა არავინ იქნებოდა ან თვით იაგო, ან ელიზბარი. მეორე დღე იყო თუ მესამე, გამომიძახა და:
- გიგი, ჭაბუკ ამირეჯიბის წიგნზე დადებითს წერ?
- დიახ, ძალიან მომეწონა.
- მაინც რას წერ?
- რომ წიგნი აუცილებლად უნდა გამოიცეს.

- შენზე ყოფილა აქ ყველაფერი! ელიზბარს რომ უარყოფითი აქვს დაწერილი, იცი? შენ თვლი, რომ იმაზე მეტად ერკვევი, რა უნდა გამოიცეს და რა არა?

გიგი ხორნაული

ჭაბუკ ამირეჯიბი

მოგონებათა წიგნიდან

- ნამდვილად არ ვიცოდი, ბატონ ელიზბარს უარყოფითი თუ ჰქონდა დანერეილი, მაგრამ რომც მცოდნოდა, მე მაინც იმას დავწერდი, რაც დავწერე.

- ეგ იმიტომ, რომ შენ ბრიყვი ხარ, წინ არ იხედები, ელიზბარი გამოცდილია, წინდახედული - ეგ შენი ჭაბუკ ამირეჯიბი, იცი, რომ გადასახლებიდან ახლახანს არის დაბრუნებული, ათი თუ თხუთმეტი წელი ციხეებსა და გადასახლებაში აქვს გატარებული.

- პირველად მესმის, ბატონო ხუტა! კიდევ იმიტომ არის ასე დამაჯერებლად, ასე ძალიან საინტერესოდ ციმბირული ამბები... რაკი ეჭვი გეპარებათ, შემოგიტანთ ერთ ყველაზე პატარა, ყველაზე უბრალო მოთხრობას, წაიკითხეთ და თქვენ გადამწყვეტით, მე კი ვიცი, რომ მოგეწონებათ.

- ეგრე ვქნათ, კარგი, შემომიტანე. მდარე არცერთი არ იყო, მოცულობით კი „ველოსიპედი“ იყო ყველაზე პატარა, ის შეგუტანე. მითხრა, აქ არა მცალია ამის წასაკითხად, შინ წავიღებ და პასუხს ხვალ გეტყვიო. ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, მდივანმა შემოიხედა, ხუტა გეძახისო.

- ბიჭო, როდის აქეთა გაეშპაკდით ეს ხევსურები - ყველაზე კარგი მოთხრობა შემომიტანე?

- არა, ბატონო ხუტა, გეფიცებით, რომ ეგ მოთხრობა იმათთან შედარებით მდარეც არის და მცირეც.

- ერთი თვალი ჩავკარი და სანამ ბოლომდე არ ჩავიკითხე, ვეღარ მოვწყდი. თუ სხვები ამაზე უკეთესებია, როგორც შენ ამბობ, კარგი მწერალი ყოფილა. შემომიტანე, მთლიანად წავიღებ.


მეორე დღით გვიან მოვიდა, ბატონი ხუტა. ჩვეულებრივ ცხრამდე მოდიოდა ხოლმე. მოვიდა და სანამ სხვადასხვებს დაუძახებდა, ისევე მე დამიძახა.

- ყოჩაღ, გიგი, ჩვენ ეს ნიგნი დაწუნებული რომ გადაგვეგზოვო ავტორისთვის, თავი მოგვეჭრებოდა. თქვენ რა გითხარით, თეთრად გამათენებინეთ ღამე. მოანერე დასაბეჭდად ხელი და სტამბაში გავუშვათ, ამ ნიგნს გეგმაში შეტანა არა სჭირდება, გეგმის გარეშე უნდა გამოეცეთ!

ფეხებზე ეკიდა ცენზურა და მოსკოვიც, წიგნი თუ მოეწონებოდა, თუ საჭიროდ მიიჩნევდა, გეგმის გარეშე პირდაპირ სტამბაში აგზავნიდა. ჩემი შუამდგომლობით, მაგალითად, ასე გამოსცა მიხედვით ჭაბუკ ამირეჯიბის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“; ჩემამდე დიდი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი „ჩვენი საუნჯის“ პირველ ტომში შეტანილი ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამო - როგორ შეიძლება საბავშვო გამომცემლობამ რელიგიური ლიტერატურა გამოსცესო?

„ძია შოთას ბადაი“ - ასე ჰქვია ჭაბუკ ამირეჯიბის მოთხრობების იმ კრებულს, რომელიც 1965 წელს გამოიცა და რომლის რედაქტორიც მე ვახლავარო. ამ ამბავმა დაგვამეგობრა. სუფრებზე, სადაც კი ერთად მოვხვდებოდით, ყოველთვის დიდი რიხით აფორმებდა ჩემი „გმირების“ ამბავს. შეხვედრები კი ხშირი გვექონდა ვახუშტისთან, გარე თურმანაულთან ფშავში და სხვებთან. მეუბნებოდა - ეხლა ერთ რომანს ვამთავრებ „დათა თუთაშხიას“, იმის რედაქტორადაც შენ მეყოლებიო. მაგრამ მერე, ჯერ „ცისკარში“ იმ რომანის დაბეჭდვასთან დაკავშირებით, მერე ნიგნად გამოცემასთან, ისეთი ამბები დაუტრიალეს, იქ გიგი ხორნაულის ადგილი აღარა რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მეგობრობა მაინც გრძელდებოდა.

1976 წლის შემოდგომაზე დამირეკა, ჩემთან, შინ, პატარა წვეულებას ვიხდი და ცხვარი მინდა შენ დამიკლაო. ზუსტად წინა დღეს ქისტეთიდან ბლომად ტახის ხორცი მქონდა ჩამოტანილი. სამწვადე წავუღე. ცხვარი ბინაში, მეცამეტე სართულზე დავკალი და დავამუშავე. ოცი-ოცდახუთი კაცი ჰყავდა სტუმარი, სულ რჩეულნი ჩვენი საზოგადოებისა, თავადური ჯიმ-ჯილაგისანი. ქალბიდან ცინუკი დადიანი დამახსოვდა, რადგან ხშირ-ხშირად მიუჯდებოდა ხოლმე როიალს და რუსული რომანების სიმღე-



რით გვატკობდა.

ტახის მწვადები რომ შემოვიდა და თამადამ ჩემი სადღეგრძელო თქვა, მეორემ ჭაბუკამ ითხოვა თქმის უფლება. მან ჯერ გამომცემლობასთან დაკავშირებული ამბები გაიხსენა, ახლა ჩემი „მაგარი“ მონადირეობა მოაყოლა (ნანადირევის სუფრაზე რამდენჯერმე იყო ჩვენთან ნამყოფი თავის ახალგაზრდა მეუღლე თამრიკო ჯავახიშვილთან, ჩემი მეუღლის მეგობართან ერთად).

- ქისტეთში სად ინადირე? - მკითხა უცებ.

- ინგუშეთში.
- ინგუშეთში რა ადგილებში?
- ხამხას.

- უფრო კონკრეტულად? - ჩამეკითხა. მე ვიფიქრე, რაში აინტერესებს, იმ ნასოფლარის დასახლება-მეთქი. მაინც დაეუხახელე, იმ იმედით, რომ დასახლება არაფერს ეტყობა:

- ჰადახკეს.
- ეგრე გეთქვა... ასას ხეობის მაღლა ტყით შემოჯარულ ვაკეზე რომ არის სოფელი, შუაში ერთი ციხე დგას. ჩრდილოეთის მხრიდან ოძიციდან არის გადასასვლელი ტყიან მთაზე...
- საიდან იცი?! - შევძახე გაოცებულმა.

- საიდან? - ჩაეცინა, - ექვსი წელი მაგ ადგილებში ვიმალეობდი. მაგარი ადგილებია, მაგარი ხალხია ქისტები. ექვსი წელი ისე მინახავდნენ, ცივ ნიავს არ მაკარებდნენ.

- თვითონაც მაგარი ხარ, - ჩაერია საუბარში ერთ-ერთი სუფრის წევრი, - როგორ იყო ერთგვარული მანქანა რომ დააბრუნებინე?

- ეჰ, არ ღირს! - ხელი ჩაიქნია ჭაბუკამ. არ მოეშენე და გვიამბო: გადავიხედე ეზოში, მანქანა იქ აღარ იდგა; ვფიქრობდი ჩამონერული ტაქსი ვის რად უნდა, ვინ მოიპარავსო, გამოჩნდა ყველაფრის ვიკსრებელი ხალხი. თანაც, ეტყობა, იცოდნენ, რომ ჩემი იყო, ტელეფონზე დამირეკეს „ორიათას მანეთს ამა და ამ ადგილას მოიტან და მანქანას წაიყვანო“.

„მოიცათ, მოიცათ ყურმილი არ დაჰკიდდეთ! - ჩავძახე, - ვილაყა ნაბიჭვრები ხართ, თქვენ მე არ მიცნობთ. მიდით ამა და ამ მისამართზე, იკითხეთ ესა და ეს კაცი და ჰკითხეთ, ჭაბუკ ამირეჯიბი რა კაციაო და ის გეტყვით. ეხლა ორი საათის ვადას გაძლევთ: მანქანა მოიყვანეთ და იქვე დააყენეთ, თუ თავისთვის კარგი გინდათ-მეთქი. ერთი საათიც არ იყო გასული, გადავიხედე და მოეყვანათ.

საოცრად კარგი მოსაუბრე იყო ჭაბუკ. ჰყვებოდა თავის თავგადასავლებს, ჰყვებოდა ახალთახალ ანეგდოტებს და შევცქეროდით მონუსხულებით.

ნამოსვლისას ჭაბუკამ იმ წელიწადს გამოსული „დათა თუთაშხიას“ II ტომი მაჩუქა წარწერით: „გიგი ხორნაული, შესანიშნავ მწერალს, მეგობარსა და მძაყაც სიყვარულით - შენი ჭაბუკა 1976 წ.“ პირველი ტომი რაკი ნაყიდი მქონდა, აღარ გამოვართვი.

მარიამ ნიკლაური

იყო და არა იყო რა

იყო და არა იყო რა, — ასე დაიწყო ზღაპარი, ტყუილზე ბევრად ტყუილი, მართალზე უფრო მართალი. ზღაპარი ბებოს ბებიის ბებიამ ჯიბით ატარა. თავიდან თურმე ყოფილა ხორბლის მარცვალზე პატარა. ზედ მიუქემსავს ბებიას რაში, წყარო და ფოთოლი, ვარსკვლავები და ჩიტები, მზეთუნახავი, ობოლი. მეფისწული და ფასკუნჯი, ქორბუდა, მგელი, არწივი, მშვილდ-ისრიანი დევ-გმირი და კუდიანი მაცილი. უკარო ციხე-კოშკები, ქონგურიანი ქალაქი, ქოსატყუილი, ვეზირი, ცხრამთისიქითა ალაგი. ჰოდა, გაბევრდა ზღაპარი, ველარ იტევდა ჯიბე, სუყველაფერი შესანსლა სულარაფერის ჯიბრზე. შეძვრა სკივრში და ნიგნებში, აავსო ქოხიც, სასახლაც, ზოგმა წამლისთვის გაახმო, ზოგმა გათალა სასახრედ. მოედო მთა-ბარს, გზა-შარას, პეტრეს, პავლეს და ივანეს. ეძებეს, მაგრამ დასაწყისს მერე ველარსად მიაგნეს. დასასრულს ნელა ახვედნენ ფთილად, კოჭად და გორგალად. ვინ — ფარდაგს ქსოვდა, ვინ — კაბას, ვინ — ქვაბის ძირი მოკალა. განი თხამ შემოაჭამა, სიგრძე — დევების ვირმა, რაც დარჩა — ცხადმა შესანსლა, რაც არა — შესვა ძილმა. ბებოს ბებიის ბებიამ ველარაფერი იღონა, ჯიბეში ჩარჩა ნამცეცი — იყო და არა იყო რა.

დედაბერი დედუკა

დედაბერი დედუკა სოფლის თავში სახლობდა. თონეს გაახურებდა, პურს ჩიტისთვის აცხოვდა. კარაქს დღევებდა წყაროში, ინახავდა ხაროში. წლის მოსავალს ძლივს ტევდა გამოხვრეტილ კალოში. გვრიტის ობოლ ბარტყს უდუღებდა ტყლაპს, გაციებულ იხვს ხშირად წმენდდა ცხვირს. მართმევედა თათარას კატის კნუტებს ჩქარ-ჩქარა. უვარცხნიდა ნაწნავებს ჭრელ-ჭრელ ციკნებს, ცანცარებს. სტუმრად მოსულ კატებს დაუთლიდა ატმებს, ჩაისვამდა კალთაში გაუკრეჭავ ცხვრებს და ტანზევე აქსოვდა ხირაულებს, ჭრელს. ჩურჩხელაში, ნიგვისის ნაცვლად, გაკვანძულ ძაფს დებდა, საახალწლოდ მიდიოდა სტუმრად ბებერ დევთან. — რა მიჰქონდა? — ჩიჩილაკი, ნაზუქი და ქადა. — რა მოჰქონდა? — ზღაპრის კვერით ავსებული კალთა.

როგორ გაჩნდა შავი არაგვი?

— ერობო? — ასიოდ ქილა. — კვერციხი? — ათასი ცალი. — ცეცხლი? — ტკაცანით დაფრთხა ტყეში ჭინკა და ალი.

ერბოკვერცხს უწვავს შვილებს მელანო — დევის ქალი. სურნელი გასცდა სამანს, ცეცხლზე ლაპლაპებს რვალი, შეწვას ვინ აცლის ან კი?! ჟრიაშული აქვთ დევებს, — „ლუკმას ნუ ელის ჩემგან, ვინც არ დაიბანს ხელებს!“ — თქვა მელანომ და მშვიდად პურიც ჩააკრა თონეს, ძმებმა დახედეს ზანტად თავის ჭუჭყიან ტორებს. დევები ჰქვიათ, მაგრამ ურჩობას ვერვინ ბედავს, ვინ შეუბრუნებს სიტყვას ცხრა შვილის გამზრდელ დედას?! ცხრავე მისაკდა არაგვს, რას ეყოფოდათ ფშანი? ქვით უხეხიათ დიდხანს დევებს ტორები შავი. ჰოდა, გამუქდა თურმე ჭუჭყით ანკარა წყალი, მას მერე მოდის ასე ამღვრეული და შავი. — ის ერბოკვერცხი ჭამეს? — გამოუყვანეს ნირვა. — ეგ როდის მოხდა? — როდის? ალბათ დიდი ხნის წინათ...

თავში არ მოსდით აზრად

მელანომ ცხრავე დევუკას ჯუბა ჩააცვა მაუდის, სკოლის ჩანთები აჰკიდა, ნიგნს ყიდვას ვერ აუღდის. სწავლობენ დევთა ლეგენდებს, სიმღერას, ცეკვას, გარმონს, როგორ გალენონ ეშვები, როგორ გალენონ კალო. — კიდევ? — ლექსების წერას, ირმის ჯოგების წველას, ისეთ ფარდაგის ქსოვას, ბაბო რომ ქსოვდა ძველად. საღებავების ხარშვას, მატყლისგან ძაფის დართვას, სწავლობენ პურის ცხოვას, ავის და კარგის ცნობას. გრდემლზე ფოლადის წრთობას, ნათელ-მირონის ძმობას. — გრამატიკას და ინგლისურს? — კომპიუტერსა და ხაზვას? — სწავლა თუ უნდა, ჩერჩებებს თავში არ მოსდით აზრად.

მზის დაბნელება

იალბუზიდან მყინვარზე გადაეჭიმა თოკი. დევს წამოედგა სარეცხი, რას იკმარებდა დოქი? ან კოკა რას ეყოფოდა, ან ჩაფურა და ლიტრა? შვიდი არაგვი ჩააქეტა, წყალი ზღვასავით იდგა. შიგ ერთად გადაუძახა ჯუბა, ფარდაგი, წინდა. მერე ზედ შედგა ფეხებით, ქვებზე ხეხა და წმინდა. რეცხა, რაც რამე ებადა: ჯამი, დოქი თუ ქვაბი, ჩამოიწუნა კალთები ნამზითვი ჯვალის კაბის. გრიხა და წრიხა ფლასები, დატბორა გზა და შარა, თან თოკზე ფენდა ლილინით ცხრა შვილის ცხრა-ცხრა შარვალს. სარეცხმა მზე დააბნელა, ვაიმე ჩვენი ბრალი! კიდევ კარგი, რომ ხშირ-ხშირად არ რეცხავს დევის ქალი.

დევის პიჭი მანონს ჭამს

— ვინ მიირთმევს მანონს? შიგ ყუას ვინ ანობს? — მანონს დევის პიჭი ჭამს, ძირი აღარ უჩანს ჯამს.

ჯამი იქცა ქვევრად. ცოტა იქცა ბევრად. ჭამს და ჭამს, ჭამს და ჭამს, — ძირი? — ძირი არსად ჩანს. კოვზი იქცა ნიჩბად, ქვევრი იქცა ზღვად. — დავიხმაროთ სხვა? — არ გვაქვს ქირის ფული, ამოვუწოთ პური. გაქრა ცოტაც, ბევრიც, ფაფუ, ზღვაც და ქვევრიც!

დაემსგავსა მთვარეს

დევის გაურჩნდა ტილი, ზის და მწარედ ტირის. დედამ ჩასვა ვარცლში, თმებს ფორცხით უვარცხნის. წყალს უცხელებს პინით, მოუბანა პირი, უდგას ასი სათლი, კიდევ — თუნგი, ათი. წყარო დააშრო სოფლის, მგონი, მაინც არ ყოფნის. დიდხანს, დიდხანს ბანა, მერე უთხრა ნანა. დაეძინა მშვიდად დევს, ტახტზე გუდასავით დევს. დაემსგავსა მთვარეს, დაგვიყენებს თვალებს.

სტუმარს ელის თადია

ჩვენი თადია, სალამოს, ბიძაშვილ დევებს ელის. დილით დაბარა ბოსტანი, შემოაკავა წნელით. მერე ჩათესა მუჭ-მუჭად ქონდარი, ქინძი, კამა, უნდა შეკმაზოს სუფრისთვის სამი ურეში ქამა. უნდა დააკრას ხშიადი, ალიზით მართავს თონეს. უნდა ცამოფქვას ხორბალი, არ დაიშუროს ღონე. უნდა მოზილოს თიხა და უნდა გამოწვას კეცი, უნდა ტყე მოჭრას, მოზიდოს, რომ გააჩალოს ცეცხლი.

უნდა დაქსოვოს ფარდაგი, გაალამაზოს სახლი, უნდა გათალოს სკამები, უნდა ჩამოსხას ხალხი. უნდა დაწუროს ყურძენი, უნდა აავსოს ქვევრი, უნდა გასხიბოს შამფური, მწვადს დაუბრანოს გვერდი. უნდა გამართოს ფანდური, ზედ გადაჭიმოს ღარი, უნდა სიმღერაც ისწავლოს, ბიძაშვილს უთხრას ბანი. ჯერ მწვანილს თესავს, აცალეთ, მოსატანი აქვს წყალი, არაგვზე ხილსაც გაგვიდებს, თუ ეყო დრო და ძალი.

დევის ერთი გოგო ეზრდება

დევის ერთი გოგო ეზრდება, ნაწნავს ცხრა ქალი უწნის, გადია ქერშვილს უფქვავს და ოქროს საცერში უცრის. მერე რძით ფაფას უდუღებს, ქვაბი ცხრა წელი ჭედეს, ირმის ჯოგებით უხადეს გასამრჯელოო მჭედლებს.



ეს გოგო თურმე ლექსებს წერს, ტინებზე ლურსმნით კანრავს. იმ ლურსმანს ძვრასაც ვერ უზამ, როგორც იმ გოგოს ნაწნავს. ამბობენ, ფოლადისგან გაუჭედია ას კაცს, ის გოგო არად დაგიდევთ, მარცვალს მარცვალზე ნასკვავს. იმ ლექსებს კიდევ მე და შენ ვერას გავუგებთ, ვიცი, ნურც ჭკუის სწავლას დაგუწყებთ და ნურც დავაყრით სიცილს. დევი დევი, დამჯერი, თუ გაბრაზდება, მტერს! — რას იზამს? — რას და, ჩვენს ლექსებს ბღღვირს აადენს და მტერს. ახლა რას შეება ნეტავი? — რას იზამს, ზის და წერს!

მითხარი, დავო, თადია

— მითხარი, დევო თადია, რამ აგაყენა ადრიან? — ბიჭი გვეყოლა ნუხელის, რძით ამოვიგო მუცელი, დედის რძე რას ეყოფოდა, ახლა თეთრ ირმებს ვუწველი. თეთრი ირმისაც არ ჰყოფნის, არ ვიცი, რითი ვუშველი. დევების პინაც დაცალა, ველარ მოპირეს მწყემსებმა, ალბათ დევგმირი იზრდება, გული იმედით მევეება.

ანტრია

ფხიტურზე ისმის ტკაცანი კერას რომ ცეცხლი ანთია. ადრე ამდგარა დევქალი, მონატრებია ანტრია. ქვაბი შემოდგა ცხრა ფუთი, ჭერხოს ავარდა ნაფუთი. ცეცხლს შეუძახა, რაც რამე ებადა ძველი, ნაბურდი. მიფხიკ-მოფხიკა კოდები, ხედავს, რომ ფქვილი არ აქვს, ადგა და თოვლი გამოცრა, ერობო ადინა არაგვს. ცომს ძელდა მერე სამი დღე, ჭრა და აბრტყელა ყინწად, ქვაბში ჩაყარა ნაჭრები, ცხრა დღე ხარშავდა იჯრას. კეცეულეებიც დააცხო, იმდენი ცომი ჰქონდა, ყინულის ხაჭოს აყრიდა მზითვში მოყოლილ ქოდარს.

24 ივნისს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა „ლიტერატურული გაზეთის“ მიერ გამოცხადებულ „ერთი მოთხრობის კონკურსში“ გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონიალი. ვრცელ მასალას ამ ცერემონიალის შესახებ შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში.

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com